ეროვნული ბიბლიოთეკა

# სარბიელი

სპორტული გაზეთი | ოთხშაბათი 22 აგვისტო 2001 №158 (1431) | ფასი 50 თეთრი




REUTERS რომიდან

ლაციო — კოპენჰაგენი 4:1. ქუთაისელთა ნაცნობმა სიბუსისო ზუმამ „ლაციოსაც" გაუტანა, მაგრამ მის „კოპენჰაგენს" ეს რას ეყოფოდა

# ლაციოს შეიძლება ვერ მოუგო



REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ლიდსი 1:2. ორი ფრანგი ვერტიკალში და ჰორიზონტალში: არსენალელი რობერ პირესი და ლიდსელი ოლივიე დაკური

## ლაციოს შეიძლება გაუტანო

## ინგლისი ჭკვიანი ქვეყანაა: იქ მარტო საფეხბურთო ომებია

## ხვალ ჩვენც ვინერვიულებთ

იხილეთ მეორე-მესამე გვერდები

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ჩემპიონთა ლიგა

## მესამე საკვალიფიკაციო ეტაპი. მეორე მატჩები

**ლევერკუზენი** *(გერმანია)* 3:0 ცრვენა ზვეზდა (იუგოსლავია) (0:0)
1:0 ნოივილი (13), 2:0 კირსტენი (30), 3:0 ნოივილი (60)

**ბარსელონა** *(ესპანეთი)* 1:0 ვისლა (პოლონეთი) (4:3)
1:0 ლუის ენრიკე (73)

**დინამო** *(კიევი, უკრაინა)* 1:1 სტიაუა (რუმინეთი) (4:2)
0:1 ნიაგა (30), 1:1 მელაშჩენკო (46)

**ლივერპული** *(ინგლისი)* 4:1 ჰაკა (ფინეთი) (5:0)
1:0 ფაულერი (36), 1:1 კოვაჩი (45), 2:1 რედნაპი (50), 3:1 ჰესკი (56), 4:1 უილსონი (83ს.კ.)

**მალიორკა** *(ესპანეთი)* 2:0დ.დ. (1:0) ჰაიდუკი (ხორვატია) (0:1)
1:0 ეტოო (26), 2:0 ლუკე (95)

**ლაციო** *(იტალია)* 4:1 კოპენჰაგენი (დანია) (1:2)
1:0, 2:0 კრესპო (47, 63), 3:0 კლაუდიო ლოპესი (64), 3:1 ზუმა (81), 4:1 ფიორე (90)

# ინტერტოტოს თასი 2001

## ფინალური ეტაპი. მეორე მატჩები

**ასტონ ვილა** *(ინგლისი)* 4:1 ბაზელი (შვეიცარია) (1:1)
0:1 ჩიპერფილდი (30), 1:1 ვასელი (44), 2:1, 3:1 პაბლო ანხელი (55, 79), 4:1 ჟინოლა (83)

ნიუკასლი (ინგლისი) 4:4 **ტრუა** *(საფრანგეთი)* (0:0)
1:0 სოლანო (2), 1:1 გ. ლერუა (25), 1:2 გუსე (28), 1:3, 1:4 ბუტალი (47, 61), 2:4 ამეობი (65), 3:4 სპიდი (70პ), 4:4 ა. ბიუზი (90)

ბრეშა (იტალია) 1:1 **პარი სენ ჟერმენი** *(საფრანგეთი)* (0:0)
0:1 ალოიზიო (73), 1:1 რ. ბაჯო (78პ)


REUTERS ლონდონიდან

არსენალი — ლიდსი. თითქმის გარდაუვალი კონფლიქტი: მსაჯმა ჯეფ უინტერმა ლიდსელი დენი მილსი მოედნიდან მიაბრძანა


REUTERS პალმა დე მალიორკიდან

მალიორკა — ჰაიდუკი. „მალიორკას" ორივე მეგოლე: პირველისა სამუელ ეტოო (მარცხნივ), მეორისა — ალბერტო ლუკე


REUTERS ბარსელონიდან

ბარსელონა — ვისლა. ბარსელონელებს ხავიერ სავიოლა (ბურთით) უფრო დიდი მატჩებისთვის ეიმედებათ


REUTERS ლივერპულიდან

ლივერპული — ჰაკა. „ლივერპულს" სიხარული არც შინ მოჰკლებია


REUTERS კიევიდან

დინამო — სტიაუა. კიეველთა ახალთაობაც ლიგაში ითამაშებს

# ინგლისი

## პრემიერლიგა. II ტური

**ბოლტონი 1:0 მიდლსბრო**
1:0 რიკეტსი (38)

**იფსვიჩი 3:1 დერბი ქაუნთი**
1:0 ფინიდი (14), 2:0 ნეილორი (48), 3:0 ფინიდი (76), 3:1 რავანელი (84)

**არსენალი 1:2 ლიდსი**
0:1 ჰარტი (29), 1:1 ვილტორდი (31), 1:2 ვიდუკა (53)

## ლიგის თასი. I ეტაპი

ბარნსლი 2:0 ჰალიფაქსი
ბლეკპული 3:2 უიგანი
ბორნმუთი 0:2 ტორკი
ბრენტფორდი 1:0 ნორვიჩი
ბრაიტონი 2:1 უიმბლდონი
ბრისტოლი 2:1 ჩელტენემი
ბარნლი 2:3 რაშდენი
ბერი 1:3 შეფილდ უენსდი
ექსეტერი 0:1 უოლსოლი
გრიმსბი 2:1 ლინკოლნი
ჰადერსფილდი 0:1 როჩდეილი
კიდერმინსტერი 2:3დ.დ. (2:2) პრესტონი
ლეიტონი 2:4 კრისტალ პალასი
მაკლსფილდი 1:2დ.დ. (1:1) ბრედფორდი
მენსფილდი 3:4 ნოთსი
მილუოლი 2:1 კარდიფი
ნორთჰემპტონი 2:1დ.დ. (1:1) ქუინზ პარკი
ოქსფორდი 1:2დ.დ. (1:1) ჯილინგემი
პორტ ვეილი 2:1 ჩესტერფილდი
პორტსმუთი 1:2 კოლჩესტერი
რედინგი 4:0 ლუთონი
სტოკპორტი 3:0 კარლაილი
სუონსი 0:2 პიტერბრო
ტრანმერი 3:1 შრიუსბერი
რექსჰემი 2:3 ჰალი
უიკომბი 0:1 როვერსი
იორკი 2:2(პენ. 3:4, 1:1) კრიუ
უოტფორდი 1:0 პლიმუთი

# გერმანია

## ბუნდესლიგა

გადადებული მატჩი

**შალკე 3:1 ჰანზა**
1:0 იაკობსონი (9ს.კ.), 1:1 შრიოდერი (44პ), 2:1 აგალი (60), 3:1 ბიომე (90პ)

## ჩრდილოეთ რეგიონალლიგა

გადადებული მატჩი

**ვატენშაიდი 1:2 ლევერკუზენი (მოყვ.)**

V ტური

**ბრაუნშვაიგი 0:0 ოსნაბრიუკი**
**კილი 2:5 ლიუბეკი**

# ჰოლანდია

## I დივიზიონი. II ტური

**ბრედა 3:3 ტვენტე**
1:0, 2:0 სტიუარტი (26, 63), 2:1 ჰოუვინგი (64), 2:2 ბუთი (71), 3:2 პერსი (73), 3:3 ჰოუვინგი (82)

# შვეიცარია

## A ჯგუფი

გადადებული მატჩები

**ლოზანა 1:1 ქსამაქსი**
1:0 ლომბარდო (30), 1:1 ბუბონე (81)

**სიონი 1:3 სერვეტი**
0:1 ფრეი (23), 1:1 დეუმი (58), 1:2 ლონფატი (60), 1:3 ორუმა (90)

**ლუგანო 1:1 ციურიხი**
0:1 ჩინაბი (40), 1:1 ჯ. მანინი (84)

# რუსეთი

## თასის 1/16 ფინალი

**შინიკი (II) 1:0 სპარტაკი**
1:0 სკოკოვი (78)

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08,
93 16 08;
Fax: 94 33 80

უეფას თასი 2001-02. საკვალიფიკაციო ეტაპი. საპასუხო მატჩი

## ლოკომოტივი — ბირკირკარა

თბილისი. „ლოკომოტივი". ტევადობა 25 600. 23 აგვისტო. 21 საათი

# შეყრა დილომური

## ლოკომოტივი — ბირკირკარა უკვე იყო



**მატჩამდე** ორი დღით ადრე ჩამოვ თბილისში ალტური „ბირკირკარა". სტუმრები სასტუმროში დაბინავდნენ და ვარჯიში საღამოს რვის ნახევარზე დაგეგმეს.

ხვალ მალტელები ჩვენებურ „ლოკომოტივს" ვაკეში გაეჯიბრებიან, თუმც მეტოქეთა შეყრა გუშინაც მოხდა. დილომში, „ლოკომოტივის" ბაზაზე გუშინ გუნდები ერთმანეთის პირისპირ წარდგნენ — გინდა არ გინდა, ასე იყო.

სტუმრები „ლოკომოტივის" ავტობუსით მივიდნენ მეტოქის ბაზაზე. ჩვენებურებს კი ვარჯიში ჯერ მოთავებული არ ჰქონდათ. მალტელები რამდენიმე წუთი ავტობუსიდან გადაუსვლელად უყურებდნენ რკინიგზელთა გუნდის ვარჯიშს, თუმც მალე მიხვდნენ, რომ მათ გამო კახა ცხადაძე და მისი შეგირდები მინდვრის დატოვებას არ აპირებდნენ და ავტობუსიდან ზოზინ-ზოზინით ჩამოლაგდნენ. მოედნის ერთ მხარეს ლოკომოტიველებმა სპეციალური ლეიბები შეიგულეს და მასზე მუცლის კუნთის ვარჯიშს და აზიდვებს შეუდგნენ. მინდვრის მეორე ნახევარზე კი მალტელებმა ძუნძული დაიწყეს. საზიარო მოედანი მეტოქეებმა მშვიდობიანად გაიყვეს — აი, ასე იყო „ლოკომოტივი" — „ბირკირკარას" შეყრის ამბავი დილომში.

„ლოკომოტივი" სტუმართა მოსვლიდან მალევე მორჩა ვარჯიშს და მინდორიც მთლიანად მალტელებს დარჩათ. მოწესრიგებულები იყვნენ ბირკირკარელები, ყველას „რიბოკის" ერთნაირი ფორმა ეცვა, ორკარასთვის კი ნახევარ გუნდს მწვანე გადასაცმელები ემოსათ. მხოლოდ ერთს, კუნთმაგარ, შესხმულ და მოლაპლაპე კაცს ეცვა ყვითელი გადასაცმელი. ვერ დავიჩემებ, მაგრამ ალბათ ველოსპორტიდან თუ გადმოილო ნიგერიელმა ჩუს ნვოკომ ლიდერის ყვითლად გამოწყობის ჩვეულება. ისე კი, ეს ზანგი მოყმე კარგა ხანია, რაც მალტის მოქალაქე გახდა და ეროვნულ ნაკრებშიც უთამაშია.



კახა ცხადაძემ
„ბირკირკარა" მეორედ ნახა

სტუმართაგან მალტის ფეხბურთის ასოციაციის წარმომადგენელი თავად გამომელაპარაკა. ჩუს ნვოკოზე მითხრა, ყოჩალი ბიჭია და „ლოკომოტივს" პრობლემებს ის თუ შეუქმნისო, „ბირკირკარას" კიდევ ორი გამორჩეული ფეხბურთელი ჰყავს, ნახევარმცველები ანტონი ზაპკა და ჯო ბრინკატიო — ისინი ეროვნული ნაკრების წევრები არიან.

მალტელმა ჩინოვნიკმა ისიც მითხრა, „ბირკირკარა" საკმაოდ შეძლებული კლუბია და მის ხელმძღვანელობა ერთობ უკმაყოფილოა, გუნდი წინა სეზონში ქვეყნის ჩემპიონი რომ ვერ გახდა და ბულგარელი მწვრთნელი ათანას მარინოვიც ამას შეეწირაო. გუნდის ერთ-ერთი ბოლო და საინტერესო შენაძენი კი სამხრეთაფრიკელი ფორვარდი ვაისმან ქსოლანი ჯალივანიაო.

„ბირკირკარამ" ვარჯიშს საათნახევარი მოანდომა. უცნაურად მშვიდი და უხმაურო იყო მათი ოფლის ღვრა...

**დავით თავართქილაძე**

# ვამბობ საქართველოს, არ ვიცი, ვის ვგულისხმობ

***„ბირკირკარას" ვარჯიშის დასრულების შემდეგ ვერაზე, ფიქრის გორაზე მდებარე კომფორტულ სასტუმრო „ილიანის" ვეწვიეთ. მალტელები სწორედ იქ დაბინავდნენ. რესპოდენტებად „ბირკირკარას" მეკარე, იუგოსლავიელი რობერტ სავიჩი და გუნდის მთავარი მწვრთნელი ალფრედ კარდონა შევარჩიეთ. ცხადია, გასაუბრება „ბირკირკარას" ლიდერთან, ნიგერიელ ჩუს ნვოკოსთანაც გვსურდა, მაგრამ ნიგერიელი ვახშამის შემდეგ ნომერში გაეშურა, დიდი ბოდიში, მაგრამ დასვენება და ძილი მინდაო.***



რობერტ სავიჩი

**იუგოსლავიელი** *რობერტ სავიჩი* საქართველოს მეორედ ეწვია. პირველად შვიდი წლის წინათ, როდესაც ინტერტოტოს თასზე ფოთის „კოლხეთი" იუგოსლავიურ „ზემუნს" ბათუმში ეთამაშა და 2:3 წააგო. „ზემუნის" კარს სწორედ სავიჩი იცავდა.

— „ლოკომოტივი" ძალიან კარგი გუნდია, ამაში პირველ თამაშისას დავრწმუნდი. ცხადია, შემდეგ ეტაპზე გასვლის შანსი ქართველებს უკეთესი აქვთ. თუმცა, ჩვენ ტურისტებად არ ჩამოვსულვართ, ვიცი, ძალიან ძნელი იქნება, მაგრამ ყველაფერს ვილონებთ მოსაგებად.

**— პირველ თამაშში ჩინებულად ითამაშეთ, ის, რომ „ბირკირკარამ" გოლი არ გაუშვა, ამაში თქვენი წვლილი დიდია. ხუთშაბათსაც იგივეს აპირებთ?**

— როგორ გითხრათ, ჩემთვის ყველა მატჩი მნიშვნელოვანია და ვცდილობ კარგადაც გავისარჯო. არავინ იცის წინასწარ რა მოხდება, შესაძლოა თამაში წამივიდეს, შესაძლოა პირიქითაც მოხდეს. აქვე ჩემს ქართველ კოლეგაზეც ვიტყვი. „ლოკომოტივს" ჩინებული მეკარე ჰყავს.

**— საქართველოს მეორედ ესტუმრეთ...**

— შვიდი წლის წინ ბათუმში ვითამაშე. მაშინ იუგოსლავიურ „ზემუნში" ვიყავი. ინტერტოტოს თასის მატჩი გვქონდა. მეტოქე არ მახსოვს, ის თამაში კი მოვიგეთ. მოხარული ვიქნები, ჩემი მეორედ სტუმრობაც ასეთივე თუ იქნება.

**— იუგოსლავიის ჩემპიონატი მალტისას გაცილებით სჯობს. ალალად თქვით, იუგოსლაველი კაცი კუნძულზე სათამაშოდ რამ წაგიყვანათ?**

— ქვეყანაში არსებულმა არასტაბილურმა მდგომარეობამ და უფულობამ.

**„ბირკირკარას"** მწვრთნელი **ალფრედ კარდონა** გახლავთ. ის მალტურ ფეხბურთში ჭიპმოჭრილი კაცია, იქაური ავან-ჩავანი ბრწყინვალედ მოეხსენება. „ბირკირკარაში" წინა სეზონის ბოლოს დაბრუნდა, როცა გუნდიდან ბულგარელი ათანას მარინოვი გაათავისუფლეს. ბატონი ალფრედი საკმაოდ ენაწყლიანი მოსაუბრე გამოდგა...

**— გატყობთ, კმაყოფილი ბრძანდებით. საინტერესოა, როგორ ხასიათზე იქნება ალფრედ კარდონა ნამატჩევს?**

— რა თქმა უნდა, ყველაფერი თამაშის შედეგზე იქნება დამოკიდებული. მე ყოველთვის ვცდილობ, კარგ გუნებაზე ვიყო. თუ მოვიგეთ, ცხადია გამიხარდება. თუ წავაგეთ, გული კი დამწყდება, მაგრამ ეს სამყაროს დასასრულს არ ნიშნავს.

**— თბილისში კლუბის პრეზიდენტი არ იმყოფება. როგორც „ბირკირკარას" ვიცე-პრეზიდენტმა და იმავდროულად დელეგაციის ხელმძღვანელმა ჯონ ბორგმა გვითხრა, შევეცდებით მოვიგოთ და გამარჯვებაც ჩვენი კლუბის პრეზიდენტ ვიქტორ ზამიტს მივუძღვნათო, ასეა?**

— დიახ, ასეა. სამწუხაროდ, ჩვენი პრეზიდენტი ვერ ჩამოგვყვა. რაღაც პრობლემები შეექმნა და მალტაში დარჩა, თუმცა გულით აქაა. მინდა გითხრათ, რომ ვიქტორ ზამიტი ჩინებული პიროვნებაა და ყველაფერს გავაკეთებთ, რომ მოვიგოთ. გამარჯვებასაც მას მივუძღვნით.

**— თბილისში უძლიერესი შემადგენლობით ჩამოხვედით?**

— კი, ყველა საუკეთესო აქაა. თუ არ ჩავთვლით, ერთ ფეხბურთელს. ქუთაიას ამასწინათ ოპერაცია გაუკეთეს და ფორმაში ახლა შედის. ამიტომაც არ ჩავთვალე მიზანშეწონილად აქეთ წამოყვანა.

**— შანსებზე რას იტყვით, „ლოკომოტივი" თუ „ბირკირკარა"?**

— ვფიქრობ, რომ „ლოკომოტივს" მხოლოდ იმაში აქვს უპირატესობა, რომ შინ თამაშობს. ჩვენ, დასაკარგი არაფერი გვაქვს, ჩვენს ფეხბურთს ვითამაშებთ. მჯერა, მაყურებელი კარგ თამაშს იხილავს.

აი, ეს გვითხრეს მალტელებმა. „სარბიელი" კი მადლობას უხდის ლელა ფურცხვანიძეს თარჯიმნობისთვის.

**გიორგი ვაჟაძიძე**



ალფრედ კარდონა

# პალანგა რუსებმა წაგვართვეს

**დასრულდა** პალანგის საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც საქართველოს ჩვიდმეტწლამდელთა ნაკრებიც მონაწილეობდა. შეგახსენებთ, რომ ქართველებმა ტურნირის სადებიუტო მატჩში ლატვიელ თანატოლებს 2:1 სძლიეს. შემდეგ კი მასპინძელ ლიტვის პირველ ნაკრებთანაც გაიმარჯვეს — 1:0.

16 აგვისტოს კობა ჟორჟიკაშვილის შეგირდებს გადამწყვეტი მატჩი ჰქონდათ რუსეთის ნაკრებთან. გამარჯვების შემთხვევაში ქართველები ვადაზე ადრე დაიბევებდნენ ფინალის საგზურს. შეხვედრაც ჩვენებურთა უპირატესობით დაიწყო. ეს მოგვიანებით ანგარიშზეც აისახა და ქართველები 2:0 დაწინაურდნენ. თუმც მატჩის მიწურულს თამაშის სცენარი მკვეთრად შეიცვალა — რუსებმა შეძლეს ანგარიშის გათანაბრება. ბოლოს კი დაბნეულ ქართველ ჭაბუკებს მესამე ბურთიც გაუტანეს — 2:3.

ამ შედეგის მიუხედავად, ქართველთათვის დაკარგული ჯერ კიდევ არაფერი იყო. ისინი ისევ ინარჩუნებდნენ შანსს ფინალში გასასვლელად. ჟორჟიკაშვილის ბიჭებმა ეს შანსი ხელიდან არ გაუშვეს. ჩვენებურებმა ლიტვის მეორე ნაკრები ხოჯავასა და კალაძის ორი უპასუხო გოლით დაამარცხეს და ფინალში გავიდნენ.

გადამწყვეტ მატჩში მათი მეტოქე სწორედ ის რუსეთის ნაკრები გახდა, რომლისგანაც ქართველებმა ერთადერთი მარცხი იწვნიეს ამ ტურნირზე.

ფინალური მატჩი დაძაბულად წარიმართა და საბოლოოდ მეტოქეები ერთმანეთს უგოლოდ დაშორდნენ. პენალტებში კი რუსებმა იმარჯვეს.

**ბაზა ზალამბერიძე**

# პენალტიც თქვენი დასარტყმელია

**საქართველოს** ცხრამეტწლამდელთა ნაკრები ირანის საერთაშორისო ტურნირში მონაწილეობის მისაღებად რომ გაემგზავრა, ადრე გაუწყეთ. ისიც გაცნობეთ, რომ ტურნირის პირველ მატჩში ქართველებმა ფრედ 0:0 ითამაშეს თავრიზის გუნდთან. მატჩისშემდგომ პენალტებში კი 1:4 დამარცხდნენ.

მესამე ადგილისთვის მატჩი გელა გომელაურის შეგირდებს ირანი — აზერბაიჯანის წყვილში დამარცხებულთან უწევდათ. ტურნირის მასპინძელმა 3:1 გაიმარჯვა და ფინალში გავიდა.

აზერბაიჯანისა და საქართველოს ცხრამეტწლამდელთა შეხვედრა კი ფრედ 1:1 დამთავრდა და აქაც მატჩისშემდგომი პენალტების სერია გახდა საჭირო. ქართველებმა ისევ მეტოქეზე სუსტად შეასრულეს თერთმეტმეტრიანი დარტყმები და 4:5 დამარცხდნენ.

საბოლოოდ ქართველთა მონაგარი ამ ტურნირზე ორი მატჩიდან ორი ფრეა. თუმც ისიც აღსანიშნია, რომ თავრიზისა და აზერბაიჯანის ნაკრებები ინგლისისა და უნგრეთის ნაკრებებზე გაცილებით დაბალი კლასისაა. ინგლისი და უნგრეთი კი, მოგეხსენებათ, ქართველთა მეტოქეები არიან ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ეტაპზე, რომელიც ნოემბერში ინგლისში გაიმართება.

ამ მატჩებამდე საქართველოს ცხრამეტწლამდელთა ნაკრების მთავარი მწვრთნელი გელა გომელაური კიდევ გეგმავს ამხანაგურ მატჩებს. კერძოდ, 7-14 სექტემბერს ჩვენებურები სომხეთში ჩავლენ და მასპინძლებთან ორ საკონტროლო შეხვედრასაც გამართავენ.

— ნაკრების ძირითადი ბირთვი ფაქტობრივად ჩამოყალიბებულია. ირანში ტრავმების გამო ძირითადი შემადგენლობის ოთხი ფეხბურთელი გვაკლდა, თუმც იმედია, ისინი ნოემბრამდე მწყობრში ჩადგებიან. სომხეთში ბიჭებს კიდევ ერთხელ დავაკვირდებით და შესარჩევი მატჩებისთვის უკეთ მოვემზადებით — გვითხრა გუშინ გელა გომელაურმა.

**ბაზა ზალამბერიძე**

საქართველოს უმაღლესი ლიგა 13 ჩემპიონატი — პირველი ეტაპი

4 ტური

მიმოხილვა

# იმერული ბუტერბროდი
## ურმით ბოინგს გავეჯიბრებით?!



„დინამო“ — „მეტალურგი“. მასპინძელმა ვიტალი დარასელიამ სტუმართა მცველები გააცურა

**მთავარი** ბრძოლების დაწყებამდე ჯერ კიდევ 18 ტურია მოსალევი. ამ ხნის მანძილზე ბევრი რამ შეიცვლება. არც ისაა გამორიცხული, ყველაფერი თავდაყირა დადგეს, მაგრამ უკვე დღესვე შეიძლება გარკვეული დასკვნების გაკეთება.

მეცამეტე ჩემპიონატს ოთხი ტურის შემდეგ ერთპიროვნული ლიდერიც ჰყავს და უქულო, გამოკვეთილი აუტსაიდერიც. ქუთაისურ „ტორპედოსა“ და ზესტაფონურ „მეტალურგს“ შორის კიდევ ათი გუნდია მოქცეული.

ბევრისთვის მოულოდნელი იყო ავჭალური „მერანის“ მეორეობა. გასაკვირია ვეტერინართა ფსკერისკენ ჩაშვება. ზოგს არც „დინამო“-„ლოკომოტივის“ მეხუთე-მეექვსეობა მოსდის თვალში, მაგრამ ყველაფერი ფაქტია და ვერსად დავემალებით.

გასრულებულმა ოთხმა ტურმა ისიც ცხადყო, რომ რიონისპირულ კლუბს საჩემპიონო ტახტი მეტად მყარად მოურგია და „ტორპედოსთვის“ გვირგვინის წართმევა მეტად საძნელო საქმე იქნება. დღეს არავინ ლაპარაკობს ქუთაისელთა დამარცხებაზე, მხოლოდ იმაზე მსჯელობენ, თუ ვინ იქნება ის ბედნიერი, ვინც დავით გვარამაძის კარის ბადეს შეარხევს.

საჩემპიონო დავაში რიონისპირელთა უპირველესი კონკურენტები მაინც რკინიგზელები და ათგზის ჩემპიონები არიან. „ლოკომოტივს“ დიახაც ძალუძს ტახტიდან „ტორპედოს“ ჩამოგდება, მაგრამ ამათ საგოლე მომენტების გამოყენება თუ ვერ ისწავლეს, სულ ტყუილი ქადილი გამოუვათ. „დინამო“ ჩემპიონატის მსვლელობისას შევა ფორმაში. ჯერჯერობით კი არასტაბილურ თამაშს გვიჩვენებენ გივი ნოდიას ოდნავ გადაღლილი ბიჭები. „დინამოს“ კიდევ ერთი საწუხარი მოურჩენელი ტრავმებია. ზირაქიშვილის კოჭმა, შალამბერიძის კუნთმა და მაზიაშვილის ლვიძლმა შეაწუხა და გვარიანად უკან დახია „დინამო“.

სოსო ფილიას „კოლხეთმა“ ჯერ მხოლოდ „ტორპედოს“ ვერ გაუძლო, თორემ დანარჩენებს კი აუვიდა. თუ ასე გააგრძელეს კოლხებმა, მაშინ ექვსეულში ლიღინით შევლენ. მერე კი მოხერხების ამბავია.

ურიგო გუნდი როდი ჰყავს ასლან ბალაძეს. მისი „ბათუმი“ გამოცდილ, მრავალნანახ და ახალგაზრდა ფეხბურთელთა ნაზავია და თამაშსაც სანახაობრივს აჩვენებენ ქომაგებს. „ბათუმი“ ბევრს გაუჩენს თავსატეხს.

ჩამოთვლილთა შემდეგ თითქოს ყველაზე სუსტია „მერანი“, მაგრამ ოთარ გაბელიას გუნდმა სიურპრიზი შესთავაზა მეტოქეებს. ალბათ, ბევრი შეიყვანა შეცდომაში მოსამზადებელ ეტაპზე „მერანის“ ჩატარებულმა საკონტროლო მატჩებმაც. მაშინ მართლა ვერ იყვნენ ჯანზე ავჭალელები. ახლა კი...

ისე გამოდის, რომ ექვსეულში „ვიტ ჯორჯიას“ ადგილი აღარ დარჩა. ვიტელებს შემადგენლობაში პრობლემები გასჩენიათ. ერთბაშად ოთხი წამყვანი მოთამაშის წასვლამ აწყობილი მექანიზმი გვარიანად მოარღვია. ექვსეულში მოსახვედრად დიდი ოფლის ღვრა მოუწევთ ვეტერინარებს.

„სამგურალი“, „გორდა“, „სიონი“, „გურია“ და „მეტალურგი“ — მათი საკითხი გადაწყვეტილი ჩანს. ქვეექვსეული და გადასარჩენად ბრძოლა. თუმცა წინ ხომ თვრამეტი ტურია, იქნებ მოხდეს სასწაული.

დროა, ორიოდ სიტყვა მეოთხე ტურზეც ვთქვათ. „ტორპედომ“ შინ „სიონი“ იწვია, ოთხი უპასუხო გოლიც გაუტანა და დამწუხრებული გაუშვა შინ. ქუთაისელთა რიგებში, პირველად თორმეტი წლის მანძილზე, ლეგიონერი გამოჩნდა. უკრაინელი ანდრეი პოროშინის ფეხბურთელობაზე წარმოდგენას მალე შევიქმნით, მანამდე კი შეტევაში მიხეილ აშვეთია ბობოქრობს. ჩემპიონატის მეგოლემ დუბლი მიითვალა. ჯერ ჯარიმა შეასრულა უზადოდ, მერე პენალტიდან გაამწარა თემურ ვოლკოვი.

აშვეთიას გატანილებს გივი დიდავამ და ზურაბ იონანიძემ ზუსტი შორეული დარტყმები მიაყოლეს და ბოლნისელებსაც ხელი მოუთავეს. მოკლედ, ლამაზი გოლების დღე იყო ქუთაისში.

ბორისოვის „ბატესთან“ უეფას თასის საპასუხო მატჩისთვის სამზადისში თბილისის „დინამოს“ აუტსაიდერი ზესტაფონის „მეტალურგი“ ხელში შემოეფშვნა. ჩინებულ განწყობაზე გაემგზავრებიან ბელარუსისკენ დინამოელები. ვუსურვოთ ამგვარ ხასიათზევე დაბრუნება.

„მეტალურგმა“ კი, რომელმაც პირველ ტურში დამარცხების მიუხედავად მაინც სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა, თამაშს უკლო და გვარიანად დაბნეულ-აოხრებულია.

ზედიზედ მეორედ დამარცხდა მეცამეტე ჩემპიონატის პირველი სენსაციის შემოქმედი რუსთავის „გორდა“. არ თამაშობს ვარლამ კილასონია და ვერ თამაშობს გუნდიც, მაგრამ რუსთაველი კლუბის პრობლემები გაცილებით სიღრმისეული გვგონია, ვიდრე ერთი, თუნდაც გამოცდილი და წამყვანი მოთამაშის ყოფნა-არყოფნა. აქ გუნდის ტექნიკურ-ტაქტიკურ თუ ფიზიკურ მზადყოფნაზე არ ვილაპარაკებ, თუმც ეს ერთ-ერთი უმთავრესია, არამედ შემადგენლობის შერჩევას დავუწუნებთ იასონ ალადაშვილს. დანარჩენი თავად მწვრთნელმა და რუსთაველებმა იციან.

„სამგურალი“ კი წამოიჩიტა, მაგრამ ქომაგი გასვლით მატჩში მოპოვებულ ქულას ელის, რათა გული დაიარხეინოს, მაგრამ სტუმრად მოგებისა ჯერ რა მოგახსენოთ.

„კოლხეთმა“ „გურიას“ აჯობა. ფოთში არაფერი ყოფილა მოულოდნელი. ფილიას გუნდმა მეტოქეს იმდენის საშუალება მისცა, რამდენიც გამარჯვებას და სამ ქულას საფრთხეს არ შეუქმნიდა. გურულებმა ვერ გამოიყენეს კოლხთა შესამჩნევი დარდიმანდული დამოკიდებულება და დარჩნენ იმ კინკილა ქულის ამარა, პირველ ტურში ლანჩხუთში „მერანისგან“ რომ ისახსოვრეს.

ავჭალაში „მერან“ — „ბათუმის“ პირველი ტაიმი იყო ისეთი, მოყვარეს რომ გულს მოუკლავს და მტერს ახარებს. დახურულ-ჩახუთული თამაში, მხოლოდ გოლის არგაშვებაზე ფიქრი და ასე შემდეგ. გაუგებარია, რატომ ირჩიეს მწვრთნელებმა ასეთი ტაქტიკა. კარგით, ბალაძის გუნდი კიდევ სტუმრად თამაშობდა და ერთი თავდამსხმელის აშკარა დარტყმა დიდ ცოდვად არ ჩაითვლება, მაგრამ „მერანს“ რაღა სჭირდა [illegible]

[illegible] ლია. მისმა შეგირდებმა სამი ქულა დაიბევეს და ალარავინ გაიხსენებს, შემტევი თუ ფრთხილი თამაშით. ბალაძის ტაქტიკა კი სულიკო დავითაშვილის ზუსტმა პენალტმა დაამსხვრია და ჩაიწერა „ბათუმის“ წაგებათა გრაფაში ერთიანი.

ტურის ცენტრალური მატჩი ვაკეში შედგა. „ვიტ ჯორჯიამ“ ვერც ამჯერად შეძლო რკინიგზელთა თანამედროვე სარბიელიდან ქულის წამოღება. მესამე ცდაც უშედეგოდ დასრულდა. ანაც როგორ მოახერხებდა, როცა თითქმის ნახევარი გუნდი უცხოეთს წასულა.

აქამდე საიმედოობით ნაქები ვიტელთა დაცვა იმდენ შეცდომას უშვებს, რომ ერთს კი არა, ხუთ მატჩს ეყოფა. „ლოკომოტივს“ კი საგოლე მომენტების გაცუდების ვირუსი შეჰყრია და რკინიგზელებმა ღმერთს მადლობა შესწირონ, გოგობერიშვილმა ვიტელთა ერთ გოლს მეორეც რომ არ მიაყოლა, თორემ... სადაც სამართალია, იქ მასპინძელთა მეკარის გიორგი ლომაიას ოსტატობაც უნდა აღინიშნოს. საკვანძო მომენტებში მან გუნდი ორჯერ იხსნა გოლისგან.

მასპინძელს სტუმრის რიდი არ ჰქონდაო, ვერ ვიტყვით. კახა ცხადაძემ თავგატეხილი და დასისხლიანებული გიორგი ბალაშვილი მანამდე არ გამოცვალა, სანამ გამარჯვებაში ასი პროცენტით არ დარწმუნდა. ბალაშვილმა კი ვიტელთა ყველაზე სახიფათო მოთამაშე გოგობერიშვილი გააუვნებელა.

გოლხვავრიელი და მასპინძლებისა იყო მეოთხე ტური. 6 მატჩში გატანილი 21 გოლი ურიგო შედეგი როდია. 3 გოლი და არც ერთი ქულა, ასეთია სტუმართა მწირი და სამარცხვინო მონაგარი.

ასე მიგორავს ქართული ფეხბურთის ურემი. თამაშ-თამაშ ჯერ ორთვალაზე უნდა გადავჯდეთ, მერე ავტომობილზე და ასე შემდეგ. მსოფლიოს ფეხბურთი კი ბოინგით მოგზაურობს. რას ვიზამთ, იქ დონეა, აქ...

**მამუკა ძგანტალიანი**

| ბომბარდირები | |
|---|---|
| 6 - აშვეთია | ტორპედო |
| 5 - ბობოხიძე | დინამო |
| 4 - წივწივაძე | კოლხეთი |
| 3 - იონანიძე | ტორპედო |
| დავითაშვილი | მერანი |



„მერანი“ — „ბათუმი“. ავჭალელ გიორგი ილურიძეს (ბურთით) კახი ქაცარავა ვერ დაეწია

### სიმბოლური ნაკრები

- მიხეილ აშვეთია — ტორპედო
- მიხეილ ბობოხიძე — დინამო
- დავით კვირკველია — კოლხეთი
- გიორგი ანჩაბაძე — ლოკომოტივი
- გივი დიდავა — ტორპედო
- ლადო ბურდული — დინამო
- ალეკო ამისულაშვილი — დინამო
- ლაშა ფირანგიშვილი — სამგურალი
- გოჩა გუჯაბიძე — მერანი
- გიორგი ბალაშვილი — ლოკომოტივი
- გიორგი ლომაია — ლოკომოტივი

გუნდი: ლოკომოტივი

მწვრთნელი: კახა ცხადაძე

| უმაღლესი ლიგა | სულ | | | | | | | შინ | | | | | | | სტუმრად | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| № გუნდები | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ | თ | მ | ფ | წ | ბ | ს | ქ |
| 1 ტორპედო | 4 | 4 | 0 | 0 | 11:0 | 11 | 12 | 3 | 3 | 0 | 0 | 9:0 | 9 | 9 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 |
| 2 მერანი | 4 | 3 | 1 | 0 | 8:1 | 7 | 10 | 2 | 2 | 0 | 0 | 4:0 | 4 | 6 | 2 | 1 | 1 | 0 | 4:1 | 3 | 4 |
| 3 კოლხეთი | 4 | 3 | 0 | 1 | 10:5 | 5 | 9 | 3 | 3 | 0 | 0 | 10:2 | 8 | 9 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 |
| 4 ბათუმი | 4 | 2 | 1 | 1 | 5:2 | 3 | 7 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 2 | 0 | 1 | 1 | 0:1 | -1 | 1 |
| 5 დინამო | 4 | 2 | 1 | 1 | 9:4 | 5 | 7 | 3 | 2 | 1 | 0 | 9:2 | 7 | 7 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | -2 | 0 |
| 6 ლოკომოტივი | 4 | 2 | 0 | 2 | 7:5 | 2 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 6:1 | 5 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 1:4 | -3 | 0 |
| 7 სამგურალი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:9 | -4 | 6 | 2 | 2 | 0 | 0 | 5:1 | 4 | 6 | 2 | 0 | 0 | 2 | 0:8 | -8 | 0 |
| 8 გორდა | 4 | 1 | 1 | 2 | 4:8 | -4 | 4 | 2 | 1 | 0 | 1 | 3:5 | -2 | 3 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 |
| 9 ვიტ ჯორჯია | 4 | 1 | 1 | 2 | 6:6 | 0 | 4 | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 0 | 1 | 3 | 1 | 0 | 2 | 6:6 | 0 | 3 |
| 10 სიონი | 4 | 1 | 0 | 3 | 2:9 | -7 | 3 | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 2 | 3 | 3 | 0 | 0 | 3 | 0:9 | -9 | 0 |
| 11 გურია | 4 | 0 | 1 | 3 | 3:8 | -5 | 1 | 2 | 0 | 1 | 1 | 1:3 | -2 | 1 | 2 | 0 | 0 | 2 | 2:5 | -3 | 0 |
| 12 მეტალურგი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:15 | -13 | 0 | 1 | 0 | 0 | 1 | 0:3 | -3 | 0 | 3 | 0 | 0 | 3 | 2:12 | -10 | 0 |

# საქართველოს 13 ჩემპიონატი პირველი ლიგა პირველი ეტაპი 2 ტური

მიმოხილვა

გორი
19 აგვისტო
18.30 საათი
ცენტრალური
500 (ტევადობა 8 230)

## დილა 3:1 ცხინვალი

1:0 ხორგუაშვილი (55), 2:0 ბ. ჩიტაია (67), 2:1 ეჯოშვილი (75), 3:1 ბ. ჩიტაია (77)
დილა: სოლოლაშვილი, გ. ჩიტაია, ხაჭაპურიძე, გ. ლომიძე, ლ. გოჩაშვილი, მ. ბურნაძე, საყვარელიძე (გოგინაშვილი 76), ფეხუაშვილი, ბ. ჩიტაია, ხორგუაშვილი (მძინარიშვილი 67), ა. ხმალაძე (არუთინიანი 32)
სათადარიგონი: ილურიძე, გაგნიძე
ცხინვალი: ქქსანაშვილი, ელისაშვილი, ქობესაშვილი, ბ. ტეგმალაძე, ხოხობაშვილი, მარგიევი (ოლგექსაშვილი 54), ნასუაშვილი (მ. სომხიშვილი 54), მოსიაშვილი, ციცქიშვილი, ეჯოშვილი, ბოქორაძე (აბულაძე 67)
სათადარიგონი: მდივანი; ყაჩლავაშვილი, გ. გულაშვილი, ჩაჩიბაია
მსაჯები: დ. სანაია (სოხუმი); ლ. კვარაცხელია, ზ. ერქვანია; ს. კვარაცხელია (სამივე ზუგდიდი)

წნორი
19 აგვისტო
18.30 საათი
ქიზიყი არენა
2 000 (ტევადობა 3 000)

## მილანი 2:0 სამტრედია

1:0 მ. სამხარაძე (37), 2:0 ტოკლიკიშვილი (78)
მილანი: გრძელიძე, ტარუღაშვილი, მ. სამხარაძე, ნინუა (ჩიტაური 51), ტოკლიკიშვილი, მედოევი, ჯიქიძე, გველესიანი, მეტონიძე, ე. გელაშვილი, გოლეთიანი
სათადარიგონი: ბურჯანაძე; პ. სოხაძე, გაბრიჭიძე, აბრამიშვილი, თ. სამხარაძე
სამტრედია: ხარძეიშვილი (თავაძე 81), ჯულაყიძე, ს. გოგია, თოდაძე, მაღლაკელიძე, რუხაძე, კაკელიძე (ნიკურაძე 46), ფხაკაძე (ბოხუა 56), ჩიგოგიძე, ხურციძე, ლევან მეგენეიშვილი
სათადარიგო: ლერი მეგენეიშვილი
გაფრთხილება: მაღლაკელიძე (31), ბოხუა (73), მ. სამხარაძე (73)
მსაჯები: ა. ორდინიძე (ონი); ო. ხეცაძე, ა. ნონიკაშვილი; ლ. ფანიაშვილი (სამივე თბილისი)

თბილისი
19 აგვისტო
18.30 საათი
26 მაისი
200 (ტევადობა 35 000)

## ლოკომოტივი 3 1:1 ხობი

1:0 სოსელია (16), 1:1 ხურცილავა (24)
ლოკომოტივი 3: იჯარდავა, გოგნაძე, ტაბიძე (ხურმავა 46), გ. ლაცაბიძე (გავაშელიძე 6), მაჩხავა, ვლასოვი, არუდაშვილი, ლხურცილავა (ბერელიძე 46), დემეტრაძე, სოსელია, სირბილაძე
სათადარიგონი: ჯამბურია, რქვიაშვილი, კობერიძე, სიამაშვილი
ხობი: ნაჭოფია, ჯამბურია, დანელია, ლ. ჯაბუა, ი. ჯაბუა, კ. ხურცილავა, ჯალარკავა, ა. ჯიქია, ზაზა აიანადი, ხაჭალია (ფიფია 84), როგავა
სათადარიგონი: ბერაია; ტყებუჩავა, ალანია, ახალაია
გაფრთხილება: კ. ხურცილავა (31), ვლასოვი (37)
გაძევება: კ. ხურცილავა (67)
მსაჯები: გ. კიკაჩეიშვილი (ქუთაისი); ჯ. ბუიშვილი (ჭიათურა), ვ. ელისაბედაშვილი (თბილისი); ა. შალამბერიძე (ქუთაისი)

ქობულეთი
19 აგვისტო
18.30 საათი
ცენტრალური
1 000 (ტევადობა 8 000)

## თორი 0:1 ქობულეთი

0:1 თალაკვაძე (55)
თორი: სულავა, სადილიანი, ქოხონელიძე, ლეკიშვილი, სეფერთელაძე, ლ. ფირცხალავა, ტარიელაშვილი, ზაქარეიშვილი (მ. ბურდული 46), ნამგალაძე, ცინაძე, ლეკიშვილი
სათადარიგონი: ა. ლაბაძე, წიქარიშვილი, ზარანდია
ქობულეთი: გოგმაჩაძე, გ. გოგუა, ოქრობირიძე, ლომთათიძე, გეგეშიძე, ჯ. ბერიძე, ანჯაფარიძე, თალაკვაძე, ბაჟუნაიშვილი, კალანდაძე, კვირკველია (ჩახუნაიშვილი 77)
სათადარიგონი: ვაჩეიშვილი; თედორაძე, ყალიჩავა, დ. ჯინჭარაძე, ა. ჯინჭარაძე
გაფრთხილება: ცინაძე (35), კვირკველია (40)
მსაჯები: ი. კახიანი; კ. თბილელი (ორივე თბილისი), ი. ბჟღიაური (დუშეთი); მ. მაისურაძე (თბილისი)

მცხეთა
20 აგვისტო
18.30საათი
არმაზი
500 (ტევადობა 3 000)

## თსუ 1:0 დინამო 2

1:0 მესხი (12)
თსუ: გუგუნავა, დათუნაიშვილი, ქრაშვილი (ქუჩილავა 87), ბერიანიძე, ჯობავა, დ. ჩოხელი (იაკობიძე 75), ბ. ნოზაძე (მოშიაშვილი 65), მერებაშვილი, მესხი, კუპრეიშვილი, ლობჟანიძე
სათადარიგონი: ქრიკიშვილი; ეგაძე, სიხარულიძე, ჯოჯუა
დინამო 2: მამალაძე, ბოქორიშვილი, ექონია, გოგოლაძე, სახურია, ბ. შელია (ა. შელია 67), ი. გელაშვილი, მიქავა, დავითულიანი (მეგანაძე 25), კვიციანი (წონელიძე 70), ქარდავა
სათადარიგონი: ა. მუმლაძე, ფოცხაძე, ებრალიძე
გაფრთხილება: ლობჟანიძე (20), ჩოხელი (30), ქარდავა (30)
მსაჯები: კ. მესხი (ზუგდიდი); ლ. სილაგავა, ზ. დოლიძე; მ. მალალურაძე (სამივე თბილისი)

ზუგდიდი
20 აგვისტო
18.34 საათი
ცენტრალური
1 500 (ტევადობა 7 500)

## ლაზიკა 2:0 მერანი 2

1:0 გ. თოდუა (6), 2:0 ბაკარანძე (55)
ლაზიკა: ბულია, კვიტატიანი (რქვიაშვილი 67), ო. გვაზავა, დიდიძე, მებონია (ლიბარტია 46), ფიფია, ქარჩავა, კუპრავა (გამსახურდია 78), თოდუა, ბაკარანძე, ვ. ჯოჯუა
სათადარიგონი: ხუხია, თ. თოდუა, გვიჩია, მ. კვარაცხელია
მერანი 2: გიორბელიძე, ქითანავა, ჩხაიძე (გ. სვანიძე 46), ცვანია, ქალიაშვილი, ბდუაშვილი, ქირია, მინჯია, თოლორდავა (გ. სილაგავა 56), ფურცელაძე, იაკობიძე (გაბედავა 68)
სათადარიგონი: თოდუა; კვანტალიანი, ქობალია, კინწურაშვილი
გაფრთხილება: ადუაშვილი (34), ქითანავა (34), კვიტატიანი (56), ბაკარანძე (61), ქირია (79), გვაზავა (84)
მსაჯები: პ. დოგრაშვილი; მ. რუხიშვილი (ორივე ქუთაისი), მ. ნაკაიძე (ლანჩხუთი); ლ. რაზმაძე (გორი)

# ბორჯომში, პლაჟზე... ვაგონი დავდგით ვაგონზე?

**დებულების** დარღვევით დაიწყო პირველი ლიგის ჩემპიონატი და ასევე გრძელდება. შეგახსენებთ, ზუგდიდის „ლაზიკას" სანახევროდ ჰქონდა სამონაწილეო თანხა გადახდილი გათამაშებაში რომ ჩაება, ბორჯომის „თორი" კი ფედერაციამ სულაც „პოსლეზე" დაუშვა ჩემპიონატში.

ეტყობა, სფფ-ს რეგლამენტის დარღვევა დიდად არ ანაღვლებს, რადგან „თორს" დღემდე არა აქვს სამონაწილეო გადახდილი. ამას დაუმატეთ ისიც, რომ ბორჯომელებს შინაური სარბიელიც არა აქვთ მწყობრში, სამწუხაროდ, მწარე სინამდვილეა სფფ-ის ერთ-ერთი ჩინოსნის მოსაზრებაში, რომლის თანახმადაც ფედერაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს, სად ითამაშებს „თორი", მთავარია, ბორჯომელებმა ფული გადაიხადონ. ქართული ფეხბურთის სავალალოდ, ასე ბევრი ფიქრობს ფედერაციაში. სავალალოა დასკვნაც — სფფ მოვალეობის მოხდის მიზნით ატარებს პირველი ლიგის ჩემპიონატს. სხვა რა უნდა ვიფიქროთ, როცა მეორე ტურის ქობულეთურ შეხვედრაში „თორი" მასპინძლის რანგში თამაშობდა „ქობულეთთან". ასეთ დროს რა სპორტულ პრინციპებზე შეიძლება ლაპარაკი.

ერთი პარადოქსიც, ასე თუ გაგრძელდა, მალე საქართველოს ჩემპიონატის ნაცვლად რკინიგზის ჩემპიონატი შეგვრჩება ხელთ. რკინიგზელებს ორი გუნდი ჰყავთ უმაღლეს ლიგაში — „ლოკომოტივი" და „გურია", ერთიც პირველ ლიგაში — „ლოკომოტივი 3". რამდენიმე დღის წინ კი წყალი შეუდგა სამტრედიის „იბერიას" ხელმძღვანელობას და ეს გუნდი დღეს იურიდიულად არ არსებობს. სამტრედიაში შეიქმნა ახალი კლუბი, რომელსაც „ლოკომოტივი" ეწოდა. დღეს სფფ-ში მონდომებით ამტკიცებენ, ამ გუნდს რკინიგზასთან არანაირი კავშირი არა აქვსო, იგივეს ამბობს „ლოკომოტივის" ვიცე-პრეზიდენტი ტარიელ ღვაბერიძეც, მაგრამ ფაქტები სხვა რამეზე მეტყველებს. ჯერ ერთი, სფფ-ში ვერ ან არ გვეუბნებიან, თუ ვინ არის სამტრედიული „ლოკომოტივის" პრეზიდენტი და მეორე და უმთავრესი, ახლადგამომცხვარი გუნდის ფეხბურთელთა თქმით, მათი გუნდის პრეზიდენტი აკაკი ჩხაიძეა და ხელფასსაც რკინიგზიდან აიღებენ. ასე რომ, ეშელონი იზრდება. ისე, სფფ პირველ ლიგაში გუნდებისთვის ადგილების ჩამორიგებით ვერავის გააკვირვებს. გავიხსენოთ, რომ ჩემპიონატის დაწყების წინ საეჭვო ვითარებაში იქცა სამტრედიის „ოკეანე" თბილისის „დინამო 2"-ად.

ცოტა რამ პირველი ლიგის მეორე ტურზეც ვთქვათ, პირველისგან განსხვავებით, სრულად რომ ჩატარდა. ქობულეთში სტუმარმა „ქობულეთმა" მასპინძელი „თორი" დაამარცხა თალაკვაძის ერთადერთი გოლით. ეს მატჩი საქმეს დაბრუნებულმა თბილისელმა იოსებ კახიანმა განსაჯა. ქობულეთელები მშობლიურ „ცენტრალურზე" მთელი მატჩის განმავლობაში ბატონობდნენ და მეტი ყურადღება რომ გამოეჩინათ, ერთ გოლს არ იკმარებდნენ.

2000-მდე ქომაგი დაესწრო „მილანის" და სამტრედიის „ლოკომოტივის" მატჩს. ქიზიყელთა სასიხარულოდ, მათმა ჯილამ გაიმარჯვა. მასპინძლები პირველი ტაიმის ბოლოს მირზა სამხარაძემ დააწინაურა, რასაც 78-ე წუთზე „მილანის" მეგოლე დავით ტოკლიკიშვილმა მეორე გოლი მიაყოლა და თავისი გუნდი გათამაშების ცხრილის სათავეში მოაქცია.

მცხეთაში, პირველ ტურში დამარცხებული თსუ „დინამო 2"-ს შეხვდა. ამ მატჩში მიხეილ მესხის პირველ ტაიმში გატანილმა გოლმა გადაწყვიტა ყველაფერი. დინამოელები ბევრს ეცადნენ, მაგრამ ანგარიში ველარ გაათანაბრეს.

ოფიციალურ მატჩში მამა-შვილს ჩვენში აქამდეც უმსაჯიათ ერთად. გორში „დილა" — „ცხინვალის" მატჩისას თანამსაჯ ლევან კვარაცხელიას უმკაცრესი შემფასებელი ჰყავდა იმ შეხვედრის სათადარიგო არბიტრ სერგო კვარაცხელიას სახით. ისე ლევანს ერთობ აქებენ, მამის ალი-კვალიაო. ახალგაზრდა მსაჯისადმი სამსაჯო-საინსპექტორო კომიტეტშიც კეთილგანწყობილნი არიან და მალე უმაღლეს ლიგაში თანამსაჯობასაც ანდობენ.

რაც შეეხება თავად მატჩს, მართალია, სტუმრებმა პირველ ტაიმში მშრალად შეინახეს კარი, მაგრამ შემდეგ ვერაფერი მოუხერხეს ხორგუაშვილს და კომპანიას და ხელმოცარულნი დარჩნენ. „დილამ" ფაქტობრივად შეინარჩუნა შარშანდელი ბირთვი. გუნდი გაწყობილ-შეთამაშებულია და შესაბამისად უმაღლეს ლიგაში ანაცვლების სხვებზე მეტი შანსიც აქვს. მასპინძლები ხორგუაშვილმა დააწინაურა 35-ე წუთზე, რასაც მეორე ტაიმის შუაში ბექა ჩიტაიას მეორე გოლი მოჰყვა. სტუმართა საპასუხოც გორელის იყო, წინა ჩემპიონატში ეჯმუნდოდ მონათლულმა დავით ეჯოშვილმა ყოფილი გუნდი არ დაინდო და ანგარიშის სხვაობა მინიმუმამდე შეამცირა, თუმცა ორ წუთში ბექა ჩიტაიამ დუბლი შეასრულა და „დილა" სამი ქულით უზრუნველყო.

ზუგდიდში ოთხი წუთით გვიან დაიწყო „ლაზიკა" — „მერანი 2"-ის შეხვედრა. მიზეზს არ იკითხავთ, ორგანიზატორებმა ზედ მატჩის წინ აღმოაჩინეს, რომ მოედანს გვერდითი ხაზი არ ეტყობოდა. ტექნიკური პრობლემა ახალი მოგვარებული იყო, თოდუამ ანგარიში რომ გახსნა და სტადიონზე მოსული 1500-მდე ქომაგი გაახარა. „ლაზიკა" მერეც მონდომებით ირჯებოდა და 55-ე წუთზე მეორე გოლის გატანაც შეძლო.

მეგოლე გაუძევეს „ხობს" თბილისში. გიორგი კიკაჩეიშვილმა კალისტრატე ხურცილავა ორი ყვითელი ბარათით გაუყენა გასახდელის გზას. რკინიგზელებს დრო საკმაო ჰქონდათ მატჩის მოსაგებად, მაგრამ დაცვაში ჩამჯდარ სტუმრებს ვერაფერი მოუხერხეს. შესაბამისად პირველ ტაიმში გატანილ გოლებს მეტი აღარ წამატებია და მატჩიც ფრედ 1:1 დასრულდა.

პირველი ლიგის მესამე ტური 25 აგვისტოს ჩატარდება, რაც შეეხება პირველი ტურის გადადებულ სამ შეხვედრას, სფფ-ის საშეჯიბრო კომიტეტი მათ გამართვას სექტემბრის დასაწყისში ვარაუდობს.

**პაატა ძგანტალიანი**

# მწვრთნელებს დირექტორი დაუნიშნეს

## ფედერაციამ გაიოზ დარსაძეს კონტრაქტი გაუფორმა

**მთელ** დალაგებულ მსოფლიოში ასეა მიღებული — პურს მეპურე აცხობს, მეწაღე წაღს კერავს და ასე შემდეგ, საათივით აწყობილია მათი საქმე.

ჩვენშიც კარგად უწყიან ყველაფერი, მაგრამ რატომღაც ხშირ შემთხვევაში პურს მეწაღე აცხობს, ხოლო ხაბაზი კერავს. ჰოდა, საქმეებიც შესაბამისად მიგვდის. საბედნიეროდ, ზოგჯერ დროულად ხვდებიან შეცდომას და გამოსწორებასაც ცდილობენ, მაგრამ დაკარგული დრო ხომ უკან არ დაბრუნდება.



გაიოზ დარსაძე

სამი წელიწადი ეძებდა საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია მწვრთნელთა განათლების და პროგრესკურსების ხელმძღვანელს. განვლილ სამ წელიწადში რამდენიმე კანდიდატურაც შეირჩა, მაგრამ საქმეს თავი აქამდე ვერ მოება. ანაც რაღა იყო ამდენი საძებნი. მთელმა ქვეყანამ იცოდა ყველაზე რეალური კანდიდატის ვინაობა, მაგრამ რატომღაც ვერ იხსენებდნენ.

ნათქვამია, სჯობს გვიან, ვიდრე არასდროსო, ფეხბურთის ფედერაციამ „მწვრთნელთა განათლების დირექტორი" დანიშნა. ორ მხარეს შორის კონტრაქტი უკვე ხელმოწერილია და ოფიციალური დოკუმენტი მომავალი წლის დეკემბრამდე იქნება ძალაში.

გაიოზ დარსაძე — ზუსტად ვერც გავიხსენებთ რამდენი პროგრესკურსი, სემინარი თუ კონფერენცია მოუვლია. არ დაჰკლებია ფიფასა თუ უეფას მიერ მოწყობილ შესაბამის ღონისძიებებს. გაიოზ დარსაძე პროფესიონალი, უეფას მიერ ლიცენზირებული მწვრთნელია და წლების მანძილზე დიდი თეორიული ცოდნაც დაუგროვებია. პრაქტიკულად კი დარსაძეს წყალტუბოს „სამგურალის" შემდეგ, რომელსაც 1999 წელს საქართველოს თასის ფინალში გაალწევინა, აღარსად უმუშავნია.

ფეხბურთის ფედერაციას გადაწყვეტილებას ნამდვილად ვერ დავუწუნებთ, მაგრამ დაკარგულ სამ წელიწადს რაღა ვუყოთ, რომელმაც გვარიანი უფსკრული დატოვა თანამედროვე და ქართულ ფეხბურთს შორის?!

გაიოზ დარსაძემ 15 სექტემბრისთვის ფეხბურთის ფედერაციას სამოქმედო პროგრამა უნდა წარუდგინოს და მერე ალბათ საქმეც დაიძრება. ბავშვთა მწვრთნელების ლიცენზირება, სემინარების მოწყობა და კიდევ სხვადასხვა სიახლეებია მოსალოდნელი.

ერთი სიტყვით, მწვრთნელთა განათლება მცოდნე პატრონს მიანდეს, ჯერი დირექტორზეა. აქამდე უმუშევარი დარსაძე საქმეს იწყებს...

**გამუკა ძგანტალიანი**

# დეკანოსიძეს უვე მოუხსნეს

**გერმანული** მეორე ბუნდესლიგის „ფიურტის" პრეზიდენტმა მთავარი მწვრთნელი უვე ერკენბრეხერი დაითხოვა. შეგახსენებთ, „ფიურტში" ქართველი გიორგი დეკანოსიძე ირიცხება, რომელსაც გუშინ გერმანიაში შევეხმიანეთ, გუნდში მომხდარ ცვლილებაზე დავეკითხეთ. დეკანოსიძის თქმით ერკენბრეხერს კლუბის პრეზიდენტთან პრობლემები დიდი ხანია ჰქონდა. მისი გადაყენება „ფიურტის" ხელმძღვანელობას წინა სეზონშიც სდომებია, თუმცა ერკენბრეხერმა პოსტის შენარჩუნება შეძლო. წლევანდელ ჩემპიონატში „ფიურტმა" მისი ხელმძღვანელობით ოთხი მატჩი ჩაატარა. აქედან ორი მოიგო და ერთიც ფრედ დაამთავრა, ერთიც წააგო. ამჟამად „ფიურტი" პირველადგილოსან „აინტრახტს" მხოლოდ სამი ქულით ჩამორჩება, მაგრამ კლუბის პრეზიდენტმა ეს არ გაითვალისწინა და ერკენბრეხერს კარისკენ მიუთითა.

კლუბს დროებით მეორე მწვრთნელი უთავკაცებს.

გამორიცხული არ არის, საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებში გამოძახებულ გიორგი დეკანოსიძეს გერმანიაში დაბრუნებისას უკვე ახალი მწვრთნელი დახვდეს.

მოგეხსენებათ, ერკენბრეხერი დეკანოსიძეს არ სწყალობდა. იმედია, მისი გადაყენება მაინც გაუღებს ქართველ ფეხბურთელს ძირითადი შემადგენლობის კარს.

**ქახა ზალამბერიძე**

# ჯინჭარაძემ ახტა და მძიმთან დახტა

**პაატა ჯინჭარაძე** სარატოვის „სოკოლში" ქუთაისის „ტორპედოდან" გადავიდა. მართალია, სარატოველთა ძირითადში იგი თითქმის ვერ ხვდებოდა, მაგრამ მწვრთნელი ალექსანდრ კორეშკოვი პაატას ვარჯიშებზე ატყობდა, რომ სულ მალე მას „სოკოლის" ძირითადში მოუწევდა თამაში. კორეშკოვი კმაყოფილი გახლდათ, ჯინჭარაძე ვარჯიშზე ძალიან მონდომებულიაო.

ხომ გაგიგიათ, კაცი ბჭობდა, ღმერთი იცინოდაო... პაატა ჯინჭარაძემ „სოკოლის" ერთ-ერთ ვარჯიშზე, ორმხრივი თამაშისას სერიოზული ტრავმა მიიღო და მწყობრიდან სულ ცოტა ორი კვირით გამოვიდა.

ჯინჭარაძე საჰაერო ორთაბრძოლისას მინდორზე ცუდად დაცემულა და ფეხი გადაბრუნებია. გუნდის ექიმებმა პაატას ბურთთან მიკარება კი არა, მცირედი დატვირთვაც კი აუკრძალეს, თუმცა კი დაამშვიდეს, საოპერაციო არ ხარო.

**გიორგი გუგაძიძე**

# ვის უნდა ნამდვილი ფეხბურთის თამაში?..



გიორგი ნემსაძემ კი გაიტანა, მაგრამ მხოლოდ პრესტიჟისა

**ᲖᲐᲤᲮᲣᲚᲘᲡ** ბოლოა და ჩემპიონატებიც თითქმის ყველგან დაიწყო. უახლოეს დღეებში იტალია, ესპანეთი და ისრაელიც ჩაებმებიან საქმეში და ყველა ჩვენი ლეგიონერი უკვე ოფიციალური მატჩებისთვის დასაქმდება, თუკი, ცხადია, შემადგენლობაში მოხვდებიან. თორემ უცხოეთში მოთამაშენი ჰქვიათ და ზოგჯერ სეზონი ისე ჩაივლის, ძირითადის მაისურას სულ ერთ-ორჯერ მოირგებენ. ეგებ გარედან სხვაგვარად ჩანს, მაგრამ გვგონია, რომ ბიჭებისთვის, ვინც მთელი წელი სკამზე ზის, უმჯობესი იქნება უფრო დაბალი რანგის გუნდებში გადავიდნენ. სათამაშო პრაქტიკა მაინც ექნებათ, სამომავლო პერსპექტივაც გაეზრდებათ და თუ ფინანსურად რაიმეს წააგებენ, მერე ამას ერთი-ორად აინაზღაურებენ.

ერთი რამ დავაზუსტოთ. აქ ლაპარაკია იმათზე, ვისაც ნამდვილი ფეხბურთის თამაში სურს. ვფიქრობთ, უკვე წავიდა ის დრო, როცა მოთამაშეს მხოლოდ გუნდის სახელით აფასებდნენ და იმას კი არ კითხულობდნენ, ამ გუნდში რა როლი და დამსახურება ჰქონდა.

ახლა უახლეს ამბებს მივხედოთ. ამ უქმეებზე სეზონი დაიწყო ინგლისსა და ჰოლანდიაში. პრემიერლიგის პირველ ტურში კარგად ითამაშა გიორგი ქინქლაძის „დერბიმ“. „ცხვრებმა“ ლიგაში დაბრუნებულ „ბლექბერნს“ ახალნაყიდი რავანელისა და კრისტის გოლებით 2:1 მოუგეს. გიომ ბოლო 26 წუთს ითამაშა.

მეორე პრემიერლიგელის, რატი ალექსიძის საქმე კი გაურკვეველია. ჯერჯერობით ის „ჩელსის“ ფეხბურთელად ითვლება, თუმცა, ჩვენი ინფორმაციით, ამ გუნდში გაჩერებას აღარ აპირებს. მისი ამბავი უახლოეს დღეებში გაირკვევა.

ჰოლანდიაში ორივე ქართველმა ითამაშა. შოთა არველაძის „აიაქსი“ შინ „როდასთან“ 83-ე წუთამდე აგებდა და ვან დერ ვაარტის გოლით გადარჩა. ფრედ ითამაშა გოგა გახოკიძის „ეინდჰოვენმაც“, ოღონდ სტუმრად, „გრონინგენთან“. ჩვენებურმა ჰოფლანდი შეცვალა და მინდორზე ბოლო 17 წუთი დაჰყო.

გერმანიაში მესამე ტურია აღარ გაუმარჯვია „ფრაიბურგს“. თუმცა გამარჯვება კი არა და, „ვოლფსბურგთან“ შეხვედრამდე ზედიზედ ორი მატჩი წააგო. გერმანულ პრესაში დაახლოებით ასეთი აზრი გამოიკვეთა: „ფრაიბურგი“ ჯერაც ვერ გამოსულა იმ ეიფორიიდან, რომელიც მათ შარშან მოპოვებულმა უეფას თასის საგზურმა მოუტანა. ამ პატარა კლუბისთვის ხომ ეს უდიდესი მიღწევაა. წლევანდელი სეზონიც რიხით დაიწყეს, შინ „ვერდერს“ 3:0 მოუგეს და... მერე რაღაცა აერიათ, მომდევნო სამ მატჩში მხოლოდ ერთი კინკილა ქულა აიღეს და ვერც გააზრებული თამაშით დაამახსოვრეს ქომაგს თავი. არადა, უეფას თასის მატჩებიც ლამის კარს მოადგათ და ადგილობრივი გულშემატკივრებიც ამ ამბავს მოუთმენლად ელიან.

მაგრამ თამაში? გერმანული სააგენტოები იუწყებიან, რომ „ვოლფსბურგთან“ მატჩში სტუმარ ფრაიბურგელებს დიდი უპირატესობა ჰქონდათ და სელიმის გოლით იგებდნენ კიდეც, მაგრამ მასპინძლებმა გათანაბრება მოახერხეს, მერე კი დაცვა გაამაგრეს და მოწინააღმდეგეს აღარ გაატანინეს.

შესაძლოა, „ფრაიბურგი“ „ვოლფსბურგის“ ფონზე გამოჩნდა, თორემ რას უნდა მივაწეროთ ის დაბალი შეფასებები, რომლებიც „კიკერმა“ ფინკეს ბიჭებს დაუწერა? ასეთი რამ არცთუ ხშირად ხდება, ყველაზე მაღალი შეფასება ტობიას ვილიმ მიიღო — 2,5, რაც ხუთბალიან სისტემაში საშუალოდ შეიძლება მივიჩნიოთ, დანარჩენებმა კი უმდაბლესი ნიშნები დაიმსახურეს.

ჩვენებურთაგან კობიაშვილს 3, ხოლო იაშვილს სულაც 5-იანი ერგო... მართალი გითხრათ, იაშკას ასეთ დაბალ შეფასებას ვერც ვიხსენებთ.

აი, ასეა საქმე. თუმცა, რაიმე კრიზისზე საუბარი ზედმეტი გვგონია. უბრალოდ, ფაქტია საყურადღებო.

აბა, ჩავარდნები ვის არ ჰქონია. ფინკეს გუნდი კი ყოველთვის ერთიანობითა და ბრძოლისუნარიანობით გამოირჩეოდა. ამიტომ, იმედია დროებით ჩავარდნას მალე დასძლევენ. მათი ევრომეტოქე კი რამდენიმე დღეში გვეცოდინება.

როგორც იქნა, რუსეთის უმაღლეს ლიგაში კვლავ ითამაშა ქართველმა. ამასაც მოვესწარით...

სპარტაკელი კახა მჟავანაძე „ფაკელთან“ მატჩის ბოლო 10 წუთს გამოჩნდა მინდორზე. ამ დროისთვის „სპარტაკი“ ვორონეჟელებს უკვე 5:0 უგებდა.

ზაზა ჯანაშიამ ერთი ტაიმი „ლოკომოტივის“ დუბლშემადგენლობაში ითამაშა. ძირითადების მატჩში კი სათადარიგო იყო. რკინიგზელებმა ვლადიკავკაზიდან მხოლოდ ერთი ქულა წაიღეს, არადა, დამთავრებამდე რვა წუთით ადრე იგებდნენ და თითქოს ცუდადაც არ თამაშობდნენ.

დაბოლოს, საქართველოს ნაკრების კაპიტანმა გიორგი ნემსაძემ შოტლანდიაში წლევანდელი გოლების ანგარიში გახსნა, თუმცაღა მისმა „დანდიმ“ „ჰარტსთან“ 1:3 წააგო.

**ᲡᲝᲚᲝᲛᲝᲜ ᲒᲣᲚᲘᲡᲐᲨᲕᲘᲚᲘ**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **ᲒᲔᲠᲛᲐᲜᲘᲐ** | | | | | | | | |
| ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე იაშვილი | ფრაიბურგი | ს | ვოლფსბურგი 1:1 | 81 | შეცვალეს | 4 | 1 | 10 |
| ლევან კობიაშვილი | ფრაიბურგი | ს | ვოლფსბურგი 1:1 | 90 | გააფრთხილეს | 4 | 1 | 10 |
| ლევან ცქიტიშვილი | ფრაიბურგი | ს | ვოლფსბურგი 1:1 | 0 | | 3 | 0 | 10 |
| გიორგი კიკნაძე | ფრაიბურგი | ს | ვოლფსბურგი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 10 |
| ზაზა ზამთარაძე | ფრაიბურგი | ს | ვოლფსბურგი 1:1 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 10 |
| არჩილ არველაძე | კიოლნი | შ | გლადბახი 0:2 | 17 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 11 |
| მეორე ბუნდესლიგა | | | | | | | | |
| გიორგი დეკანოსიძე | ფიურტი | ს | როიტლინგენი 1:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 0 | 0 | 9 |
| **ᲘᲜᲒᲚᲘᲡᲘ** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ქინქლაძე | დერბი | შ | ბლექბერნი 2:1 | 26 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 5 |
| რატი ალექსიძე | ჩელსი | შ | ნიუკასლი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 9 |
| პირველი დივიზიონი | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ვულვზი | ს | ქოვენთრი 1:0 | 20 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 6 |
| **ᲨᲝᲢᲚᲐᲜᲓᲘᲐ** | | | | | | | | |
| პრემიერლიგა | | | | | | | | |
| გიორგი ნემსაძე | დანდი | ს | ჰარტსი 1:3 | 90 | 1 გოლი, გააფრთხილეს | 4 | 1 | 4 |
| ზურაბ ხიზანიშვილი | დანდი | ს | ჰარტსი 1:3 | 90 | | 4 | 0 | 4 |
| **ᲰᲝᲚᲐᲜᲓᲘᲐ** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | აიაქსი | შ | როდა 1:1 | 90 | | 1 | 0 | 8 |
| გოგა გახოკიძე | პსვ ეინდჰოვენი | ს | გრონინგენი 2:2 | 17 | შეცვლაზე ითამაშა | 1 | 0 | 6 |
| **ᲑᲔᲚᲒᲘᲐ** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| გელა შეყილაძე | ლიერსი | შ | ბევერენი 1:1 | 0 | სათადარიგო | 0 | 0 | 12 |
| მამუკა წერეთელი | ლიერსი | შ | ბევერენი 1:1 | 9 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 12 |
| **ᲨᲕᲔᲘᲪᲐᲠᲘᲐ** | | | | | | | | |
| უმაღლესი დივიზიონი | | | | | | | | |
| გოჩა ჯამარაული | ციურიხი | | ლუგანოსთან მატჩი გადაიდო | | | 6 | 1 | 2 |
| მიხეილ ყაველაშვილი | ციურიხი | | ლუგანოსთან მატჩი გადაიდო | | | 7 | 7 | 2 |
| ლევან ხომერიკი | აარაუ | შ | ბაზელი 1:1 | 0 | ტრავმირებულია | 0 | 0 | 5 |
| **ᲐᲕᲡᲢᲠᲘᲐ** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| დავით მუჯირი | შტურმი | შ | გრაცერი 2:0 | 0 | განაცხადში ვერ მოხვდა | 1 | 0 | 2 |
| **ᲠᲣᲡᲔᲗᲘ** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ზაზა ჯანაშია | ლოკომოტივი | ს | ალანია 1:1 | 0 | სათადარიგო | 17 | 2 | 2 |
| ვლადიმერ კაკაშვილი | ლოკომოტივი | ს | ალანია 1:1 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 2 |
| ოთარ ხიზანეიშვილი | როსტსელმაში | ს | ზილ 0:0 | 0 | სათადარიგო | 3 | 0 | 11 |
| დავით ხმელიძე | როსტსელმაში | ს | ზილ 0:0 | 0 | სარეზერვო გუნდშია | 0 | 0 | 11 |
| კახა მჟავანაძე | სპარტაკი | ს | ფაკელი 5:0 | 10 | შეცვლაზე ითამაშა | 2 | 0 | 1 |
| დავით ქოქიაშვილი | სპარტაკი | ს | ფაკელი 5:0 | 0 | | 0 | 0 | 1 |
| პაატა ჯინჭარაძე | სოკოლი | ს | კრილია 0:1 | 0 | | 0 | 0 | 7 |
| ედიკ საჯაია | ტორპედო | შ | ზენიტი 3:2 | 0 | | 0 | 0 | 6 |
| პირველი ლიგა | | | | | | | | |
| ზვიად ჯელაძე | ბალტიკა | ს | ამკარი 0:1 | 90 | გააფრთხილეს | 3 | 0 | 16 |
| გიზო ჯელაძე | ბალტიკა | ს | ამკარი 0:1 | 90 | | 15 | 0 | 16 |
| თენგიზ სიჭინავა | ბალტიკა | ს | ამკარი 0:1 | 90 | | 3 | 0 | 16 |
| თეიმურაზ გადელია | კრისტალი | შ | ნეფტეხიმიკი 2:1 | 71 | 1 გოლი, შეცვალეს | 16 | 3 | 8 |
| იური გაბისკირია | სპარტაკი | ს | არსენალი 1:0 | 0 | | 9 | 0 | 5 |
| ნიკოლოზ ტოგონიძე | ტომი | ს | ლოკომოტივი 1:1 | 0 | | 0 | 0 | 9 |
| **ᲞᲝᲚᲝᲜᲔᲗᲘ** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| მამია ჯიქია | რუხი | ს | გროცლინი 1:4 | 90 | გააფრთხილეს | 5 | 0 | 8 |
| **ᲚᲐᲢᲕᲘᲐ** | | | | | | | | |
| უმაღლესი ლიგა | | | | | | | | |
| ალექსანდრე რეხვიაშვილი | სკონტო | ს | დაუგავა 2:0 | 90 | | 8 | 1 | 3 |
| ზურაბ მენთეშაშვილი | სკონტო | ს | დაუგავა 2:0 | 0 | | 9 | 1 | 3 |
| დავით ჩალაძე | სკონტო | ს | დაუგავა 2:0 | 9 | შეცვლაზე ითამაშა, 1 გოლი | 10 | 4 | 3 |
| ლევან კორღალიძე | სკონტო | ს | დაუგავა 2:0 | 90 | | 14 | 3 | 3 |
| გივი კვარაცხელია | სკონტო | ს | დაუგავა 2:0 | 0 | | 3 | 0 | 3 |
| თამაზ პერტია | რიგა | შ | ვალმიერა 3:2 | 0 | დისკვალიფიცირებულია | 3 | 0 | 7 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კარნევალიმ სპაგეტი-სერია კალჩოთი გააგრძელა

**ᲔᲠᲗᲘ** მოგება, ამდენივე ფრე და ორი წაგება — დაგვეთანხმებით, მეტად არასახარბიელო დასაწყისია ამბიციური გუნდისთვის. შარშანდელი ვიცე-ჩემპიონი „ვიტ ჯორჯია“ მეცამეტე ეროვნულის ოთხი ტურის შემდეგ მისთვის უჩვეულო მერვე ადგილზეა.

ჩავარდნას, რა თქმა უნდა, თავისი ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზები აქვს და ამათგან ერთ-ერთი უმთავრესი, ჩვენი აზრით, გუნდიდან წამყვან მოთამაშეთა გადინება გახლავთ.

ისე, გასაკვირიც კია. კლუბი, რომელმაც თავის ფეხბურთელებთან სეზონის დასაწყისში კონტრაქტები გაახანგრძლივა და მაღალი მიზნებისთვის ბრძოლას აპირებდა, ერთბაშად ოთხ წამყვან მოთამაშეს შეელია.

დღეს ნახევარმცველი გიორგი ყიფიანი ისრაელის ჩემპიონატში სათამაშოდ ემზადება. მცველი ედიკ საჯაია რუსულ „ტორპედოში“ ჩაირიცხა, ხოლო შუახაზელი დავით დიღმელაშვილი და ფორვარდი ლევან მელქაძე 17 აგვისტოს იტალიაში გაემგზავრნენ.

შესაბამისად „ვიტ ჯორჯიას“ თამაშში წუნმა იმატა. შეცდომებს უხშირეს მცველებმა, გაუჭირდა ნახევარდაცვას და დიდი შელეგიანობით ვერც თავდასხმა დაიკვეხნის. კლუბის თავკაცებს მაინც ეიმედებათ, რომ კრიზისს თავს დააღწევენ. თავიანთი საქმისა მათ უკეთ უწყიან.

მელქაძე და დიღმელაშვილი კი იტალიის გზას სერია B-ს „სიენას“ მიწვევის შემდეგ დაადგნენ. იტალიური კლუბის თავკაცებს ჩვენებურები ავსტრიულ „რიდთან“ და ფრანგულ „ტრუასთან“ თბილისურ მატჩში მოსწონებიათ და მათი გასინჯვა გადაწყვიტეს.

იტალიელები, რა თქმა უნდა, იცნობდნენ მელქაძეს და დიღმელაშვილს, უნახავთ მათი თამაში. ჯანი კარნევალიმ და ვეტერინართა იტალიელმა მენეჯერმა ენცო გამბარომ თავიანთი საქმე გააკეთეს, მაგრამ ჩვენებურებს 4 სექტემბრამდე მაინც დააკვირდებიან.

ვნახოთ, შეაღწევენ თუ ვერა ვიტელები „კალჩოს“ სამყაროში. ისე, რატომაც არა, ჯანი კარნევალიმ ხომ კარგა ხანია, სპაგეტის ჭამას შეაჩვია.

**ᲛᲐᲛᲣᲙᲐ ᲫᲒᲐᲜᲢᲐᲚᲘᲐᲜᲘ**



ლევან მელქაძე



REUTERS

„ტოტენჰემის“ ახალი კაპიტანი ტედი შერინგემი (შუაში) ჭიგრიანად უტევდა

# გასუქებულხარ, ძმობილო...

## ჟინოლას წონას უწუნებენ

**ინგლისში** ათვალისწუნებაა მოდაში. სულ რამდენიმე დღის წინ ჟერარ ულიე და რობი ფაულერი შემოსწყრნენ ერთმანეთს, თუმც მერე შერიგებულან. ამჯერად კი ბირმინგემის „ასტონ ვილაში“, მწვრთნელი ჯონ გრეგორი და ფრანგი დავით ჟინოლა არკვევენ ურთიერთობებს. ფეხბურთელის მტკიცებით, მწვრთნელმა იგი ჟურნალისტების თანდასწრებით შეურაცხყო. ამბობენ, თითქოს ჟინოლას წონაში მოუმატებია და მწვრთნელმა ამიტომ გააქილიკაო. 34 წლის ფრანგმა საპასუხოდ სასამართლოში ჩივილიც კი დააპირა, თუმცა საქმეში ინგლისის პროფესიონალ ფეხბურთელთა ასოციაციის პრეზიდენტი გორდონ ტეილორი ჩაერია. იგი ჟინოლას სახელით „ასტონ ვილას“ მწვრთნელსა და კლუბის პრეზიდენტს შეხვდა, ფრანგმა კი ადვოკატად უბრალო ვინმე კი არა, ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრ ტონი ბლერის მეუღლე ჩერი ბლერი დაიქირავა, რომელმაც ტეილორს ტელეფონით ესაუბრა და სთხოვა, ეგებ საფეხბურთო ნიუანსებში გამარკვიოო. ჯონ გრეგორიმ თავის მხრივ განაცხადა, ამ საკითხზე ლაპარაკი არ მსურს, ჩემს ფეხბურთელებს როგორც მინდა, ისე მოვექცევიო.

დავიდ ჟინოლა „ტოტენჰემიდან“ „ასტონ ვილაში“ შარშან გადავიდა და ბირმინგემული კლუბის გულშემატკივრებში პოპულარობით სარგებლობს. მწვრთნელს თურმე მისი ინდივიდუალურობის გუნდთან შერწყმის პრობლემა აღელვებს, თავად ფეხბურთელს კი მიაჩნია, რომ პრობლემა სულ სხვაა. მას სამწლიანი კონტრაქტი აქვს, მისი საწინააღმდეგო კომპანია კი იმიტომაცაა წამოწყებული, რომ ეს კონტრაქტი როგორმე თავის ინიციატივით გააუქმებინონ. მოვლენების ასეთი განვითარების შემდეგ საეჭვოა ძველებური, ნორმალური ურთიერთობების აღდგენა. თანაც ეს ამბავი პირველდივიზიონელი „უოტფორდის“ იტალიელმა მწვრთნელმა, ჯანლუკა ვიალიმ შეიტყო და ფეხბურთელის გადაბირებას ცდილობს. მისი ამოცანა ხომ „უოტფორდის“ პრემიერლიგაში დაბრუნებაა. ჰოდა, ასეთი გამოცდილი ფეხბურთელის ყოლა გუნდს ნამდვილად წაადგებაო, ფიქრობს ჯანლუკა. „ასტონ ვილას“ გულშემატკივართა დამოუკიდებელი ასოციაციის პრეზიდენტმა, იან რობოტანმა კი, სიტყვა მეც მეთქმისო და აი, რა ბრძანა: კლუბის გამო მაინც გაარკვიეთ თქვენი პრობლემები. ეს ხომ უფრო მაღალი ცნებაა, ვიდრე თქვენი კინკლაობა“. ცხადია, ფრანგს გულში წყენა უდევს და იგი კლუბის დატოვებას ალბათ მაინც შეეცდება.

**გაჟა ხუციშვილი**





დავიდ ჟინოლამ „ასტონ ვილას“ ტრიბუნიდან უყურა

# ცხრა მამალმა ქულა წაიღო

## ინგლისი

**პრემიერლიგა**

**II ტური**

**ევერტონი 1:1 ტოტენჰემი**

0:1 ანდერტონი (45), 1:1 ფერგიუსონი (64პ)

ევერტონი: ჟერარი, ვეირი, სტაბსი, პისტონე, უოტსონი (მური 73), ჯევილი, გრავესენი (ანსუორთი 42), პემბრიჯი, ალექსანდერსონი (ტალი 88), კ. კემპბელი, დ. ფერგიუსონი

მწვრთნელი: უოლტერ სმიტი

ტოტენჰემი: სალივანი, ციგე, ბუნიევჩევიჩი, გ. დოჰერტი, კინგი, ფრიინდი (კლემენსი 76), პოიეტი, ანდერტონი, ტარიკო, შერინგემი, ივერსენი

მწვრთნელი: გლენ ჰოდლი

გაფრთხილება: პისტონე, ფერგიუსონი, ვეირი, შერინგემი, ციგე

გაძევება: დოჰერტი (63), პოიეტი (66)

მსაჯი: დ. ელერი

29 500 მაყურებელი

**პრემიერლიგის** მეორე ტური სულისშემძვრელად დაიწყო ორშაბათს, ლივერპულის „გუდისონ პარკზე“, სადაც „ევერტონმა“ „ტოტენჰემს“ უმასპინძლა. მატჩი ფრედ, 1:1 დამთავრდა, მსაჯად კი განთქმული დევიდ ელერი იყო, რომელმაც ნაღდად ერთ-ერთი ყველაზე სკანდალური შეხვედრა ჩაატარა.

ქაჩალი ელერის მსაჯობით უკმაყოფილო იყო ორივე მწვრთნელი: სტუმართა თავკაცი გლენ ჰოდლი იმიტომ, რომ მსაჯმა მეორე ტაიმის სამწუთიან მონაკვეთში 63-ედან 66-ე წუთამდე ორი ფეხბურთელი გაუძევა (გარი დოჰერტი და გუსტავო პოიეტი), მასპინძელთა მენეჯერი უოლტერ სმიტი კი იმიტომ, რომ მსაჯმა ნიკლას ალექსანდერსონს ნაღდი გოლი არ ჩაუთვალა და მოედანზე დატოვა მაურიციო ტარიკო, რომელმაც ისე მოცელა ტომას გრავესენი, რომ იგი საკაცით გაიტანეს მინდვრიდან და უახლოეს ერთ თვეს ვერ ითამაშებს.

აქვე ვთქვათ, რომ შესვენებისას ჰოდლს გვარიანად შეუხურებია ტარიკო, ამნაირი თამაში არც ხალხს სჭირდება და არც მეო.

თამაში კი ფიცხელი გამოვიდა. „ტოტენჰემს“ პირველად კაპიტნობდა ფეხმორჩენილი ტედი შერინგემი, რომელიც დიდად ცდილობდა სადებიუტო გოლის გატანას. მან და დარენ ანდერტონმა ძველი, შეთამაშებულობის დრო გაიხსენეს და მათმა მახვილგონიერებამ შედეგი პირველი ტაიმის მიწურულს მოიტანა.

მასპინძლებმა მას შემდეგ გაათანაბრეს, რაც დოჰერტიმ კევინ კემპბელი მოცელა საჯარიმოში. უბერებელმა დანკან ფერგიუსონმა ზედიზედ მეორე თამაშში გაიტანა პენალტი და კვლავ 64-ე წუთზე.

ორ წუთში კი შტურმი დაიწყო და რაოდენ საკვირველიც უნდა იყოს, ცხრაკაციანმა „ტოტენჰემმა“ მამაცურად გაძლო და ქულა წაიღო ლივერპულიდან.

გლენ ჰოდლი კი მაინც აღშფოთებული იყო:

„ასეთი რამ საერთოდ არ მინახავს. ორი კაცი ტყუილად გაგვიძევეს. დოჰერტიმ სუფთად, ფანტასტიკურად ამოული ბურთი კემპბელს, შედეგად კი პენალტი და წითელი ბარათი მივიღეთ. პოიეტმა წესი დაარღვია, ვარდნა დააგვიანა. მისი სასჯელი მაქსიმუმ ყვითელი ბარათი იყო. შედეგად, სამი ქულა დავკარგეთ“.

„მსაჯი ერთადერთი კაცი იყო სტადიონზე, ჩვენი კანონიერი გოლი რომ ჯარიმად გადააქცია. მან მითხრა, რომ ალექსანდერსონმა ხელი ჰკრა მოწინააღმდეგეს. თუმცა, ამაში დარწმუნებული არ იყო. რატომ დაუსტვინა?“ — უოლტერ სმიტიც სამ ქულას მისტიროდა.

**ირაკლი გამყრელიძე**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ევერტონი | 2 | 1 | 1 | 0 | 3:2 | 4 |
| ბოლტონი | 1 | 1 | 0 | 0 | 5:0 | 3 |
| არსენალი | 1 | 1 | 0 | 0 | 4:0 | 3 |
| ლიდსი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:0 | 3 |
| მანჩესტერ იუნ. | 1 | 1 | 0 | 0 | 3:2 | 3 |
| დერბი ქაუნთი | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| ლივერპული | 1 | 1 | 0 | 0 | 2:1 | 3 |
| სანდერლენდი | 1 | 1 | 0 | 0 | 1:0 | 3 |
| ტოტენჰემი | 2 | 0 | 2 | 0 | 1:1 | 2 |
| ჩელსი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ნიუკასლი | 1 | 0 | 1 | 0 | 1:1 | 1 |
| ასტონ ვილა | 1 | 0 | 1 | 0 | 0:0 | 1 |
| ფულემი | 1 | 0 | 0 | 1 | 2:3 | 0 |
| ვესტ ჰემი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ჩარლტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| ბლექბერნი | 1 | 0 | 0 | 1 | 1:2 | 0 |
| იფსვიჩი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:1 | 0 |
| საუთჰემპტონი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| მიდლსბრო | 1 | 0 | 0 | 1 | 0:4 | 0 |
| ლესტერი | 1 | 0 | 0 | 1 | 0:5 | 0 |



# ტაპის ახალი ეტაპი

## ოლიმპიკშია კრიზისის პიკი

**არც ერთი** მოგება ოთხ თამაშში და მხოლოდ ერთი გატანილი ბურთი. აი, შედეგი, რომლითაც ბერნარ ტაპის მიერ განახლებულმა მარსელის „ოლიმპიკმა“ ჩემპიონატი დაიწყო. არადა, ბერნარი ისე დაბრუნდა, კაცი იფიქრებდა, ესენი ჩემპიონობას თუ არა, საპრიზო ადგილს მაინც შესწვდებიანო. ახლა კი რა ხდება? მწვრთნელი, რადომირ ანტიჩი გაუშვეს, რამდენიმე ფეხბურთელიც წავიდა, იყიდეს ისინი, ვინც გუნდს საერთოდ არ გამოადგა და შედეგიც სახეზეა. ამბობენ, რომ სანამ მთლად გვიან არაა, ტაპი გუნდში სერიოზულ ცვლილებებს აპირებსო. „მაღალი კლასის ფორვარდი არ გვყავს, ამიტომაც სასწრაფოდ გვჭირდება მინიმუმ ორი ძლიერი თავდამსხმელი. გარდა ამისა, ახლანდელი მწვრთნელი, რომელმაც ანტიჩი შეცვალა, მართალია, დიდძალ სამუშაოს ასრულებს, მაგრამ გამოცდილება აკლია. ამჟამად ჩვენ „მონაკოს“ ყოფილ თავკაცთან, კლოდ პუელთან ვაწარმოებთ მოლაპარაკებას, დრო აღარ ითმენს. გულშემატკივრების წინაშე დიდ პასუხისმგებლობას ვგრძნობ, მათ „ოლიმპიკის“ გამარჯვებები სწყურიათ, თანაც დაუყოვნებლივ“ — ბრძანა ბერნარ ტაპიმ.

კანდიდატ ფორვარდებად სიაში ოლივერ ბირჰოფს, იური ჯორკაეფსა და მარიო ჟარდელს ასახელებენ. ეს უკანასკნელი განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს, რადგანაც დაახლოებით ერთი თვის წინ იგი ფაქტობრივად მარსელელი იყო, თუმც მერე რაღაც-რაღაცეები აურია და ისევ სტამბოლს მიაშურა. თუმც ფრანგები ახლა მზად არიან, კლუბსა და მარიო ჟარდელს შორის მომხდარ ადრინდელ უთანხმოებაზე თვალი დახუჭონ. როგორც „გალათასარაის“ დირექტორატის ერთ-ერთმა წევრმა, აბდურაჰიმ ალბალაკმა განაცხადა, პრინციპული შეთანხმება მიღწეულია (ადრეც ესე ამბობდნენ) და გუშინ ფეხბურთელს ფრანგულ კლუბთან კონტრაქტზე ხელიც უნდა მოეწერა. სანაცვლოდ კი ფრანგებს 8 მილიონ დოლარს პლუს ორი ფეხბურთელი უნდა დაეთმოთ. თავად ჟარდელმა კი აი, რა განაცხადა: „გალათასარაიში“ თავს კარგად ვგრძნობდი, მაგრამ ტრანსფერებთან დაკავშირებულმა ამ არეულ-დარეულობამ ცოტა წონასწორობიდან გამომიყვანა. კლუბში არავისთან არანაირი კონფლიქტი არ მაქვს, თუ მათ ჩემი გაყიდვა გადაწყვიტეს, ვალდებული ვარ, მათ აზრს პატივი ვცე. ვფიქრობ, რომ საფრანგეთში პრობლემები არ შემექმნება“. ჟარდელი მარსელში გადასვლასთან დაკავშირებით ადრეც ასე ჭიკჭიკებდა. ვნახოთ, რას იზამს მეორე წრეზე. გაირკვა ისიც, რომ თუ საჭირო გახდა, ფრანგები მესამე ფეხბურთელსაც დაუთმობენ თურქებს. თუმცა კი სტამბოლში ჩასული ორი ფრანგი ფეხბურთელიდან ერთ-ერთს, კერძოდ, სებასტიან პერესს ექიმებმა შემოწმებისას მარცხენა მუხლის ტრავმა დაუდგინეს. „გალათასარაის“ რუმინელი მწვრთნელი მირჩა ლუჩესკუ პერესს „ლევსკისთან“ ძირითადში დაყენებას უპირებდა, მაგრამ ექიმმა ბრძანა, საოპერაციოაო. ასე რომ, თუ ამ ფაქტმა „მარსელისა“ და „გალათასარაის“ შორის ახალი გაუგებრობები არ მოიტანა, ეგებ ჟარდელი ათამაშდეს, ბერნარ ტაპი კი გულშემატკივართა რისხვას გადაურჩება.

**გაჟა ხუციშვილი**

# ბობანის ზღაპარი კაპელომ დაწერა

*„სან სიროზე“ „მილანი“ „იუვენტუსს“ შეხვდა. ეს სილვიო ბერლუსკონის სახელობის თასის ტრადიციული მატჩი გახლდათ. „მილანი“ პენალტებში დამარცხდა, თუმცა ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. მნიშვნელობა იმას აქვს, რომ „შავ-წითლების“ ცხოვრებაში ძველი, 90-იანი წლების ეპოქა მთავრდება, უფრო სწორედ კი დამთავრდა და ამის მორიგი ნათელი მაგალითი, იმ დღეს ხორვატი ზვონიმირ ბობანის გუნდიდან წასვლა გახლათ.*

*ბობანი გააცილეს. მეათე ნომერი ამიერიდან პორტუგალიელი რუი კოშტა იქნება. თავად ბობანი კი ესპანურ „სელტაში“ გადავიდა და „მილანის“ საინტერნეტო გვერდზე გამოქვეყნებულ ინტერვიუშიც პირველად ესპანელებზე თქვა.*



**— როგორი გუნდი დაგხვდათ ვიგოში?**

დამხვდა კარგ ადამიანთა ჯგუფი, რომელიც ლამაზი ფეხბურთის თამაშს ცდილობს. მოგეხსენებათ, დღეს შედეგი ყველაფერზე მაღლა დგას, ეს ხალხი კი ისე იქცევა, თითქოს შიშობს, ბურთაობის სიამოვნება არ დაეკარგოს. თავად მეც მოწოდებული ვარ. მინდა ახალ კულტურასა და ახალ პირველობას მალე ვეზიარო. სამწუხაროდ, ამ ეტაპზე მომზადებაში გუნდს ჩამოვრჩები, მაგრამ არ ვიზარებ და ვგონებ, სექტემბრის შუისთვის ჩვეულებრივ ფორმაში ვიქნები.

**— თქვენ ცხრა წელიწადი „მილანში“ თამაშობდით. რა გახსოვთ ყველაზე მკაფიოდ?**

— ორი რამ. პირველი, 1994 წლის ჩემპიონთა თასის ფინალი ათენში და მეორე — ჩვენი ბოლო სკუდეტო. 1992 წლის სკუდეტოც ძალიან მნიშვნელოვანი გახლდათ, ვინაიდან ის ჩემი პირველი იტალიური ჯილდო იყო. მაგრამ ბოლო საგანგებოდ დამამახსოვრდა, რადგან მთელი სეზონი საყვარელ ამპლუაში ვითამაშე. თანაც, მანამდე ორი რთული წელიწადი გადაგვხდა და ჩემპიონის ტიტულის მოპოვებით ისევ დიდ კლუბებს შორის დავიმკვიდრეთ ადგილი.

**— ალბათ, იცით, რომ „მილანის“ ისტორიაში თქვენ ხართ ყველაზე მეტი ჯილდოს მომპოვებელი უცხოელი. ამასთან, 1995 წელს, „არსენალის“ კარში გატანილი გოლით „შავ-წითლებს“ ჯერჯერობით ბოლო საერთაშორისო პრიზი მოაგებინეთ. ყოველივე ამას თქვენთვის რაიმე მნიშვნელობა თუ აქვს?**

— ჩემთვის ეს დიდი პატივია. მე გამიმართლა, რადგან მილანში გუნდის აღზევების ხანაში ჩამოვედი. ის დაუმარცხებელი გუნდი იყო. სწორედ მაშინ ვისწავლე გამარჯვება.

**— ახლა კი წახვედით... თქვენი ამპლუა საიმედო ხელში დატოვეთ?**

— რა თქმა უნდა. ჩემგან იმის თქმა, რომ რუი კოშტა დიდი ფეხბურთელია, ზედმეტია. საყოველთაოდ ცნობილია, რომ „მილანმა“ სერიოზული ძალა შეიძინა. აღსანიშნავია, რომ ის თანამედროვე ფეხბურთში უკანასკნელი შემტევი გამთამაშებელია.

**— ხოლო იტალიის პირველობამ დაგკარგათ თქვენ, ვერონი და ზიდანი. რას ფიქრობთ, დაეცემა ამ ჩემპიონატის დონე?**

— მგონი, ეს ყველაფერი დამთხვევაა, მით უფრო, რომ საქმე ეხება იტალიას, ქვეყანას, სადაც სხვებზე მეტად იყენებენ მეათე ნომრებს. მნიშვნელოვანი კი ისაა, რომ ამ ამპლუის ხალხი კიდევ სჭირდებათ და ისინი ტაქტიკურმა სიახლეებმა თუ სქემებმა ვერ გადააშენა.

**— ადრე ხშირად გიწევდათ უჩვეულო პოზიციებზე თამაში, რაც თქვენს შემოქმედებით უნარს ჩრდილავდა. ხომ არ ფიქრობთ, რომ ზედმეტი მსხვერპლი გაიღეთ?**

— მეტ-ნაკლებად მსხვერპლის გაღება ყველას უწევს. გავიხსენოთ სავიჩევიჩი, რომელსაც მისთვის ბუნებრივ პოზიციაზე, ფაქტობრივად, არასდროს უთამაშია. როგორც წესი, მარჯვენა ფრთაზე გამოჰყავდათ. იგივე ხდებოდა დონადონისა და ბაჯოს თავსაც. ამრიგად, ნებისმიერი ფეხბურთელი მზად უნდა იყოს საჭიროების გამო სხვა ამპლუის მორგებისთვის. რაც შემეხება მე, გული არაფერზე მწყდება. პირიქით, იტალიაში უფრო სრულყოფილ მოთამაშედ ჩამოვყალიბდი.



**— მაშ, დღევანდელ „მილანსაც“ გადავავლოთ თვალი. რა შთაბეჭდილება დატოვა თქვენზე თერიმმა?**

— მისი ყაიდის მწვრთნელები მომწონს. ის ძლიერია, ბუნებით ჩამოყალიბებული ლიდერი და ქარიზმატული. ვფიქრობ, მას შესწევს კლუბისთვის ენთუზიაზმის დაბრუნების ძალა, თუმცა უფრო დაწვრილებით საუბრისთვის მისი უკეთ გაცნობა მჭირდება.

**— თერიმის გუნდი ბოლო ცხრა წლის „მილანებიდან“ რომელს გაგონებთ? ამბობენ, კაპელოსეულთან აქვს საერთოო...**

— ძალიან ადრეა ამაზე ლაპარაკი, თუმცა ერთს ახლავე გეტყვით: კაპელოს დროინდელი დიდი გუნდის დონეს ვერავინ გაიმეორებს. თუ ტაქტიკურ სახეს დავხედავთ, ვფიქრობ, დღევანდელი „მილანი“ უფრო იმას ჰგავს, ბოლო სკუდეტო რომ მოიპოვა.

**— „მილანში“ თქვენ სხვადასხვა მწვრთნელებს შეხვედრიხართ. რა მოგონებები დაგრჩათ?**

— აქ ჩემი პირველი მწვრთნელი იყო კაპელო და მის ხელში ყველაზე დატვირთული და წარმატებული პერიოდი გავიარე. კაპელოს ხელმძღვანელობით განვითარებულ ფეხბურთელად ჩამოვყალიბდი, მეტადრე ტაქტიკური თვალსაზრისით. მან ისეთი რალაცეები მასწავლა, მანამდე წარმოდგენაც რომ არ მქონდა. ტაბარესსთან და საკისთან ძალიან ცოტა ხნით მომიწია თანამშრომლობა, ძაკერონისთან კი ცოტა რთული ურთიერთობა მქონდა, თუმც ბოლოს ერთმანეთის პატივისმცემლებად დავშორდით. უბრალოდ, ჩვენ ფეხბურთს სხვადასხვანაირად ვუყურებთ. მე თუ მკითხავთ, მოედანზე ერთდროულად სამი თავდამსხმელის გაყვანა მეტისმეტია და იდეალური ორს პლუს გამთამაშებელი გახლავთ. მაგრამ, ასე იყო თუ ისე, ჩვენ სკუდეტო მოვიგეთ და მას მადლობას ვუძღვნი, რომ ჩემპიონ გუნდში ერთ-ერთი მთავარი როლი მომაკუთვნა. ძაკერონიმ ჩემს რჩეულ ამპლუაში მათამაშა და ამით ხელ-ფეხი გამიხსნა.

**— და ახლა მხოლოდ გუნდს კი არა, ქვეყანასაც იცვლით. ძნელი არ არის?**

— არა, იმიტომ, რომ „მილანიდან“ წასასვლელად სწორედ ახლა მიდგას შესაფერისი ჟამი. ამ გუნდში ჩემი ადგილი აღარ არის, თუმცა ეს ჩემი კლუბისადმი სიყვარულის დასრულებას არ ნიშნავს. „მილანი“ ყოველთვის მეყვარება.

**— გული არაფერზე გწყდებათ?**

— მე ყოველთვის თავდადებული ვიყავი და იმედი მაქვს, ხალხმა ეს დაინახა. სხვათა შორის, გერმანელი რომ ვყოფილიყავი, ჩემზე სულ სხვანაირად ილაპარაკებდნენ. აქა-იქ მოვკრავდი ხომე ყურს, სლავებს ერთგულება აკლიათო, მაგრამ ვინც „მილანის“ ავან-ჩავანი კარგად იცის, უეჭველად მოეხსენება, რომ თავდადებისა და ერთგულების გარეშე აქ ცხრა წლიწადი ვერ გაჩერდები.

**— „სელტა“ უეფას თასზე ითამაშებს. ესე იგი არ არის გამორიცხული, „მილანს“ შეხვდეთ.**

— ნეტავ ასე არ მოხდეს.

**— თქვენი კარიერა რომ წაგეკითხათ, რომანს თუ დაარქმევდით?**

— არა, მე მას ზღაპარს დავარქმევდი.

**— კონკრეტულად ვინმეს თუ უხდით მადლობას?**

— პრეზიდენტ ბერლუსკონის. ვიცი, მას ყოველთვის მოსწონდა ჩემი თამაში. სამწუხაროდ, მასთან ივნისის მერე არ მილაპარაკია, არადა, სიამოვნებით შევხვდებოდი. მის გარდა კი საგანგებო მადლობა კლუბსა და იმ ბიჭებს, რომელთა გვერდით ცხრა წელიწადი გავატარე.

**— თქვენი მეგობარი სავიჩევიჩი იუგოსლავიის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი გახდა. გამორიცხავთ, რომ ერთ მშვენიერ დღეს თქვენ ხორვატიის ნაკრების თავკაცის რანგში მის მოწინააღმდეგედ იქცეთ?**

— მწვრთნელობა მართლაც მაცდური და მიმზიდველი პროფესიაა, მაგრამ თან ძალიან დიდი ტანჯვა ახლავს. მგონი, მწვრთნელად გახდომის იდეა საბოლოოდ უარვყავი.

**— მაშ, ათი წლის მერე ვინ იქნებით?**

— ღმერთმა უწყის. იმედი მაქვს მათ შორის მიხილავთ, ვინც ხორვატული სპორტის და კულტურის აყვავების საქმეს ემსახურება. ჩემთვის ყველაფერზე მნიშვნელოვანი სწორედ ხორვატული სპორტი და კულტურაა.

**თარგმნა ბაჩუნა ძიდიამ**


ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაბიო კაპელო

## ფლორენციაში ლუნას შეჰყურებენ

მოგეხსენებათ, „რომამ“ იტალიის სუპერთასზე „ფიორენტინას“ 3:0 აჯობა და ხალხიც უკვე ალაპარაკდა, რომ ფაბიო კაპელოს გუნდი ახალ სეზონში კვლავ სკუდეტოს ფავორიტი იქნება. ყოველ შემთხვევაში, სეზონის დასაწყისს ჩემპიონისგან შთამბეჭდავს ელიან.

ამასთან დაკავშირებით საკუთრივ კაპელო ამბობს:

„საკუთარ თავს ვუსურვებ, რომ ეს სუპერთასი სეზონის პირველი ჯილდო იყოს და მას სხვები მოჰყვეს. ყველაზე მეტად კი ჩემი ფეხბურთელების მენტალიტეტი მომეწონა. ვხედავ, რომ მათ ახალი გამარჯვებები სწყურიათ. ისინი მზად არიან მოედანზე იბრძოლონ და თუ საჭიროა ტრავმებსაც არ მოერიდონ. ზოგადად, ფიზიკური ფორმა კიდევ უნდა გავაუმჯობესოთ, მაგრამ გამარჯვებებს მხოლოდ სურვილი და დაჟინება მოგვიტანს“.

ხოლო, დამარცხებული „ფიორენტინა“ ის აღარაა, რაც იყო, ეს კი უპირველეს ყოვლისა, ფინანსური კრიზისის ბრალია. ფლორენციელთა დირექტორი ლუჩანო ლუნა ბრძანებს:

„ფაქტია, რომ რთულ დღეში ვართ და გამოსავალს ვეძებთ, მაგრამ ვმუშაობთ, რათა ეს გუნდს არ დაეტყოს ანუ ზოგიერთი მოთამაშის შეძენა გვინდა. ერთი სიტყვით, სავიშვიშო არაფერი გვჭირს“.

შეძენა შეძენად, მაგრამ ლუნა ვერ უარყოფს, რომ შესაძლოა პირიქით, გაყიდვაც მოუხდეს. არადა, ხომ გახსოვთ, რა ამბავი ატყდა, როდესაც ფლორენციელებს მეკარე ტოლდოსა და რუი კოშტას გაყიდვა მოუწიათ. ახლა, ამბობენ, დახლზე ენრიკო კიეზა გაიტანეს და ზედ 23 მილიონი დოლარიც წააწერესო.

„მაგრამ, თუ ვინმეს გავყიდით, გული რომ არავის დაწყდეს, ვიყიდით კიდეც“ — გვაბნევს, უფრო სწორად კი, ალბათ, მწვრთნელ რობერტო მანჩინის აბნევს ლუნა, რადგან იქვე დასძენს — „მანჩინი დიდი ადამიანია, დიდი პროფესიონალი. მისი კლუბში ყოლა დიდი სიამოვნებაა“.

**ბაჩუნა ძიდია**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ფეხბურთის რუკასთან



**თურქული** „ბეშიქთაშის" თავდამსხმელი პასკალ ნუმა შესაძლოა ამ დღეებში საფრანგეთში დაბრუნდეს და „მონაკოსთან" გააფორმოს კონტრაქტი. სათავადოს გუნდის მწვრთნელ დიდიე დეშანს ძალიან სურს, ნუმა თავის გუნდში იხილოს, თურქთა გერმანელი მწვრთნელი კრისტოფ დაუმი კი პირიქით, ნუმას „ბეშიქთაშიდან" გაშვებას ლამობს. როგორც დაუმმა ჟურნალისტებს განუცხადა, ტემპერამენტიანი ნუმა მას არ სჭირდება.

**ფრანგი** პლეიმეიკერი, 27 წლის ვიკაშ დორასო „ლიონში" დაბრუნდა. საფრანგეთის ახალი ჩემპიონატის დაწყებამდე დორასოს აგენტი ჯერ „იუვენტუსთან", მერე კი „ინტერთან" აწარმოებდა მოლაპარაკებას, თუმცა ფეხბურთელის იტალიაში გადაბარგება ვერ მოახერხა. „ლიონის" მწვრთნელი ჟაკ სანტინი ვიკაშ დორასოს გუნდის ძირითადშიც უპირებს დაბრუნებას, თუმცა ლიონელთა მეკარე გრეგორი კუპე მწვრთნელის გადაწყვეტილებას აღუშფოთებია: „მას გუნდიდან წასვლა სურდა, ახლა კი დარჩენა გადაწყვიტა. პირადად მე არ ვიქნები მოხარული, თუ მას ძირითადში დააბრუნებენ".

**უკრაინელი** სერგეი პერხუნის გადასარჩენად ექიმები ყველაფერს ცდილობენ. მოსკოვის ცსკა-ს მეკარემ სერიოზული ტრავმა „ანჟისთან" მატჩში მიიღო, როცა მახაჩყალელ ბუდუნ ბედუნოვს შეეჯახა. პერხუნი უკვე მერამდენე დღეა, რაც მეორეხარისხოვან კომაში იმყოფება. მედიკოსებმა ფეხბურთელი ხელოვნური სუნთქვის სპეციალურ აპარატზეც შეაერთეს.

**ესპანელი** თავდამსხმელი კიკო ნარვაესი რომის „ლაციოში" გადავა, ხოლო იუგოსლავიელი დარკო კოვაჩევიჩი, რომელიც რომაელებმა „იუვენტუსისგან" სალასის სატრანსფერო თანხის ხურდაში მიიღეს, მადრიდის „ატლეტიკოში" გადაბარგდება. „ლაციო" კიკოს რომში გაჩერებას არც უპირებს, 29 წლის ფეხბურთელს ფლორენციულ „ფიორენტინაში" უშვებს იჯარით. სამაგიეროდ, ჩეხი მცველი ტომაშ რეპკა აღმოჩნდება რომაულ კლუბში.

**ინგლისური** „უოტფორდის" იტალიელ მწვრთნელ ჯანლუკა ვიალის 34 წლის ფრანგი დავიდ ჟინოლას გადაბირება სურს. „უოტფორდს" პრემიერლიგაში დაბრუნება განუზრახავს, ვიალის კი მიზნის განსახორციელებლად — გუნდის გაძლიერება. ჟინოლას რომ თავის ახლანდელ კლუბ „ასტონ ვილასთან" და მის მწვრთნელ ჯონ გრეგორისთან ერთობ „ტკბილი ურთიერთობა" აქვს, არახალია. ფრანგმა გრეგორის სასამართლოშიც კი უჩივლა, აქაოდა, საჯაროდ გამომლანძღაო. თუ ტრანსფერი განხორციელდა, მაშინ „უოტფორდი" ჟინოლას კარიერაში მეხუთე გუნდი გახდება. მანამდე დავიდ ჟინოლას „პარი სენ ჟერმენში", „ნიუკასლსა" და „ტოტენჰემში" უთამაშია, ახლა კი „ასტონ ვილაშია".

**არგენტინის** ახალგაზრდული ნაკრების კაპიტანმა, 19 წლის ლეონარდო გაბრიელ ტამბუკამ პორტუგალიური „ბენფიკა" დააინტერესა. როგორც ფეხბურთელის აგენტმა ისიდორო ხიმენესმა განაცხადა, მოლაპარაკებები უკვე დაიწყო. „ის ბრწყინვალე ცენტრალური მცველია და დიდი მომავალი ელის" — დასძინა ხიმენესმა. ლეონარდო გაბრიელ ტამბუკა ახლა ბუენოს აირესის „რასინგში" თამაშობს.

**პერუელ** ნოლბერტო სოლანოს თავის კლუბ „ნიუკასლ იუნაიტედში" საქმეები აერია. მას პრემიერლიგური კლუბი გაყიდვას უპირებს. მიზეზი სოლანოს უკვე მერამდენე თავაშვებულობაა, რამდენჯერაც პერუს ნაკრების შეკრებაზე გაუშვეს, იმდენჯერ ვერ მოახერხა ინგლისში დროულად დაბრუნება. ახლაც, პრემიერლიგის პირველივე ტურში „ჩელსის" წინააღმდეგ ამიტომაც არ უთამაშია. „სოლანოს ბოლოჯერ ვაფრთხილებთ, თუ ასეთი ფაქტი კიდევ განმეორდა, მაშინ ცივილიზებული ფორმით დავცილდებით" — განაცხადა „ნიუკასლის" წარმომადგენელმა.

**შოტლანდიელი** დონ ჰათჩისონით ერთბაშად ორი კლუბი დაინტერესდა. „სანდერლენდის" 30 წლის ფეხბურთელის ხილვა „გლაზგო რეინჯერსსა" და „ვესტ ჰემს" სურთ. ლონდონელებმა „სანდერლენდს" 4 მილიონი გირვანქა შეაძლიეს. ჰათჩისონიც ალბათ „ვესტ ჰემში" გადაბარგდება. ყოველ შემთხვევაში, „ჩაქუჩთა" თავკაცი გლენ რიოდერი დარწმუნებულია, რომ შოტლანდიელი სწორედ „აპტონ პარკზე" გადავა.

**რუსული** „სპარტაკის" ბრაზილიელმა თავდამსხმელმა მარკაომ ბუნდესლიგურ „ზანკტ პაულისთან" სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. 28 წლის ფეხბურთელი ჰამბურგულ კლუბში 2004 წლის 30 ივნისამდე ითამაშებს. „მე არაფერი ვიცი ჩემი ახალი კლუბის შესახებ, თუმცა ყველანაირად დავეხმარები" — თქვა მარკაომ.

**იტალიელი** სპეციალისტი ჩეზარე მალდინი მზადაა, ტუნისის ეროვნული გუნდი ჩაიბაროს. მოგეხსენებათ, ტუნისელებმა მსოფლიოს 2002 წლის ჩემპიონატის საგზური უკვე მოიპოვეს, მაგრამ ფედერაციამ გერმანელი მწვრთნელი ეკჰარდ კრაუცენი გაათავისუფლა. ახლა კი იტალიის ნაკრებისა და „მილანის" ყოფილი თავკაცი მიიწვია. როგორც ჩეზარე მალდინიმ ადგილობრივ გაზეთ „ასაბახს" განუცხადა, იგი თანახმაა, ტუნისის ეროვნული გუნდი გაწვრთნას.

**ინგლისური** „ფულემი" ფრანგულმა „ლიონმა" უარით გაისტუმრა, სტივ მარლეს არ ვყიდითო. როგორც „ლიონის" სპორტულმა დირექტორმა ბერნარ ლიაკომბმა განაცხადა, ლონდონელებმა ჩინებული წინადადება შესთავაზეს, მაგრამ 23 წლის ფეხბურთელის გაყიდვა მათ გეგმებში არ შედის. „ჩემპიონთა ლიგის დაწყებამდე ბევრიც არ დარჩა. ჩვენ არ გვაქვს არანაირი უფლება, ახლა მარლე გავუშვათ, მით უმეტეს მაშინ, როდესაც სონი ანდერსონი ოთხი კვირით გამოგვაკლდა" — აცხადებს ლიაკომბი.

**ესპანურმა** „სელტამ" ორი ბრაზილიელი მცველის — ატირსონისა და სილვინიოს იჯარით აყვანის სურვილი გამოთქვა. ატირსონი „იუვენტუსში ირიცხება, სილვინიო კი — „არსენალში", თუმცა ორივე ფეხბურთელი უკვე კარგა ხანია, სათადარიგოთა სკამს მიეჩვია. ვიგოს „სელტამ" რაც იტალიური „მილანიდან" ხორვატი პლეიმეიკერი ზვონიმირ ბობანი შეიძინა, გაძლიერებაზე დაიწყო ზრუნვა. ესპანეთის ჩემპიონატის დაწყებამდე ხუთი დღით ადრე, ვიგოელები იმედს არ კარგავენ, რომ ატირსონსა და სილვინიოსაც გადაიბირებენ.

**ფრანგული** „პარი სენ ჟერმენი" შესაძლოა სამმა წამყვანმა ფეხბურთელმა დატოვოს. ნახევარმცველ ალი ბენარბიას „მარსელი" ეპატიჟება, სილვენ დისტინს — ინგლისური „ბოლტონი", ხოლო ნახევარმცველ პიერ დიუკროს — ასევე პრემიერლიგური „ვესტ ჰემ იუნაიტედი". როგორც პსჟ-ს თავკაცმა ლუის ფერნანდესმა თქვა, მას არ სურს ამ ფეხბურთელების გუნდიდან გაშვება: „ბენარბია, დისტინი და დიუკრო პსჟ-ს წამყვანი ფეხბურთელები არიან. სატრანსფერო სეზონი 31 აგვისტოს იხურება, მანამდე კი ბევრი რამ შეიძლება მოხდეს" — თქვა იტალიაში მყოფმა ფერნანდესმა. ფრანგებს წუხელ ინტერტოტოს თასის ფინალური საპასუხო მატჩი უნდა ეთამაშათ „ბრეშასთან".

**ინგლისური** „ლესტერის" თავდამსხმელმა დარენ იდიმ ტრავმა ჯერ კიდევ გასულ სეზონში მიიღო. ახლა კი, როგორც ექიმებმა ურჩიეს, მუხლის ოპერაცია უნდა გაიკეთოს, რაც იმას ნიშნავს, რომ 26 წლის იდი პრემიერლიგის წლევანდელ ჩემპიონატს გამოტოვებს: „სასიკვდილო დარტყმა მივიღეთ. სამწუხაროდ, მას სხვა არჩევანის უფლება არ ჰქონდა" — განაცხადა ფეხბურთელის ბედით დამწუხრებულმა „ლესტერის" თავკაცმა პიტერ ტეილორმა.

**გერმანიის** ჩემპიონი და ევროპის ჩემპიონთა თასის მფლობელი მიუნხენის „ბაიერნი" ზეგ მონტე კარლოში გასამართ ევროპის სუპერთასის მატჩში ინგლისური „ლივერპულის" წინააღმდეგ სამ წამყვან ფეხბურთელს მოისაკლისებს. აქამდე ტრავმირებულ შტეფან ეფენბერგსა და მეჰმეთ შოლს ამ უქმეებზე ბრაზილიელი პაულო სერჟიოც შეუერთდა.

**ხორვატ** თავდამსხმელ დავორ შუკერს შოტლანდიის ჩემპიონი „სელტიკი" შეეხმიანა, ჩვენთან გადმოდიო. ლონდონურ „ვესტ ჰემში" მოთამაშე შუკერი გუნდის ძირითადში ვერ ხვდება და კლუბის გამოცვლას აპირებს. თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ „სელტიკი" ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ტურნირში თითქმის გასულია — ამსტერდამის „აიაქსს" პირველი თამაში „ამსტერდამ არენაზე" 3:1 მოუგო — შუკერისთვის შოტლანდიელთა მიერ შეთავაზებული წინადადება ურიგო ნამდვილად არ უნდა იყოს.

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის" ყოფილი მეკარე, 43 წლის ლეს სილი კვირას საკუთარ სახლში გულის ინფარქტით გარდაიცვალა. სილი „იუნაიტედში" 1990 წელს გამოჩნდა, ერთი წლის მერე კი ევროპის თასთა თასი აწია, როცა ფინალში „მანჩესტერმა" ესპანურ „ბარსელონას" 2:1 მოუგო. მაშინ ალექს ფერგიუსონმა იგი ძირითადი გოლკიპერის, ჯიმ ლეიტონის ნაცვლად ათამაშა. „ლესი დიდი მეკარე გახლდათ, თუმცა ის ჩემს გულში ძლიერ პიროვნებად და ჩემს მეგობრად დარჩება" — განაცხადა დამწუხრებულმა „ტოტენჰემის" პრეზიდენტმა დევიდ პლიტმა.

**მაკედონიელმა** ფეხბურთელებმა — გეორგი ხრისტოვსკიმ, ტონი მიჩევსკიმ და გოჩე სედლოსკიმ ეროვნულ გუნდში თამაში იუარეს. „სანამ მაკედონიის ნაკრების მწვრთნელი გორე იოვანოვსკია, ჩვენ არ ვითამაშებთ" — აცხადებენ დისიდენტები.

**იტალიური** „ფიორენცუოლა" სერია C2-ში თამაშობს, მწვრთნელად კი გუშინ სახელგანთქმული არგენტინელი, 1978 წლის მსოფლიოს ჩემპიონი მარიო კემპესი დაუნიშნეს. კემპესმა „ფიორენცუოლასთან" კონტრაქტი უკვე გააფორმა, თან გუნდში 16(!) სამხრეთამერიკელი ფეხბურთელი მიიყვანა. მათი ნატურალიზების საქმეში პრობლემა არ იქნება, რამეთუ ყველას წინაპრები იტალიელები იყვნენ" — ამბობს კემპესი.

**ესპანელი** ნახევარმცველი ხოსეპ გვარდიოლა ამ დღეებში სტამბოლში აპირებს ჩასვლას, სადაც „გალათასარაის" ხელმძღვანელობას მოელაპარაკება. გვარდიოლამ „ბარსელონა" თავისი ნებით დატოვა და ახლა სასურველი კლუბის ძებნაში უკვე მეორე თვეს ატარებს. ესპანეთის ნაკრების ნახევარმცველის ფინანსური მოთხოვნა, წლიურად 4 მილიონი დოლარი გადამიხადეთო, ჯერჯერობით ვერც ერთმა კლუბმა ვერ დააკმაყოფილა. ვარაუდობენ, „გალათასარაი" სწორედ ის კლუბია, რომელიც ხოსეპ გვარდიოლას გადასაბირებლად არაფერს დაიშურებსო.

# საით, საიდან, ზიდან?



ზინედინ ზიდანმა (ბურთით) ესპანელებს თავი ჯერაც ვერ მოაწონა

**ესეც** ზინედინ ზიდანის პირველი ოფიციალური მატჩი მადრიდის „რეალის" შემადგენლობაში — „რეალმა" სარაგოსაში 1:1 ითამაშა, რაზეც გუშინ მოგახსენეთ. ეს ესპანეთის სუპერთასის პირველი შეხვედრა გახლდათ.

თავად ზიდანი ამბობს, რომ თავს კარგად გრძნობს; ობიექტურად უნდა ითქვას, რომ დასკვნების გაკეთება ჯერ ადრეა; ესპანური პრესა კი შეთანხმებულივით წერს, გუნდს მიმართულება არ აქვსო.

ზოგ გაზეთში გამოითქვა შიში, რომ „რეალში", უფრო ზუსტად კი დღევანდელ „რეალში", აი, ამ შემადგენლობაში, ფრანგი ვარსკვლავის ნიჭი ჩაიკარგება, თუმცა თავად ზიდანი სხვა აზრისაა. 65 მილიონ დოლარად ნაყიდი, 29 წლის გამთამაშებელი ამბობს:

„ჩემი აზრით, ახალ გუნდში გადასვლის პირველსავე დღეებში უმაღლეს დონეზე თამაში ძნელია. თან, „რეალში" თუ „იუვენტუსში", სეზონის დასაწყისი სეზონის დასაწყისია, ჯერ მხოლოდ ერთი თვეა, რაც ესპანეთში ჩამოვედი და ვფიქრობ, ყველაფერი ნორმალურადაა. ვნახოთ, რა იქნება ჩემპიონატის ბოლოს, მოვიგებთ თუ არა, რაიმე ჯილდოს".

ამ დროს კი გაზეთი „ელ პაისი" წერს: „რეალმა არ იცის, როგორ უნდა ითამაშოს". შემდეგ, ყურადღება გამახვილებულია იმაზე, რომ ზიდანი ხშირად კარგავდა ბურთს და ჯარიმდებოდა.

„ელ მონდო": „ზიდანმა ვერ გაიბრწყინა." აქ ხაზგასმულია, რომ ფრანგმა უბრალოდ არ იცოდა რა როლი უნდა შეესრულებინა. გაზეთი განაგრძობს:

„ზიდანს ზურგსუკან ბურთის მომწოდებელი სჭირდება, აქეთ-იქით კი გარემარბები და ის მაშინ გაშლის ფრთებს. სამკაციან ნახევარდაცვაში მისი ნიჭი შეზღუდულია".

„მარკა": „ფიგუ, ზიდანი და რაული ერთი გუნდის სისტემისთვის მეტისმეტია".

**ბაბუნა ძიძია**

## ბრაზილია

მე-6 ტური: ფლუმინენსე — გამა 4:3; სპორტ რესიფე — კორინთიანსი 2:1; ბაია — ფლამენგო 0:2; კურიტიბა — კორინთიანსი 3:2; პონტე პრეტა — პორტუგეზა 2:1; სანტოსი — ბოტაფოგო 0:0; გრემიო — ვიტორია 0:0; გოიასი — ინტერნასიონალი 0:1; ატლეტიკო მინეირო — ბოტაფოგო რიბეირაო 2:0; ამერიკა — სან კაეტანო 0:1; ვასკუ და გამა — სანტა კრუზი 1:1; პალმეირასი — პარანა 3:1; სან პაულუ — ატლეტიკო პარანენსე 2:0; ჟუვენტუდე — გუარანი 1:0

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ატლ. მინეირო | 6 | 4 | 1 | 1 | 11:3 | 13 |
| ატლ. პარანენსე | 6 | 4 | 1 | 1 | 10:3 | 13 |
| პალმეირასი | 6 | 4 | 1 | 1 | 13:7 | 13 |
| ინტერნასიონალი | 6 | 4 | 0 | 2 | 9:6 | 12 |
| პონტე პრეტა | 6 | 3 | 3 | 0 | 9:5 | 12 |
| გოიასი | 6 | 3 | 2 | 1 | 5:1 | 11 |
| სან პაულუ | 6 | 3 | 2 | 1 | 10:7 | 11 |
| კურიტიბა | 6 | 3 | 1 | 2 | 8:8 | 10 |
| ფლუმინენსე | 6 | 2 | 4 | 0 | 10:7 | 10 |
| სანტოსი | 6 | 2 | 4 | 0 | 6:3 | 10 |
| პარანა | 6 | 3 | 0 | 3 | 8:8 | 9 |
| ჟუვენტუდე | 6 | 2 | 3 | 1 | 5:5 | 9 |
| ვიტორია | 6 | 2 | 3 | 1 | 5:5 | 9 |
| სან კაეტანო | 6 | 2 | 3 | 1 | 4:6 | 9 |
| ბოტაფოგო | 6 | 2 | 2 | 2 | 9:7 | 8 |
| კორინთიანსი | 6 | 2 | 2 | 2 | 9:9 | 8 |
| პორტუგეზა | 6 | 2 | 1 | 3 | 5:6 | 7 |
| სპორტ რესიფე | 6 | 2 | 1 | 3 | 7:9 | 7 |
| ფლამენგო | 6 | 2 | 1 | 3 | 4:8 | 7 |
| ბაია | 6 | 2 | 0 | 4 | 10:10 | 6 |
| ვასკუ და გამა | 6 | 1 | 3 | 2 | 9:5 | 6 |
| გამა | 6 | 1 | 3 | 2 | 6:8 | 6 |
| ამერიკა | 6 | 1 | 2 | 3 | 5:6 | 5 |
| გრემიო | 6 | 1 | 2 | 3 | 3:7 | 5 |
| სანტა კრუზი | 6 | 1 | 2 | 3 | 7:13 | 5 |
| კრუზეირო | 6 | 1 | 1 | 4 | 7:10 | 4 |
| ბოტაფოგო რიბ. | 6 | 0 | 1 | 5 | 5:14 | 1 |
| გუარანი | 6 | 0 | 1 | 5 | 4:17 | 1 |

## ლიტვა

### თასის 1/8 ფინალის წილისყრა

საკალასი — კარედას ლიეტავა (II) — ნევეჟისი; კრაზანტე (II) — პოლონია (II); სავინგე (III) — კაუნასი; დელინტრა (III) — დაინავა; ინკარასი — ეკრანასი; სუდუვა (II) — ატლანტასი; ვეტრა — ჟალგირისი

მატჩები გაიმართება 19 სექტემბერს

## გერმანია

### მეორე ბუნდესლიგა
IV ტური

**ვალდჰოფი 3:1 დუისბურგი**

0:1 გუვენისიკი (4), 1:1 კლაუცი (14), 2:1 მონტერო (19), 3:1 ივანოვი (89)

## პორტუგალია

II ტური

**ფარენსე 0:1 გიმარაეში**

0:1 კლებერი (30)


## იყიდება

ოროთახიანი სუფთა ბინა 30 კვ.მ. მიშენებით, დიღმის მასივში, მე-4-ე კვარტალი, მე-19-ე კორპუსი, პირველი სართული.

ფასი შეთანხმებით

ტელ.: 95-90-32, 39-71-98, 877 42-82-83



# ორლანდო მეჯიკი

დაარსდა 1988 წელს, ნბა-შია 1989 წლიდან
ნბა-ს ჩემპიონი არ ყოფილა





„ორლანდო მეჯიქი“: წარსული — ანფერნი ჰარდევეი (მარცხენა ფოტოზე ბურთით);
აწმყო და მომავალი — ტრეისი მაკგრეიდი

# ორლანდო არქივში არ იქექება

**ცოტა** ხნით „ჯადოების“ ადგილსამყოფელს ვესტუმროთ. ფორთოხლის მწვანედ მოხასხასე ბაღებში ჩაფლული ქალაქი ორლანდო ნამდვილი ოაზისია ცენტრალური ფლორიდის ჭაობიან მიწაზე. მან პატარა მიყრუებული ქალაქიდან ქვეყნის სამხრეთ-აღმოსავლეთი რეგიონის ერთ-ერთ უმსხვილეს ინდუსტრიულ ცენტრამდე გზა სულ რამდენიმე ათეულ წელიწადში გაიარა. ორლანდოში ცხოვრება ყვავის, იქაურები კეთილსინდისიერად იხდიან გადასახადებს, დილით სამსახურში მიეშურებიან, საღამოხანს კი შინ მობრუნებულები ლუდის ბოთლით ხელში ტელეეკრანების წინ მოიკალათებენ და ქალაქის სიამაყის — „ორლანდო მეჯიქის“ თამაშებს უყურებენ.

„ორლანდო მეჯიქის“ ისტორია ბევრით ჰგავს ქალაქისას. ნბა-ში საკუთარ საკალათბურთო გუნდს ვინ ჩივის, როდესაც 60-იან წლებში „ბოსტონი“ და „ლეიკერსი“ ერთმანეთს სისხლს უშრობდნენ, შტატებს მოსახლეობის ცხრა მეათედს წარმოდგენა არ ჰქონდა, სადმე თუ არსებობდა ქალაქი ორლანდო. სხვა საქმეა, დღეს რამდენად შორს გავარდნიათ „ჯადოებს“ სახელი. ნბა-ში 1989 წელს გაწევრიანებულმა „ორლანდომ“ გიგანტური ნახტომებით დაძლია სხვათათვის უსაშველოდ გრძელი გზა, დებიუტიდან სულ მალე მწვერვალებს შეეთამაშა, რამდენიმე წელიწადში გრანდად იქცა. მცირე ხნის არსებობის მანძილზე „ჯადოებმა“ ორჯერ უფრო ასაკოვან გუნდებზე გაცილებით შორს წასვლა შეძლეს.

„ორლანდო მეჯიქი“ 1988 წელს დაარსდა „მაიამის“, „შარლოტისა“ და მინესოტასთან ერთად. 80-იანი წლების ბოლოს ნბა-მ ფრთები გაშალა და გაფართოება გადაწყვიტა. ასოციაციის მამებმა ორლანდო ნბა-სთვის დამაკმაყოფილებელ ბაზრად ჩათვალეს და პლანეტის უძლიერეს საკალათბურთო ლიგაში საკუთარი გუნდის ყოლის უფლება უწყალობეს. ასე იშვნენ „ჯადოები“. თავიანთ მეექვსე სეზონში ისინი უკვე ნბა-ს ფინალში იყვნენ. იქამდე ფლორიდელები ძირითადად ორმა ვარსკვლავმა — შაკილ ონილმა და ანფერნი ჰარდევეიმ მიიყვანა.

„შაკილის ჭეშმარიტი შესაძლებლობები შიშის ზარსა მცემს. ბედნიერი ვიქნები, თუ მისი ნიჭის სრულად გამოვლინებამდე წავალ კალათბურთიდან“ — როდესაც 80-90-იანი წლების ნბა-ს ერთ-ერთმა უძლიერესმა კალათბურთელმა, ჰაკიმ ოლაჯუონმა ეს სიტყვები თქვა, შაკილ ონილი ბავშვი არ იყო, მაგრამ არც ჩამოყალიბებული მოთამაშე ეთქმოდა. კალათბურთის ღრმა ცოდნა არ სჭირდებოდა იმის დანახვას, თუ ვინ აიყვანა ორლანდომ 1992 წლის დრაფტში. შაკილ ონილის მონაცემების კალათბურთელი ათ წელიწადში ერთი იბადება და ასეთი „ორლანდოს“ ერგო. ონილმა ოთხი სეზონი ითამაშა ამ გუნდში, შემდეგ კი გულმა „ლეიკერსისკენ“ გაუწია. „მეჯიქში“ რომ დარჩენილიყო, ფლორიდელები ჩემპიონები გახდებოდნენ. ჯერჯერობით კი „ჯადოების“ მწვერვალი 1995 წლის ფინალია, რომელზეც შაკმა ვეება მხრებით აიყვანა.

გუნდში 216-სანტიმეტრიანი და 140-კილოგრამიანი გიგანტის მისვლა მაშინვე დაეტყო „ორლანდოს“. პირველ შაკურ სეზონში „ჯადოებს“ სულ ცოტა დააკლდათ პლეი ოფში გასვლამდე. სამაგიეროდ, მომდევნო წელს ონილს ყოჩაღი უკანახაზელი ანფერნი ჰარდევეი შეუწყვილდა, „ორლანდომ“ რეგულარულ სეზონში 82 თამაშიდან 50 მოიგო და პლეი ოფში აღმოსავლეთის ერთ-ერთ ფავორიტადაც შეირაცხა. ფლორიდელთა სამწუხაროდ, „ჯადოებმა“ მწარე ალიყური ჭამეს, პირველივე წრეში 0:3 განადგურდნენ „ინდიანასთან“ და ის სეზონიც ამით დამთავრდა ამბიციამოძალებული „ორლანდოსთვის“. ბევრმა ქომაგმა ხელიც ჩაიქნია, ეგ თქვენი ფენომენი ონილი თიხისფეხება გოლიათია, ნამდვილ ბრძოლებში მუხლები უკანკალებსო.

მომდევნო, თავისთვის მესამე პროფესიულ სეზონში ონილი გაშმაგებით შეუდგა იმის მტკიცებას, რომ კურდღელზე მეტი ვაჟკაცობა აქვს. იმ, 1994-95 წლების სეზონში იგი პირველი ბომბარდირი გახდა და ნბა-ს მეორე სიმბოლურ ხუთეულშიც მოხვდა. პირველში მოხვედრა ჭირდა. იმ სეზონში უძლიერესი იყო მისი ამპლუის მოთამაშე დევიდ რობინსონი. სამაგიეროდ, პირველ ხუთეულში ადგილი მოინახა პენი ჰ ერდევეისთვის. ეს უკვე სერიოზული აღიარება იყო და „ორლანდოსგან“ პლეი ოფში მოხვედრაზე მეტს ელოდნენ. „ჯადოებმა“ გაცილებით მეტი შეძლეს, აღმოსავლეთში ყველას გადაუსწრეს და პლეი ოფის ფინალში მოქმედი ჩემპიონის, ჰაკიმ ოლაჯუონის და კლაიდ დრექსლერის „ჰიუსტონის“ წინაშე წარდგნენ. იქნებ გამოუცდელობის ბრალი იყო, იქნებ სხვა რამისაც „ორლანდომ“ კვლავაც განადგურებით დაასრულა. ვეტერანმა ჰიუსტონელებმა აჯობეს ყმაწვილ მეტოქეებს, „მეჯიქი“ ფინალურ სერიაში 0:4 დამარცხდა. დღეს ონილს არ სურს იმ მარცხების გახსენება, თუმც თავად კარგად ახსოვს, ჭკვიანი ოლაჯუონის გაკვეთილებს ამაოდ არ ჩაუვლია. დღეს ონილი ნბა-ს უპირობოდ პირველი ცენტრია. ორლანდოელთა სამწუხაროდ, იგი ასეთად სხვა გუნდში ჩამოყალიბდა. ფინალში დამარცხების შემდეგ ონილმა, ჰარდევეიმ, ჰორას გრანტმა და სხვებმა კიდევ ერთხელ სცადეს მწვერვალის დალაშქვრა, მაგრამ კალათბურთში დაბრუნებული მაიკლ ჯორდანის „ჩიკაგოსთან“ დათმეს აღმოსავლეთის ფინალი.

დღესდღეობით „ორლანდოს“ იმდროინდელი შემადგენლობიდან აღარავინ შემორჩენია. 1996 წელს ონილი „ლეიკერსში“ გადაბარგდა, 1998 წელს ჰარდევეიმ „ფინიქსს“ მიაშურა, სხვებიც სხვა გუნდებში მიმოიფანტნენ. ორლანდოელებიც თითქოს ძველ დროს უნდა მისტიროდნენ, მაგრამ არა, ახალი თაობის შემყურეთ გული იმედით ევსებათ. ბოლო სეზონმა მათ ძველი დიდების დაბრუნების რწმენა გაუღვივათ. მართალია, „მეჯიქი“ ბოლო სეზონში პლეი ოფის პირველივე წრიდან გამოვარდა, მაგრამ თავის დროზე შაკილის გუნდიც ხომ ასე იწყებდა? გაგვიჭირდება, თავისი მასშტაბით დღევანდელი „ორლანდოს“ ლიდერი ტრეისი მაკგრეიდი შაკილ ონილს შევადაროთ, თუმც ამ 21 წლის ბიჭს ბევრი რომ შეუძლია, ეს ამ სეზონშიც გამოჩნდა. შარშან „ტორონტოდან“ გადმობარგებულმა ამ უწვერულმა ბიჭუნამ „ორლანდოს“ მაისურით „ოლ სტარში“ თამაშიც მოასწრო და ნბა-ს მეორე სიმბოლურ ხუთეულშიც მოხვდა. არ დაგვავიწყდეს მისი ასაკი. მაგრეიდის მხარს უმშვენებენ სეზონის საუკეთესო ახალბედა მაიკ მილერი და კარგი გამთამაშებელი დარელ არმსტრონგი, რომელიც ამ ორი წლის წინ ერთდროულად გახდა სეზონის საუკეთესო მეექვსე მოთამაშე და ყველაზე გაუმჯობესებული მოთამაშე. და ეს ყველაფერი როდია. „მეჯიქს“ უზარმაზარი რეზერვი აქვს და მას გრანტ ჰილი ჰქვია. ნბა-ს უძლიერეს ფრთას, ჩვენში და სხვაგანაც სპრაიტის რეკლამირებით ცნობილ გრანტ ჰილს ტრავმის გამო წინა სეზონი მთლიანად გაუცდა. ახლა იგი თითქმის გამოჯანმრთელდა და „ჯადოების“ მეტოქეებს მოჯადოებას უპირებს. ნურც პატრიკ იუინგი დაგვავიწყდება. ბებერი პატრიკი სულ ახლახან შევიდა „ჯადოსნურ“ წრეში და ახალ გუნდს დაეხმარება, აღმოსავლეთში უძლიერესად იქცეს. „შაკილ ონილი? რა დროს ისტორიის ქექვაა? ჩვენ ახლა გვყავს უძლიერესი გუნდი, თუ არა გჯერათ, ერთი წელი მოიცადეთ და თავად ნახავთ“ — იქადნებიან საღამოობით ტელეეკრანის წინ მოკალათებული ორლანდოელები. ჩვენც მოვიცადოთ.

**ირაკლი ფირუზვილი**

ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირი
25 აგვისტო. იამბოლი. დაიანა ჰოლი

# ბულგარეთი — საქართველო

# რასაც მომზადებას ჰქვია
# ბულგარეთი მშვენივრად მოემზადა ქართველებისგან განსხვავებით

**გუშინ** გაუწყეთ, რომ საქართველოს კალათბურთელთა ნაკრები გაემგზავრა უკრაინას, სადაც ბულგარელებთან ევროპის 2003 წლის ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ტურნირის მატჩის წინ ორ მოსამზადებელ შეხვედრას ჩაატარებს უკრაინის ნაკრებთან და კიევის „ბუდეველნიკთან“. ისიც გამცნეთ, რომ ბულგარელებიც თავის მხრივ ქართველებთან შესახვედრად დიდ სამზადისში არიან. სლავებს არსად გამგზავრება არ მოუწევთ, მშობლიურ სოფიაში სამი საკონტროლო მატჩი დაგეგმეს. აქედან ერთი უკვე ითამაშეს იუგოსლავიურ „რადნიჩკისთან“.

ოთხთა ტურნირი, რომელიც „სოფია ევორდის“ სახელს ატარებს, ბულგარეთის დედაქალაქში გუშინ დაიწყო. ბულგარეთის ნაკრებისა და იუგოსლავიური კლუბის გარდა, სოფიაში თურქული „დარუშაფაკა“ და უკრაინული „ბკ კიევი“ ასპარეზობენ. ამჟამად ჩვენთვის საინტერესო ბულგარეთის ნაკრებმა დაძაბულ ბრძოლაში მოუგო ბელგრადულ „რადნიჩკის“ — 89:85 (27:25, 20:19, 18:20, 24:21). როგორც ხედავთ, ბულგარელებს გაუჭირდათ იუგოსლავიის საშუალო კლუბის დამარცხება, თუმც ეს არაფერს ნიშნავს, მატჩი მოსამზადებელი იყო და მისი მიხედვით ძნელია მსჯელობა.

ბულგარელებმა ზუსტად იმ შემადგენლობით ითამაშეს, რომლითაც 3 ივნისს სპორტის სასახლეში ქართველებთან 16 ქულით დამარცხდნენ. ისევე, როგორც თბილისურ მატჩში, ამჯერადაც ბულგარელთა რიგებში მათი უკანახაზელი, შემელოტებული ლიუბომირ მინჩევი გამოირჩეოდა. ვერცხლისწყალივით მოძრავი, თავის ნაკრებს 24 ქულით შეეწია. ქვემოთ გთავაზობთ ბულგარელთა გუშინდელ, გამარჯვებულ შემადგენლობას:

ბოიკო მლადენოვი 10, ლიუბომირ მინჩევი 24, ტეოდორ სტოიკოვი 19, სპას ნატოვი 4, ივაილო რავუტზოვი 8, პეტარ პეტროვი 4, ტენჩო ბანევი 9, დიმიტარ ანგელოვი 2, კრასიმირ დიმიტროვი 9, დეტჩო კოეშინოვი.

რამდენიმე დღის წინ კი ბულგარეთის ნაკრები თავისი ქვეყნის ვიცე-ჩემპიონს, „იამბოლგაზს“ ეთამაშა და 101:79 დაამარცხა. ამ მატჩში თავი ბულგარელთა ახალგაზრდა, პერსპექტიულმა მოთამაშემ, დიმიტარ ანგელოვმა გამოიჩინა. მან შეხვედრის ერთი ნახევარი ნაკრების შემადგენლობაში ჩაატარა და 20 ქულა მიითვალა, ხოლო მეორე ნახევარში თავისი კლუბის, „იამბოლგაზის“ მაისურა მოირგო და მხოლოდ 4 ქულას დასჯერდა, მაგრამ, სამაგიეროდ, 24 ქულით ყველაზე შედეგიანი გახლდათ.

ბულგარეთის 1999-2000 წლების საუკეთესო მოთამაშემ, ლიუბომირ მინჩევმა კი ნაკრებს 17 ქულა შესძინა, რასაც ბულგარელთა კიდევ ერთმა ლიდერმა ტეოდორ სტოიკოვმა 15 მიამატა.

**ირაკლი ბერტაია**



ბულგარეთის ნაკრები — ბელგრადის „რადნიჩკი“.
ლიუბომირ მინჩევმა (მარცხნივ) იუგოსლავიელებსაც აატკივა თავი და, ეჭვი არაა, ქართველებთანაც ხელს გამოიღებს


# იყიდება

ორსართულიანი კერძო ბინა დოლიძის ქუჩაზე,
170 კვ.მ. საერთო ფართით, გარაჟით,
150 კვ.მ. ხეხილიანი ეზოთი. ფასი შეთანხმებით



**ტელ: 78 28 77**

IAAF GOLDEN LEAGUE

## ოქროს ლიგა. V ეტაპი ციურიხი

# ოქროს ნაწილი სეკელისაა

## მსოფლიოს ჩემპიონებს ციურიხში ექინათ

WELTKLASSE ZÜRICH

**შეხედეთ** ციურიხის „ოქროს ლიგის" ტექნიკურ ნაწილს და დათვალეთ ის ხალხი, ვინც ედმონტონში მსოფლიოს ჩემპიონატზე გაიმარჯვა და აქ კი ვერა. თითებზე ვერ ჩამოთვლით: კონსტადინოს კენტერისი, ლარს რიდელი, იან ჟელეზნი, ანჯანეტ კირკლანდი, ფიონა მეი, ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკი... პრინციპში, თითები გვეყო, მაგრამ მთავარი ისაა, რომ გარკვეულ ფსიქოლოგიურ ამბავთან უნდა გვქონდეს საქმე — მსოფლიოს ჩემპიონატის მოგება ბევრისთვის ცხოვრების საქმეა, „ოქროს ლიგა" კი სად გაიქცევა, წელიწადშია მარტო 7 ეტაპი. არის ფულის მომენტიც, ლიგაზე 50 კილოს არიგებენ, მაგრამ ყველაფერი ხომ ფული არ არის...

და პირიქით, ედმონტონში ჩაჭრილები ციურიხში გამწარებით იბრძოდნენ, რადგან რევანში სურდათ. ერთმა მათგანმა, ვიოლეტა ბეკლია-სეკელიმ 1500 მეტრზე სირბილი მოიგო, რაშიც ედმონტონში თვისტომ გაბრიელა საბოს ჩამორჩა და ამჯერად მისი გამარჯვება მნიშვნელოვანია იმდენად, რომ სეკელი ჯეკპოტის პირველი მოწილე გახდა. მის ანგარიშზე მოგებული 5 ეტაპია.

უბოროტოდ ვამბობთ და ცხენისსახიანი რუმინელი მანდილოსანი სიხარულს ზომიერად გამოხატავდა, მესამე გამარჯვების შემდეგ ვირწმუნე, რომ ჯეკპოტში გარევა შემეძლოო. „მე მგონი, სხვა ათლეტებიც შეძლებენ 5 გამარჯვების დაგროვებას — აღნიშნა სეკელიმ — დღეს კი ძალიან გამიჭირდა, რადგან ედმონტონიდან დაღლილი ჩამოვედი". სეკელიმ იერიში ბოლო წრეზე განახორციელა, 200 მეტრი 30,8 წამში დაფარა, დაძლია რუსი ნატალია გორელოვასა და ბრაზილიელი კარლა საკრამენტოს მძაფრი კონკურენცია და გაიმარჯვა, ამ დროს კი საბომ 3000 მეტრი წააგო და იცით ვისთან? ოლგა ეგოროვასთან.

ეგოროვას სადოპინგე საქმეს ვერ იქნა და წერტილი ვერ დაესვა, ამიტომ რუსი აგრძელებს რბოლას. ციურიხში მას მეტად სწრაფი ტემპის აღება-შენარჩუნება დასჭირდა, რადგან მთლიანად ჯგუფი გარბოდა უაღრესი სისწრაფით. ფინიშამდე 200 მეტრით ადრე ეგოროვა დაუსხლტა ბერანე ადერესა და გეტე ვამის ეთიოპურ დუეტს და სიჩქარეს უმატა, მაგრამ იგივე გააკეთა საბომაც. რუმინელი აღმაფრენით გარბოდა და ფინიშის სწორზე ეგოროვას კინაღამ დაეწია, მაგრამ რუსმა თითქოს მეორე სული ჩაიდგა (რაც ხალხს დოპინგზე ალაპარაკებს), გაქანდა და დისტანცია თითქმის წამით მოიგო.

ძალიან მნიშვნელოვანი ეჩვენა ეგოროვას ის გარემოება, რომ ციურიხის სამმლეონნო სარბიელზე შეყრილი 22 ათასი კაცი მის მიმართ კეთილგანწყობას ამჟღავნებდა, რაც ედმონტონში სტვენა-ყვირილის შემდეგ რუსის გულს მალამოსავით მიეცხო. აკი თქვა კიდეც: „მაყურებელს მადლობას ვუხდი მხარდაჭერისთვის. მძიმე პერიოდი გამოვიარე, მაგრამ მგონია, რომ ჩემს ირგვლივ ხმაურს ჩემივე უდანაშაულობით ჩავაცხრობ. რბოლა კი მძიმე იყო, არ მეგონა, თავიდანვე სიჩქარე ასე თუ აიწეოდა".



მარიონ ჯონსმა ედმონტონური წყენის დავიწყება ხმაურით აღნიშნა



ფიონა მეის მონდომებული ნახტომი მხოლოდ მეორე ადგილს ეყო

REUTERS

ციურიხშივე შედგა ფრიად ისტორიული შეხვედრა ჰიშამ ელ გურუჯსა და ნოა ნგენის შორის. მაროკოელი და კენიელი ბოლოს სიდნეის ოლიმპიადაზე ომობდნენ და მაშინ ნგენიმ სენსაციურად მოიგო. მას შემდეგ ელ გურუჯი რევანშს ეძებს, მაგრამ ამაოდ. მსოფლიოს ჩემპიონატი არაბმა ისე მოიგო, ნგენი ბილიკზე კი არა, მგონი, ტრიბუნაზე არ გაჭაჭანებულა: კენიის ნაკრებიდან საწვრთნელი შეკრების ჩაგდებისთვის გარიცხეს. ჩემპიონატის მერე ელ გურუჯი თითქოს 5000 მეტრზე გადართვას აპირებდა, მაგრამ ჯერ საშველი არ დააყენა და ნანატრი დუელიც გამოუვიდა ნგენისთან.

დიდი არაფერი: ნოა ნგენი ციურიხში ოლიმპიური ჩემპიონი არ იყო, ის დილეტანტზე უარესად გამოიყურებოდა. მეტოქეობა ელ გურუჯს სხვა კენიელებმა გაუწიეს: ბერნარდ ლაგატმა, ვისაც მაროკოელი სისტემატიურად მეორე ადგილზე ტოვებს და კიდევ ოთხმა კაცმა. როცა არაბმა დასკვნითი სპრინტი დაიწყო, ესენი მიჰყვნენ, მაგრამ ტყუილად, ნგენი კი... ბოლო ადგილზე გავიდა.

100 მეტრზე ედმონტონში მარცხისთვის მარიონ ჯონსმა რევანში აიღო. ჟანა პინტუსევიჩ-ბლოკი ცოტა მძიმედ მოსწყდა ადგილს და საპრიზო სამეულისთვისაც ვერ იბრძოლა. [illegible] ანდრე ბუხერმა განიმტკიცა შვეიცარიის ეროვნული გმირის სახელი. ძალიან სწრაფი 800 მეტრის ბოლოს იგი დაიღალა, მაგრამ მაინც პირველი იყო. ბურუნდის ეროვნული რეკორდი დაამყარა მეორე პრიზიორმა ჟან პატრიკ ნდუვინამამ. მხოლოდ მეექვსე იყო რუსი რაკეტა იური ბორზაკოვსკი და ოლიმპიური ჩემპიონი ნილს შუმანიც მეშვიდე ადგილს დასჯერდა.

**დავით გულუა**



REUTERS

ბერნარდ უილიამსმა 200 მეტრი ოლიმპიურ და მსოფლიოს ჩემპიონ კოსტადინოს კენტერისს მოუგო და ფოტოგრაფებიც ამიტომ მიესივნენ

| ვაჟები |
| --- |
| 100 მ: 1. ტიმ მონტგომერი (აშშ) 9,90; 2. დუეინ ჩემბერსი (დიდი ბრიტანეთი) 10,09; 3. აბდულ აზიზ ზაკარი (განა) 10,15 |
| 200 მ: 1. ბერნარდ უილიამსი (აშშ) 20,19; 2. კრისტიან მალკოლმი (დიდი ბრიტანეთი) 20,24; 3. კოსტადინოს კენტერისი (საბერძნეთი) 20,28; |
| 800 მ: 1. ანდრე ბუხერი (შვეიცარია) 1.42,55; 2. ჟან პატრიკ ნდუვინამა (ბურუნდი) 1.42,81; 3. უილფრედ ბუნგეი (კენია) 1.42,96 |
| 1500 მ: 1. ჰიშამ ელ გურუჯი (მაროკო) 3.29,06; 2. ბერნარდ ლაგატი (კენია) 3.30,64; 3. ენოკ კოეხი (კენია) 3.31,28 |
| 5000 მ: 1. რიკარდ ლიმო (კენია) 12.56,72; 2. მარკ ბეტი (კენია) 12.58,72; 3. ჰაილუ მეკონენი (ეთიოპია) 13.00,69 |
| 3000 მ. სტიპლჩეიზი: 1. ბრაჰიმ ბულამი (მაროკო) 7.58,50; 2. რუბენ კოსგეი (კენია) 8.03,22; 3. კიპკურუი მისოი (კენია) 8.04,47 |
| 110 მ. თარჯრბენი: 1. ალენ ჯონსონი (აშშ) 13,18; 2. დუეინ უოლესი (აშშ) 13,22; 3. ტერენს ტრამელი (აშშ) 13,23 |
| ჭოკი: 1. ჯეფ ჰარტვიგი (აშშ) 5,85; 2. მიხაელ შტოლე (გერმანია) 5,80; 3. ვიქტორ ჩისტიაკოვი (ავსტრალია) 5,80 |
| სიგრძეზე ხტომა: 1. კევინ დილვორთი (აშშ) 8,16; 2. ჯეიმს ბეკფორდი (იამაიკა) 8,14; 3. სავანტე სპრინგფელოუ (აშშ) 8,13 |
| ბადრო: 1. ვირგილიუს ალეკნა (ლიტვა) 69,95; 2. ვასილი კაპტიუხი (ბელარუსი) 67,48; 3. ფრანც კრიუგერი (სამხრეთ აფრიკა) 66,94 |
| შუბი: 1. რეიმონდ ჰეხტი (გერმანია) 88,88; 2. იან ჟელეზნი (ჩეხეთი) 87,62; 3. ბორის ჰენრი (გერმანია) 85,90 |
| **ქალები** |
| 800 მ: 1. მარია მუტოლა (მოზამბიკი) 1.56,85; 2. კელი ჰოლმსი (დიდი ბრიტანეთი) 1.57,88; 3. შტეფანი გრაფი (ავსტრია) 1.57,98 |
| 1500 მ: 1. ვიოლეტა ბეკლია-სეკელი (რუმინეთი) 3.59,94; 2. ნატალია გორელოვა (რუსეთი) 4.00,53; 3. კარლა საკრამენტო (ბრაზილია) 4.00,94 |
| 3000 მ: 1. ოლგა ეგოროვა (რუსეთი) 8.23,26; 2. გაბრიელა საბო (რუმინეთი) 8.24,19; 3; ბერანე ადერე (ეთიოპია) 8.25,62 |
| 100 მ. თარჯრბენი: 1. გეილ დივერსი (აშშ) 12,53; 2. ანჯანეტ კირკლანდი (აშშ) 12,64; 3. ჯენი ადამსი (აშშ) 12,78 |
| 100 მ: 1. მარიონ ჯონსი (აშშ) 10,94; 2. ჩანდრა სტარაპი (ბაჰამის კუნძულები) 10,99; 3. ეკატერინი ტანუ (საბერძნეთი) 11,08 |
| 400 მ. თარჯრბენი: 1. ნეჟა ბიდუანე (მაროკო) 53,98; 2. ტატიანა ანტიპოვა-ტერეშჩუკი (უკრაინა) 54,38; 3. ტონია ბიუფორდ-ბეილი (აშშ) 54,45 |
| სიმაღლეზე ხტომა: 1. ჰესტრი კლოეტი (სამხრეთ აფრიკა) 2,01; 2. ვიტა პალამარი (უკრაინა) 1,99; 3. კაისა ბერგკვისტი (შვედეთი) 1,97 |
| სიგრძეზე ხტომა: 1. იუნის ბარბერი (საფრანგეთი) 6,97; 2. ფიონა მეი (იტალია) 6,77; 3. ტატიანა კოტოვა (რუსეთი) 6,71 |

ჭადრაკი

## მსოფლიოს ჩემპიონატი იუნიორთა შორის

# მდაბიო ჩინოსნებს თავს აზის

**ათენთან** ახლოს, პერისტერში, 20 წლამდე გოგო-ბიჭები მსოფლიოს ჩემპიონატს ატარებენ: 91 ვაჟმა და 62 ქალიშვილმა შვეიცარიული სისტემით 13-დან 5 ტური უკვე გაათამაშა და აღსანიშნავია, რომ ორივე ჯგუფს თავისი აწყვეტილი ჰყავს. ვაჟთაგან ასეთი ბელარუსი სერგეი აზაროვია, რომელსაც არანაირი ტიტული არ გააჩნია და მთელ დიდოსტატების, საერთაშორისო და ფიდეს ოსტატების ელიტას კი წინ მიუძღვის. მოწინავე ნომრებად განთესილებზე საერთოდ ძვირი არ ითქმის, რადგან მათი უმეტესობა მომდევნო პოზიციებზეა ჩამწკრივებული და შემდეგი ტურები ალბათ რაღაცას შეცვლის, მაგრამ აზაროვის წინ გაჭრა მაინც ყურადღებას იქცევს, მას ერთქულიანი ფორა აქვს. მალე დადგინდება, ბელარუსი მეცამეტე გოჭია თუ ახალი ვარსკვლავი.

მე-5 ტურში აზაროვმა შავი ფიგურები შვედი ემანუელ ბერგის წინააღმდეგ გააწყო და მისმა მეტოქემ წარსულის გადმონაშთი მეფის გამბიტი გაითამაშა, რომელზეც დებიუტების თეორიამ კარგა ხნის წინ მკაფიოდ თქვა, მასში უპირატესობას შავები მოიპოვებენო. ცოტა ხანში ბრძოლა მთელ ცენტრალურ ჰორიზონტალებზე გახურდა, პაიკები ერთმანეთს მიესივნენ და ხელსაყრელ გარღვევას ცდილობდნენ. ბერგმა პაიკი მოიგო, რასაც აზაროვმა ლაზიერის ფლანგური დარტყმით უპასუხა და ხარისხი მოიგო. ნადავლის დევნაში შავ ლაზიერს სიფრთხილე დავიწყებოდა და თეთრი ბანაკის უკიდურეს ზურგში შესულიყო, სადაც იგი ბერგის ფიგურებმა ალყაში მოაქციეს, მაგრამ შავი ეტლები დროულად ეცნენ თეთრ მეფეს და გასკვანჩეს, ამიტომ შვედი 29-ე სვლაზე დანებდა. აზაროვს ახლა ქულათა მაქსიმუმი აქვს, ქულის სავალზე 9-კაციანი გუნდი მისდევს და მათში ვხედავთ ქართველ მერაბ გაგუნაშვილს. მერაბი კარგად თამაშობს და უგებს არამარტო სუსტებს: რუსი ევგენი შაპოშნიკოვი რეიტინგებით მე-5 ნომერია. მასთან პარტია გაგუნაშვილის დომინირებით წარიმართა და კოხტა კომბინაციით დასრულდა, რომლის შედეგად დაიღუპა შაპოშნიკოვის შავი ლაზიერი და თეთრებმა გადამწყვეტი მატერიალური უპირატესობა მოიპოვეს. გარდა იმისა, რომ ლაზიერი ჰყავდა ეტლის და მსუბუქი ფიგურის სანაცვლოდ, გაგუნაშვილმა პაიკებითაც გაუსწრო მეტოქეს, ამიტომ რუსმა მალე საათი გააჩერა.

ზვიად იზორიამ მეხუთე ტურში წააგო, თორემ იქამდე ყოჩაღად იბრძოდა. ხონელს 3,5 ქულა აქვს და, ცხადია, რიგიანი შანსები, წინ ჯერ 8 ტურია.

ახლა გოგონები. მათში ყველა პარტია მოიგო რუსმა ნადეჟდა კოსინცევამ. ერთი კოსინცევა, ისიც რუსი, სახელად ტატიანა, პერისტერში ასევე თამაშობს და იმასაც არა უშავს, 3,5 ქულა აქვს. ამდენივე დააგროვეს სოფო ხუხაშვილმა და ინგა ჭარხალაშვილმა, რომლებმაც, სხვათა შორის, ძლიერი ჩინელების ცოლვა დაიდეს. ჭარხალაშვილმა ერთი პარტია მე-8 ნომერ სიუ ჟაოს მოუგო, ხუხაშვილმა სულაც ჩემპიონატის პირველი ნომერი, იანიუან ქსიუ დაამარცხა ტაქტიკურ ბრძოლაში. ჩინელებს იმიტომ გამოვარჩევთ, რომ ეს სწორედ მათ წაგვართვეს ქალთა ჭადრაკში მოწინავე ქვეყნის ტიტული და ბრძოლას მომავალი თაობები აგრძელებენ.

ხუხაშვილსა და ჭარხალაშვილზე უკეთესი შედეგი აქვს ნანა ძაგნიძეს, რომელიც პერისტერში ყაიმებს არ იკარებს. ძაგნიძემ 4 პარტია მოიგო და 1 წააგო ძლიერ ინდოელ საერთაშორისო ოსტატთან.

**დავით გულუა**

| ვითარება 5 ტურის შემდეგ |
| --- |
| **ვაჟები** |
| 1. სერგეი აზაროვი (რუსეთი) 5; 2-10. ჰუანი (ჩინეთი), ქსიანგ ბუ (ჩინეთი), გაბრიელ სარგისიანი (სომხეთი), ემანუელ ბერგი (შვედეთი), დავიდ ნავარა (ჩეხეთი), ევგენი პოსტნი (ისრაელი), ანტონ კორობოვი (უკრაინა), მერაბ გაგუნაშვილი (საქართველო), ჩანდრან მაჰეში (ინდოეთი) 4 |
| **გოგონები** |
| 1. ნადეჟდა კოსინცევა (რუსეთი) 5; 2-6. იანიუან ქსიუ (ჩინეთი), ელიზაბეტ პეტცი (გერმანია), ლილიტ მკრტჩიანი (სომხეთი), ნანა ძაგნიძე (საქართველო), ქიაობინგ გუ (ჩინეთი) 4 |

# სპორტული ლატარია კროკო

### გერმანია. რეგიონალლიგა (ჩრდ). V ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **22 აგვისტო** | | | |
| 21.15 | 006 | ვერდერი(მ)-ქემნიცი | 3,1 | 3,0 | 2,2 |
| 21.15 | 007 | პადერბორნი-დრეზდენი | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.30 | 008 | მიუნსტერი-იურდინგენი | 2,9 | 3,2 | 2,2 |
| 22.30 | 009 | აუე-მაგდებურგი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 22.30 | 010 | დიუსელდორფი-ფორტუნა | 1,95 | 3,1 | 3,5 |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 17.00 | 011 | ლევერკუზენი(მ)-ესენი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 17.00 | 012 | ვატენშაიდი-ფერლი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

### გერმანია. რეგიონალლიგა (სამ). V ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 21.30 | 013 | ულვერსბერგი-ზიგენი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 22.00 | 014 | ვეჰენი-კაიზერსლაუტერნი(მ) | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 17.30 | 015 | ფულდა-ოფენბახი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 17.30 | 016 | ანსბახი-ჰოფენჰაიმი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 17.30 | 017 | ბურგჰაუზენი-ბაიერნი(მ) | 1,7 | 3,2 | 4,4 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. II ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **22 აგვისტო** | | | |
| 23.45 | 021 | ფულემი-სანდერლენდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 24.00 | 022 | ბლექბერნი-მანჩესტერი | 4,2 | 3,3 | 1,7 |

### ინგლისი. პრემიერლიგა. III ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 023 | არსენალი-ლესტერი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 024 | არსენალი-ლესტერი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 025 | ბლექბერნი-ტოტენჰემი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.00 | 026 | ევერტონი-მიდლსბრო | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 19.00 | 027 | ფულემი-დერბი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 028 | იფსვიჩი-ჩარლტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 029 | საუთჰემპტონი-ჩელსი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 030 | ვესტ ჰემი-ლიდსი | 2,7 | 3,0 | 2,4 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 031 | ასტონ ვილა-მანჩესტერი | 3,4 | 3,1 | 2,0 |
| 20.00 | 032 | ნიუკასლი-სანდერლენდი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| | | **27 აგვისტო** | | | |
| 24.00 | 033 | ბოლტონი-ლივერპული | 3,6 | 3,3 | 1,8 |

### ინგლისი. I დივიზიონი. III ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **23 აგვისტო** | | | |
| 23.45 | 034 | როტერჰემი-შეფილდი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 23.45 | 035 | ბრედფორდი-ქოვენთრი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 036 | ჯილინგემი-ბარნსლი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 19.00 | 037 | გრიმსბი-პრესტონი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 038 | სიტი-ქრიუ | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 039 | სიტი-ქრიუ 0:1 | 1,9 | 3,3 | 2,5 |
| 19.00 | 040 | მილუოლი-ბარნლი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 041 | ნოტინგემი-კრ.პალასი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 042 | უენსდი-ვესტ ბრომვიჩი | 1,95 | 3,2 | 3,4 |
| 19.00 | 043 | სტოკპორტი-პორტსმუთი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 044 | უოლსოლი-ბირმინგემი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 045 | უიმბლდონი-ნორვიჩი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 046 | ვულვერჰემპტონი-უოტფორდი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

### ინგლისი. I დივიზიონი. IV ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 047 | ბარნსლი-როტერჰემი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 048 | ბირმინგემი-სტოკპორტი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 049 | ბირმინგემი-სტოკპორტი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 19.00 | 050 | ნორვიჩი-უენსდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 051 | პორტსმუთი-გრიმსბი | 1,85 | 3,3 | 3,5 |
| 19.00 | 052 | პრესტონი-უიმბლდონი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 19.00 | 053 | შეფილდი-ვულვერჰემპტონი | 1,75 | 3,1 | 4,2 |
| 19.00 | 054 | უოტფორდი-უოლსოლი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 055 | ვესტ ბრომვიჩი-ჯილინგემი | 1,8 | 3,3 | 3,6 |
| 22.15 | 056 | ბარნლი-სიტი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 23.45 | 057 | ქოვენთრი-ნოტინგემი | 1,65 | 3,3 | 4,7 |

### ინგლისი. II დივიზიონი. III ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 060 | ბლეკპული-უიკომბი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 19.00 | 061 | კემბრიჯი-სტოკი | 2,8 | 3,1 | 2,3 |
| 19.00 | 062 | კარდიფი-ბორნმუთი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 063 | ჩესტერფილდი-ბრენტფორდი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 064 | ჰადერსფილდი-ბერი | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 19.00 | 065 | ნორთჰემპტონი-ნოტსი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 066 | პორტ ვეილი-პიტერბრო | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 067 | ქუინზ პარკი-რედინგი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 19.00 | 068 | სუინდონი-ოლდემი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 069 | ტრანმერი-ბრაიტონი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 19.00 | 070 | უიგანი-ბრისტოლი | 2,2 | 3,0 | 3,1 |
| 19.00 | 071 | რექსემი-კოლჩესტერი | 2,1 | 3,1 | 3,2 |

### ინგლისი. II დივიზიონი. IV ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 072 | ბრენტფორდი-კემბრიჯი | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 19.00 | 073 | ბრისტოლი-კარდიფი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 074 | ბერი-სუინდონი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 075 | კოლჩესტერი-პორტ ვეილი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 076 | ნოტსი-ჩესტერფილდი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 19.00 | 077 | პიტერბრო-ჰადერსფილდი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 078 | უიკომბი-ქუინზ პარკი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 23.45 | 079 | სტოკი-ტრანმერი | 1,75 | 3,3 | 3,6 |

### ინგლისი. III დივიზიონი. III ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 084 | როვერსი-ლუტონი | 2,1 | 3,2 | 3,1 |
| 19.00 | 085 | კარლაილი-ჰალი | 3,0 | 3,1 | 2,2 |
| 19.00 | 086 | ჩელტენემი-მენსფილდი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 19.00 | 087 | ექსეტერი-სკანთორპი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 19.00 | 088 | ჰარტლპული-დარლინგტონი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 19.00 | 089 | კიდერმინსტერი-ტორკი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 090 | ლინკოლნი-სუონსი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.00 | 091 | მაკლფილდი-რაშდენი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 092 | ოქსფორდი-შრიუსბერი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 093 | პლიმუთი-როჩდეილი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 19.00 | 094 | საუთენდი-ჰალიფაქსი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 19.00 | 095 | იორკი-ლეიტონი | 2,4 | 3,2 | 2,5 |

### ინგლისი. III დივიზიონი. IV ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **27 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 096 | დარლინგტონი-როვერსი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 19.00 | 097 | ჰალიფაქსი-ოქსფორდი | 2,4 | 3,2 | 2,5 |
| 19.00 | 098 | ჰალი-კიდერმინსტერი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 099 | ლეიტონი-ჰარტლპული | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 19.00 | 100 | ლუტონი-საუთენდი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 19.00 | 101 | მენსფილდი-მაკლსფილდი | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.00 | 102 | როჩდეილი-ექსეტერი | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 19.00 | 103 | რაშდენი-პლიმუთი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 19.00 | 104 | სკანთორპი-ლინკოლნი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 19.00 | 105 | სუონსი-ჩელტენჰემი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 19.00 | 106 | ტორკი-კარლაილი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

### საფრანგეთი. I დივიზიონი. V ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 20.15 | 108 | ბორდო-ოსერი | 1,8 | 3,0 | 4,2 |
| 23.00 | 109 | ბასტია-მარსელი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 23.00 | 110 | გენგამი-ნანტი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 111 | ლორიანი-მონაკო | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| 23.00 | 112 | მონპელიე-სოშო | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 23.00 | 113 | პსჟ-რენი | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 23.00 | 114 | სედანი-მეცი | 1,95 | 2,9 | 3,8 |
| 23.00 | 115 | ტრუა-ლიონი | 2,5 | 2,9 | 2,6 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 23.45 | 116 | ლანსი-ლილი | 1,85 | 3,0 | 4,0 |

### საფრანგეთი. II დივიზიონი. V ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 117 | სტრასბური-შატორუ | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 23.00 | 118 | აიაჩო-ლე მანი | 1,6 | 3,2 | 5,6 |
| 23.00 | 119 | ამიენი-კრეტეი | 2,0 | 2,9 | 3,6 |
| 23.00 | 120 | გენიონი-კაენი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 121 | ისტრი-ბოვე | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 122 | ლავალი-ნიმი | 1,8 | 2,9 | 4,4 |
| 23.00 | 123 | ლე ავრი-გრენობლი | 1,7 | 3,1 | 4,7 |
| 23.00 | 124 | ნიცა-ნიორი | 2,3 | 2,8 | 3,1 |
| 23.00 | 125 | მარტიგი-ნანსი | 2,4 | 2,8 | 2,9 |
| 23.00 | 126 | ვასკეალი-სტ. ეტიენი | 2,4 | 2,9 | 2,8 |

### იტალია. სერია A. I ტური

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 23.30 | 127 | ბოლონია-ატალანტა | 1,85 | 2,9 | 4,2 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 128 | ბრეშა-მილანი | 3,3 | 2,8 | 2,2 |
| 18.00 | 129 | ფიორენტინა-კიევო | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 18.00 | 130 | ინტერი-პერუჯა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 131 | ინტერი-პერუჯა 0:1 | 1,9 | 3,0 | 2,8 |
| 18.00 | 132 | იუვენტუსი-ვენეცია | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 133 | იუვენტუსი-ვენეცია 0:1 | 1,75 | 3,1 | 3,1 |
| 18.00 | 134 | ლაციო-პიაჩენცა | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 135 | ლაციო-პიაჩენცა 0:1 | 1,75 | 3,1 | 3,1 |
| 18.00 | 136 | ლეჩე-პარმა | 2,9 | 2,8 | 2,4 |
| 18.00 | 137 | უდინეზე-ტორინო | 1,75 | 3,0 | 4,4 |
| 23.30 | 138 | ვერონა-რომა | 4,0 | 2,9 | 1,9 |

### იტალია. სერია B. I ტური.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 23.45 | 139 | ჯენოა-ნაპოლი | 2,6 | 2,7 | 2,7 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 140 | ანკონა-რეჯინა | 2,5 | 2,8 | 2,9 |
| 18.00 | 141 | კალიარი-მესინა | 1,55 | 3,3 | 6,0 |
| 18.00 | 142 | კომო-კროტონე | 2,5 | 2,8 | 2,9 |
| 18.00 | 143 | კოზენცა-ჩიტადელა | 1,7 | 3,0 | 5,0 |
| 18.00 | 144 | ემპოლი-პალერმო | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 18.00 | 145 | მოდენა-ბარი | 3,3 | 3,0 | 2,1 |
| 18.00 | 146 | სალერნიტანა-სამპდორია | 2,7 | 2,7 | 2,6 |
| 18.00 | 147 | ტერნანა-სიენა | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| 18.00 | 148 | ვიჩენცა-პისტოიეზე | 1,45 | 3,4 | 6,5 |

### ესპანეთი. I დივიზიონი. I ტური.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 00.30 | 149 | ვალენსია-რეალი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 150 | მალიორკა-ლას პალმასი | 1,45 | 3,4 | 6,5 |
| 22.00 | 151 | სოსიედადი-ბილბაო | 2,1 | 2,8 | 3,5 |
| 22.00 | 152 | ტენერიფე-ალავესი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.00 | 153 | ოსასუნა-სელტა | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 154 | დეპორტივო-ვალიადოლიდი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 155 | დეპორტივო-ვალიადოლიდი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 156 | ესპანიოლი-სარაგოსა | 1,9 | 3,0 | 3,8 |
| 23.30 | 157 | მალაგა-ბეტისი | 1,9 | 3,1 | 3,6 |
| 24.00 | 158 | რაიო-ვილიარეალი | 2,2 | 2,9 | 3,2 |
| 24.00 | 159 | სევილია-ბარსელონა | 4,2 | 3,1 | 1,75 |

### ესპანეთი. II დივიზიონი. I ტური.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 21.30 | 160 | ხიმნასტიკი-რასინგი | 2,8 | 2,9 | 2,4 |
| 21.30 | 161 | ელჩე-ფეროლი | 2,2 | 2,8 | 3,3 |
| 23.30 | 162 | ატლეტიკო-ხაენი | 1,5 | 3,4 | 6,5 |
| 00.30 | 163 | ალბასეტე-ლევანტე | 1,75 | 2,9 | 4,7 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 15.00 | 164 | ოვიედო-ესტრემადურა | 1,65 | 3,1 | 5,3 |
| 21.00 | 165 | ნუმანსია-სალამანკა | 1,75 | 3,0 | 5,0 |
| 21.30 | 166 | პოლი ეხიდო-ბურგოსი | 2,1 | 2,9 | 3,4 |
| 22.00 | 167 | ბადახოსი-უელვა | 2,5 | 2,7 | 2,8 |
| 22.00 | 168 | სერესი-სპორტინგი | 2,7 | 2,7 | 2,6 |
| 23.30 | 169 | კორდობა-ლეგანესი | 1,9 | 2,9 | 4,0 |
| 00.30 | 170 | მურსია-ეიბარი | 2,1 | 2,8 | 3,5 |

### პორტუგალია. I ლიგა. III ტური.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 21.00 | 171 | ბენფიკა-სეტუბალი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 172 | ბენფიკა-სეტუბალი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 22.00 | 173 | სპორტინგი-ალვერკა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 174 | სპორტინგი-ალვერკა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 02.00 | 175 | სანტა კლარა-ჟილ ვისენტე | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 20.00 | 176 | ვარზიმ-ბეირა მარი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 21.00 | 177 | ფერეირა-ლეირია | 1,95 | 3,0 | 3,6 |
| 22.30 | 178 | ბრაგა-ფარენსე | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 01.00 | 179 | ბოავიშტა-ბელენენსეში | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 180 | ბოავიშტა-ბელენენსეში 0:1 | 1,95 | 3,1 | 2,4 |
| | | **27 აგვისტო** | | | |
| 23.15 | 181 | მარიტიმუ-პორტუ | 3,6 | 3,1 | 1,9 |
| 01.00 | 182 | სალგეირუში-გიმარაეში | 1,85 | 3,1 | 3,8 |

### პორტუგალია. II. ლიგა. III ტური.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 01.00 | 183 | აკადემიკა-ოლივეირენსე | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 01.00 | 184 | შავეში-კამპომაიორენსე | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 20.00 | 185 | მარკუ-ნავალი | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 20.00 | 186 | მორეირენსე-პენაფიელი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 20.00 | 187 | ნასიონალი-ოვარენსე | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 20.00 | 188 | ავეში-პორტიმონენსე | 1,55 | 3,4 | 5,6 |
| 21.00 | 189 | ლამაში-ლეცა | 2,0 | 3,0 | 3,5 |
| 21.00 | 190 | ესპინიუ-მაია | 2,6 | 2,9 | 2,5 |
| 22.00 | 191 | ამადორა-რიუ ავე | 1,85 | 3,1 | 3,8 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. II ტური.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **22 აგვისტო** | | | |
| 22.00 | 204 | როდა-ფეიენოორდი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 22.00 | 205 | გრონინგენი-ტილბურგი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 206 | ნაიმეგენი-ვალვაიკი | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 23.00 | 207 | სპარტა-უტრეხტი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 208 | პსვ-დენ ბოსხი | 1,1 | 7,0 | 14,0 |
| | 209 | პსვ-დენ ბოსხი 0:1 | 1,3 | 3,8 | 4,4 |
| 23.00 | 210 | ვიტესი-ალკმაარი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 211 | ვიტესი-ალკმაარი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 23.00 | 212 | სიტარდი-გრააფსხაპი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

### ჰოლანდია. I დივიზიონი. III ტური.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 23.00 | 213 | ჰერენვენი-ბრედა | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 22.30 | 214 | ტილბურგი-პსვ | 3,8 | 3,3 | 1,75 |
| 22.30 | 215 | ტვენტე-როდა | 2,3 | 3,2 | 2,7 |
| 22.30 | 216 | გრააფსხაპი-ნაიმეგენი | 2,2 | 3,2 | 2,9 |
| 23.00 | 217 | ვიტესი-უტრეხტი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 23.00 | 218 | ალკმაარი-სპარტა | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 16.00 | 219 | ფეიენოორდი-აიაქსი | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 17.30 | 220 | ვალვაიკი-გრონინგენი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| 17.30 | 221 | დენ ბოსხი-სიტარდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |

### ჰოლანდია. II დივიზიონი. II ტური.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **24 აგვისტო** | | | |
| 23.00 | 222 | ოსი-მაასტრიხტი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 23.00 | 223 | დენ ჰააგი-იგლსი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 224 | როზენდალი-ვენლო | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 225 | როზენდალი-ვენლო 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| 23.00 | 226 | ვეენდამი-ვოლენდამი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 22.30 | 227 | ჰელმონდი-კამბური | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 23.00 | 228 | ზვოლე-ტელსტარი | 1,65 | 3,3 | 4,7 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 17.30 | 229 | ჰაარლემი-დორდრეხტი | 2,1 | 3,2 | 3,1 |

### ბელგია. I დივიზიონი. III ტური.

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 23.00 | 230 | შარლერუა-სტ.ტრუიდენი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 23.00 | 231 | ლიერსი-ანტვერპენი | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 23.00 | 232 | გენტი-ვესტერლო | 1,6 | 3,4 | 5,0 |
| 23.00 | 233 | ლომელი-მუსკრონი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 234 | გენკი-ლუვიე | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 235 | გენკი-ლუვიე 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 18.00 | 236 | ბრიუგე-ბევერენი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 237 | ბრიუგე-ბევერენი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 238 | აალსტი-ლოკერენი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 239 | სტანდარდი-მოლენბეკი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| | 240 | სტანდარდი-მოლენბეკი | 1,7 | 3,2 | 3,2 |
| 23.00 | 241 | ბევერსხოტი-ანდერლეხტი | 3,4 | 3,2 | 1,95 |

**ბელგია. II დივიზიონი. I ტური.**
**22 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.30 | 248 | ვიზე-მეხელენი | 3,4 | 3,2 | 1,95 |
| 21.30 | 249 | სტრომბეკი-ინგელმუნსტერი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 23.00 | 250. | დაინცე-რონსე | 1,8 | 3,2 | 3,8 |
| 23.00 | 251 | ვირტონი-დესელი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 23.00 | 252 | ტინენი-დენდერლეუ | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 23.00 | 253 | გეელი-სერკლი | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| 23.00 | 254 | ფლაანდერენი-რუზელარე | 1,7 | 3,4 | 4,0 |
| 23.00 | 255 | მონსი-პატრო | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 23.00 | 256 | ჰეუსდენი-ლიეჟი | 2,1 | 3,1 | 3,2 |

**ჩეხეთი. V ტური**
**25 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 17.15 | 257 | ტეპლიცე-სლავია | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 21.30 | 258 | სპარტა-პრეიბრამი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 259 | სპარტა-პრეიბრამი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 19.30 | 260 | ბანიკი-პ.კრალოვე | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 261 | ბანიკი-ჰ.კრალოვე 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.30 | 262 | ბოჰემიანსი-დრნოვიცე | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 19.30 | 263 | სინოტი-ჟიჟკოვი | 2,3 | 3,0 | 2,9 |
| 19.30 | 264 | ბლშანი-სიგმა | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 19.30 | 265 | ლიბერეცი-ოპავა | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 266 | ლიბერეცი-ოპავა 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 22.00 | 267 | ბრნო-იაბლონეცი | 2,0 | 3,1 | 3,4 |

**პოლონეთი. VI ტური. A ჯგუფი**
**25 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 268 | ოსტროვეცი-ვიძევი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 21.00 | 269 | გურნიკი-კატოვიცე | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 270 | ვისლა-ზაგლებე | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 19.00 | 271 | პოლონია-ოდრა | 1,55 | 3,4 | 5,6 |

**პოლონეთი. VI ტური. B ჯგუფი.**
**25 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 272 | რუხი-შლიონსკი | 1,85 | 3,1 | 3,8 |
| 20.00 | 273 | რადომსკო-ამიცა | 2,9 | 3,0 | 2,3 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 18.00 | 274 | სტომილი-ლეგია | 3,2 | 3,1 | 2,1 |
| 20.30 | 275 | პოგონი-გროცლინი | 1,6 | 3,3 | 5,3 |

**თურქეთი. III ტური**
**24 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 276 | ტრაბზონი-ბურსა | 1,3 | 4,0 | 7,5 |
| | 286 | ტრაბზონი-ბურსა | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 277 | გიოზთეფე-სამსუნი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| 21.00 | 278 | ბეშიქთაში-დიარბაქირი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| | 279 | ბეშიქთაში-დიარბაქირი 0:1 | 1,5 | 3,5 | 3,5 |
| 21.00 | 280 | გენჩლერბირლიგი-ისთანბული | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 21.00 | 281 | ანთალია-იოზგათი | 2,2 | 3,1 | 3,0 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 21.00 | 282 | გაზიანთეფი-დენიზლი | 1,5 | 3,5 | 6,0 |
| 21.00 | 283 | ქოჯაელი-მალათია | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 21.00 | 284 | ფენერბაჩე-ანკარაგიუჯიუ | 1,4 | 3,6 | 6,5 |
| 21.00 | 285 | რიზე-გალათასარაი | 3,6 | 3,3 | 1,8 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა. V ტური**
**25 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 287 | დანფერმლაინი-ჰართსი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 19.00 | 288 | მოზერუელი-ლივინგსტონი | 2,1 | 3,1 | 3,2 |
| 19.00 | 289 | რეინჯერსი-დანდი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| | 290 | რეინჯერსი-დანდი 0:1 | 1,8 | 3,3 | 2,8 |
| 19.00 | 291 | სტ.ჯონსტონი-აბერდინი | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 21.35 | 292 | ჰიბერნიანი-სელტიკი | 4,0 | 3,1 | 1,8 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 19.00 | 293 | დანდი იუნ.-კილმარნოკი | 2,3 | 3,1 | 2,8 |

**ავსტრია. IX ტური**
**25 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 309 | აუსტრია-ბრეგენცი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 310 | აუსტრია-ბრეგენცი 0:1 | 1,9 | 3,4 | 2,4 |
| 22.30 | 311 | შტურმი-რიდი | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| | 312 | შტურმი-რიდი 0:1 | 1,95 | 3,3 | 2,4 |
| 22.30 | 313 | ტიროლი-კერნტენი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | 314 | ტიროლი-კერნტენი 0:1 | 1,9 | 3,2 | 2,6 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 19.30 | 315 | ზალცბურგი-გრაცერი | 2,4 | 3,0 | 2,7 |
| 22.30 | 316 | ადმირა-რაპიდი | 3,6 | 3,2 | 1,85 |

**შვეიცარია. A ჯგუფი. IX ტური**
**25 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.15 | 330 | ციურიხი-გრასჰოპერი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 22.30 | 331 | ბაზელი-ლუგანო | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 22.30 | 332 | ლოზანა-ლუცერნი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 22.30 | 333 | ქსამაქსი-აარაუ | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 22.30 | 334 | სერვეტი-იანგ ბოისი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| | | **26 აგვისტო** | | | |
| 19.15 | 335 | სტ. გალენი-სიონი | 2,2 | 2,9 | 3,2 |

**შვეიცარია. B ჯგუფი. X ტური**
**25 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 336 | ბადენი-კონკორდია | 2,0 | 3,1 | 3,4 |
| 20.30 | 337 | ვინტერთური-ივერდონი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 22.30 | 338 | ბელინცონა-ლოკარნო | 1,8 | 3,1 | 4,0 |
| 22.30 | 339 | კრინსი-ვილი | 2,1 | 3,0 | 3,3 |
| 22.30 | 340 | თუნი-კარუჟი | 2,0 | 3,0 | 3,5 |

**26 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.15 | 341 | ვადუცი-დელემონი | 2,2 | 3,0 | 3,1 |

**დანია. VI ტური**
**26 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 18.00 | 342 | ესბიერგი-ბრონდბიუ | 3,6 | 3,3 | 1,8 |
| 18.00 | 343 | აკადემისკი-ორჰუსი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 18.00 | 344 | ლიუნგბიუ-ვიბორგი | 1,9 | 3,3 | 3,4 |
| 18.00 | 345 | ოდენსე-მიდტიულანდი | 2,0 | 3,2 | 3,3 |
| 18.00 | 346 | ვაილე-ოლბორგი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 20.05 | 347 | სილკებორგი-კოპენჰაგენი | 3,2 | 3,3 | 2,0 |

**რუსეთი. XXIII ტური.**
**24 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 16.00 | 348 | ცსკა-ზილ | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| | | **25 აგვისტო** | | | |
| 16.00 | 349 | როსტსელმაში-სატურნი | 2,3 | 2,9 | 3,0 |
| 16.00 | 350 | როტორი-ფაკელი | 1,7 | 3,2 | 4,4 |
| 16.00 | 351 | სპარტაკი-დინამო | 1,45 | 3,5 | 6,0 |
| 16.00 | 352 | ჩერნომორეცი-კრილია | 3,0 | 3,1 | 2,1 |
| 16.00 | 353 | სოკოლი-ტორპედო | 2,4 | 2,9 | 2,8 |
| 16.00 | 354 | ზენიტი-ალანია | 1,4 | 3,5 | 7,0 |
| 16.00 | 355 | ლოკომოტივი-ანჟი | 1,4 | 3,5 | 7,0 |

**შვედეთი. XVIII ტური.**
**22 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 22.00 | 368 | მალმიო-იორგრიტე | 2,2 | 3,2 | 2,9 |

**ფინეთი. XXVI ტური.**
**23 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 393 | ინტერი-ლაჰტი | 1,7 | 3,3 | 4,2 |
| 20.30 | 394 | როვანიემი-ტამპერე | 3,4 | 3,2 | 1,95 |

**ინგლისი. ლიგის თასი. I ეტაპი**
**22 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 464 | ბირმინგემი-საუთენდი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 23.45 | 465 | კემბრიჯი-ვესტ ბრომვიჩი | 3,1 | 3,2 | 2,1 |
| 23.45 | 466 | სტოკი-ოლდემი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 23.45 | 467 | ვულვერჰემპტონი-სუინდონი | 1,35 | 4,0 | 7,5 |

**ესპანეთი. სუპერთასი. II მატჩი**
**22 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 00.45 | 468 | რეალი-სარაგოსა | 1,3 | 4,4 | 8,0 |

**პოლონეთი. ლიგის თასი. III ეტაპი. II მატჩები**
**22 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.00 | 469 | გროცლინი-სტომილი | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| 20.30 | 470 | ვიძევი-ოდრა | 1,7 | 3,3 | 4,2 |

**ნორვეგია. თასი. მეოთხედფინალი.**
**22 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 20.30 | 471 | ოდ გრენლანდი-სოგნდალი | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 20.30 | 472 | ბრინი-ვოლერენგა | 2,1 | 3,4 | 2,9 |
| 20.30 | 473 | ლილესტრიომი-ბრანი | 1,9 | 3,2 | 3,5 |

**ევროპის სუპერთასი (მონაკოში)**
**24 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 23.45 | 501 | ბაიერნი-ლივერპული | 2,4 | 3,1 | 2,6 |

**ჩემპიონთა ლიგა. III ეტაპი. II მატჩები**
**22 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 21.00 | 508 | ლევსკი-გალათასარაი | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.00 | 509 | ფენერბაჩე-რეინჯერსი | 1,85 | 3,2 | 3,6 |
| 23.00 | 510 | ანდერლეხტი-ჰალმსტადი | 1,4 | 4,0 | 6,5 |
| 23.15 | 511 | გრასჰოპერი-პორტუ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 23.30 | 512 | პანათინაიკოსი-სლავია | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 23.30 | 513 | ტიროლი-ლოკომოტივი(მ) | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 23.30 | 514 | დორტმუნდი-შახტარი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 23.45 | 515 | რუსენბორგი-ინტერი(სლკ) | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.45 | 516 | სელტიკი-აიაქსი | 1,75 | 3,3 | 3,8 |
| 23.45 | 517 | ლილი-პარმა | 2,5 | 3,0 | 2,5 |

**უეფას თასი. I ეტაპი. II მატჩები**
**23 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 19.00 | 518 | ბატე-დინამო(თბ) | ანგარიში – 5,0 | | |
| 19.00 | 519 | შაფა-ოლიმპია | 3,6 | 3,3 | 1,8 |
| 19.00 | 520 | ვენტსპილსი-ჰიკ | 2,5 | 3,0 | 2,5 |
| 19.30 | 521 | ბროტნიო-ვიკინგი | 2,7 | 3,2 | 2,3 |
| 20.00 | 522 | ლოკომოტივი(თბ)-ბირკირკარა | ანგარიში – 5,0 | | |
| 20.00 | 523 | აშტარაკი-ბრაშოვი | 3,5 | 3,3 | 1,85 |
| 20.00 | 524 | პოგონი-ფილკირი | 1,35 | 4,0 | 7,5 |
| 20.00 | 525 | გორიცა-ნეფტჩი | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 21.00 | 526 | ბელშინა-რუზომბეროკი | 2,3 | 3,1 | 2,8 |
| 21.00 | 527 | ჟალგირისი-მაკაბი | 2,5 | 3,2 | 2,4 |
| 21.00 | 528 | რაპიდი(ვ)-კოსმოსი | 1,03 | 9,0 | 18,0 |
| 21.00 | 529 | დინამო(ტირ)-დინამო(ბუქ) | 3,6 | 3,3 | 1,8 |
| 21.00 | 530 | იოკერიტი-ცსკა(კ) | 2,4 | 3,1 | 2,6 |
| 21.00 | 531 | სლოვანი-ქუიმბრანი | 1,1 | 7,0 | 14,0 |
| 22.00 | 532 | ნისტრუ-დებრეცენი | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 22.00 | 533 | ლიტექსი-ლონგფორდი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 22.00 | 534 | ცსკა(ს)-შახტიორი(ბლრ) | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 22.00 | 535 | ჰელსინგბორგი-მიუპა | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 22.00 | 536 | ელფსბორგი-ტრანსი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 22.00 | 537 | აპოლონი-ტირანა | 1,5 | 3,6 | 5,6 |
| 22.00 | 538 | ჰაპოელი-არარატი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 22.30 | 539 | სლიმა-პუხოვი | 3,6 | 3,3 | 1,75 |
| 22.30 | 540 | პარტიზანი(იუგ)-სტ.კოლომა | 1.03 | 9.0 | 18.0 |
| 22.30 | 541 | გაზიანთეფი-ზიმბრუ | 1,3 | 4,4 | 8,0 |
| 22.45 | 542 | რაპიდი(ბუქ)-ატლანტისი | 1,15 | 6,0 | 12,0 |
| 22.45 | 543 | შელბურნი-ბრიონდბიუ | 3,5 | 3,2 | 1,85 |
| 23.00 | 544 | გრევენმახერი-აეკ | 7,5 | 4,0 | 1,3 |
| 23.00 | 545 | დუნაფერი-ოლიმპიაკოსი(კვ) | 1,4 | 3,8 | 7,0 |
| 23.00 | 546 | ვარტექსი-ვადუცი | 1,15 | 5,6 | 10,0 |
| 23.00 | 547 | სტ.გალენი-პელისტერი | 1,25 | 4,4 | 8,0 |
| 23.00 | 548 | გოტუ-ობილიჩი | 4,2 | 3,3 | 1,7 |
| 23.00 | 549 | სტანდარდი-ყარდარი | 1,2 | 5,6 | 10,0 |
| 23.00 | 550 | სარაევო-მარიტიმუ | 2,6 | 3,1 | 2,4 |
| 23.00 | 551 | ლეგია-უტელბრიუკი | 1,03 | 9,0 | [illegible] |
| 23.15 | 552 | ფლორა-დინამო(ზ) | 3,5 | 3,2 | 1,9 |
| 23.15 | 553 | ოსიეკი-დინაბურგი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 23.15 | 554 | გრაცერი-ტორსჰაგენი | 1,06 | 8,0 | 16,0 |
| 23.30 | 555 | გლენტორანი-მიდტიულანდი | 3,3 | 3,2 | 2,0 |
| 23.30 | 556 | აკრანესი-ბრიუგე | 4,4 | 3,2 | 1,7 |
| 23.45 | 557 | კილმარნოკი-გლენავონი | 1,25 | 5,0 | 9,0 |
| 00.45 | 558 | ტნს-პოლონია | 4,0 | 3,4 | 1,65 |

**მერკოსურის თასი.**
**22 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 03.30 | 563 | კრუზეირო(ბრა)-კორინტიანსი(ბრა) | 1,9 | 3,2 | 3,5 |
| 05.40 | 564 | გრემიო(ბრა)-პალმეირასი(ბრა) | 1,65 | 3,4 | 4,4 |
| | | **23 აგვისტო** | | | |
| 23.00 | 565 | სან პაულუ(ბრა)-ველესი(არგ) | 1,55 | 3,5 | 5,3 |
| 04.00 | 566 | ტალიერესი(არგ)-პენიაროლი(ურუ) | 1,6 | 3,3 | 5,3 |
| 06.10 | 567 | კოლო კოლო(ჩილ)-ინდეპენდიენტე(არგ) | 2,3 | 3,2 | 2,7 |

**მერკონორტეს თასი.**
**22 აგვისტო**

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 05.00 | 569 | ალიანსა(პერ)-აუკასი(ეკვ) | 1,45 | 3,6 | 6,5 |
| 05.10 | 570 | ბლუმინგი(ბოლ)-უნივერსიტარიო(პერ) | 1,75 | 3,2 | 4,0 |
| | | **23 აგვისტო** | | | |
| 04.00 | 571 | მილიონარიოსი(კოლ)-იტალჩაკაო(ვენ) | 1,25 | 5,0 | 9,0 |

**შემდეგ ეტაპზე გასვლა**
**22 აგვისტო**

| | | | |
|---|---|---|---|
| 21.00 | 608 | ლევსკი-გალათასარაი | 3,1-1,25 |
| 23.00 | 609 | ფენერბაჩე-რეინჯერსი | 1,5-2,0 |
| 23.00 | 610 | ანდერლეხტი-ჰალმსტადი | 1,01-10,0 |
| 23.15 | 611 | გრასჰოპერი-პორტუ | 1,55-1,9 |
| 23.30 | 613 | ტიროლი-ლოკომოტივი(მ) | 3,1-1,25 |
| 23.45 | 615 | რუსენბორგი-ინტერი(სლკ) | 1,05-5,6 |
| | | **23 აგვისტო** | |
| 19.00 | 620 | ვენტსპილსი-ჰიკ | 2,8-1,3 |
| 19.30 | 621 | ბროტნიო-ვიკინგი | 3,1-1,2 |
| 20.00 | 624 | პოგონი-ფილკირი | 1,2-3,1 |
| 20.00 | 625 | გორიცა-ნეფტჩი | 1,1-5,0 |
| 21.00 | 626 | ბელშინა-რუზომბეროკი | 3,1-1,25 |
| 21.00 | 629 | დინამო(ტირ)-დინამო(ბუქ) | 4,0-1,1 |
| 21.00 | 630 | იოკერიტი-ცსკა(კ) | 4,0-1,1 |
| 22.00 | 633 | ლიტექსი-ლონგფორდი | 1,05-6,0 |
| 22.00 | 637 | აპოლონი-ტირანა | 1,35-2,5 |
| 22.30 | 641 | გაზიანთეფი-ზიმბრუ | 1,1-4,4 |
| 23.00 | 645 | დუნაფერი-ოლიმპიაკოსი(კვ) | 1,1-4,0 |
| 23.00 | 650 | სარაევო-მარიტიმუ | 3,1-1,2 |
| 23.15 | 652 | ფლორა-დინამო(ზ) | 5,0-1,05 |
| 23.15 | 653 | ოსიეკი-დინაბურგი | 1,15-3,1 |
| 23.30 | 655 | გლენტორანი-მიდტიულანდი | 1,7-1,7 |

**კოეფიციენტების შესაძლო ცვლილებები ადგილზე დააზუსტეთ**


**კროკოს ბიუროთა მისამართები:**

თბილისში — ფურცელაძის ქუჩა, კინოთეატრ „რუსთაველის“ შენობაში;
№2 ცენტრალური ფოსტამტი ალმაშენებლის გამზირზე;
გლდანი, I სავაჭრო ცენტრი;
ვაჟა ფშაველას 46 (მეტრო დელისთან);
ნინამძღვრიშვილის 200 (ეროვნულ სტადიონთან, ტელმანის ქუჩის კუთხეში)
გურამიშვილის გამზირი, 50 (მეტრო „ღრმაღელესთან“)
წერეთლის გამზირი №11;
ჭავჭავაძის გამზირი №41
ქუთაისი — პუშკინის ქუჩა №16 (ტელეკომპანია „ივერიონის“ შენობაში)
ფალიაშვილის ქუჩა № 27
გორში — სტალინის ქუჩა, ჭადრაკის კლუბი;
სტალინის ქუჩა№30
თელავში — კოსტავას ქუჩა №23.
რუსთავში — შარტავას ქუჩა №7
ოზურგეთში — გურიის ქუჩა №23
ბათუმში — მემედ აბაშიძის (ყოფილი სტალინის) ქუჩა №21;
ერას (ყოფილი გორკის) ქუჩა №61;
ჯავახიშვილის ქუჩა №78;
ჭავჭავაძის ქუჩა №113,
ფიროსმანის ქუჩა №7ა
ძოძულეთში — ალმაშენებლის ქუჩა №106
მარნეულში — რუსთაველის ქუჩა №39
გურჯაანში — დავით გურამიშვილის ქუჩა №28

1 აგვისტოდან კროკო ხუთშაბათობითაც მუშაობს. დასვენების დღე მხოლოდ ორშაბათია. სამუშაო დღეებია: სამშაბათი, ოთხშაბათი, ხუთშაბათი, პარასკევი,

## სამი ერის პირველობა

# სამხრეთში შეუტევლებს მაგრად შეუტიეს





**სტივენ ლარკემმა არეკნი დაარტყა, გაიცუდა და დაღონებულმაც ჩაიმუხლა**

პერტი, 18 აგვისტო
42 658 მაყურებელი

**ავსტრალია 14:14 სამხრეთ აფრიკა**

**სასტარტო შემადგენლობანი**

**ავსტრალია:** ბერკი, ლეიოემი, ჰერბერტი, გრეი, როფი, ლარკემი, გრეგანი; სტილსი, ფოლი, მური, ჰარისონი, ილზი (კაპ), ფინეგანი, სმიტი, კაფუ

**ლს:** გრეი; **პს:** ბერკი

**სამხრეთ აფრიკა:** იანტიესი, პოლსე, ფლეკი, ფან სტრაატენი, ჰოლი, ჯეიმსი, ფან დერ ვესტჰოიზენი; კემპსონი, ფან ბილიონი, ფისახი, მეტფილდი, ენდრიუსი, ფოსი, ფენტერი, სკინსტედი (კაპ)

**ლს:** ენდრიუსი; **პს:** ფან სტრაატენი

**მსაჯი:** სტივ უოლში (ახალი ზელანდია)

წლევანდელ სამი ერის ჩემპიონატზე უკვე ოთხი მატჩი გაიმართა და თამამად შეიძლება ითქვას, რომ ასე ცოტა ქულები და ასეთი მდარე სანახაობა ამ ტურნირს არ ახსოვს.

სამმა ერმა ერთგვარად დაკარგა თავისი უდიდესი მომხიბვლელობა.

სადღაა ადრინდელი ულამაზესი მატჩები. ახლა ძველებური მხოლოდ დაძაბულობა და გამარჯვებისკენ სწრაფვალაა. დაცვაზე აგებული თამაში, უხეშობა, მხოლოდ არწაგების ნდომა... სწორედ ასეთი გამოდგა შაბათის მატჩიც. ეს იყო პირველი ფრე ამ ტურნირის ექვსწლიანი არსებობის მანძილზე, რაც ბევრმა სამხრეთულმა გაზეთმა „შეტევაზე უარის თქმის სინდრომით“ ახსნა. და სამიდან არც ერთი ერი არ ჩანს ამ დაცვითი ბლოკის გარღვევის დიდ მსურველად.

მწვრთნელები და მორაგბეები უფრო თავიანთი უნიათობის მსაჯებზე გადაბრალებას ცდილობენ, მითუმეტეს, როცა არბიტრები ევროპიდან არიან. ირლანდიელი მაკჰიუ (სამხრეთ აფრიკა — ავსტრალია) და ინგლისელი ლენდერი (ახალი ზელანდია — ავსტრალია) საკმაოდაც აკრიტიკეს, აქაოდა, დამცავ გუნდს მეტ პრივილეგიებს ანიჭებდნენ, რამაც მრავალი იერიში ვადამდე დაასრულაო. „ჩემი აზრით, ჩვენ უფრო სამხრეთელ არბიტრთა თამაშის აღქმას ვართ მიჩვეულნი, რაც უფრო მეტი ქულის მოპოვების საშუალებას გვაძლევს“ — თქვა ოზთა კაპიტანმა ჯონ ილზმა. „ქურციკთა“ შუამარბმა რობი ფლეკმა ისიც მოითხოვა, ევროპელების მსაჯობით აღარ გვათამაშოთო. ავსტრალიის მთავარმა მწვრთნელმა ედი ჯონსმა კი შედარებით შემრიგებლურად ილაპარაკა, იქნებ ერთად დავსხდეთ და ერთხელ და საბოლოოდ შევიმუშავოთ წესების ერთნაირი ინტერპრეტაციაო.

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ერთი რამის აღნიშვნა მაინც უპრიანია — წლევანდელი სამი ერის ერთადერთი ულელოო მატჩი — სამხრეთ აფრიკა — ახალი ზელანდია სწორედ სამხრეთელმა, ავსტრალიელმა იმსაჯა.

ახალზელანდიელ უელშის განსჯილ მატჩში ორივე გუნდი ლაღი, შემტევი რაგბის ჩვენებას აპირებდა, მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ — მხოლოდ ორი ლელო და ისევ მსაჯის კრიტიკა!

„ძალიან ბევრი შეცდომა დაუშვა, განსაკუთრებით ზედახორებისას. ყვითელი ბარათებიც გაცილებით ადრე უნდა გამოეყენებინა, ვინაიდან სულ ერთი და იგივე ხალხი არღვევდა თამაშის წესებს“ — შეუტია უელშს ილზმა. ოზთა კაპიტანი შეიძლება დიდად არც ტყუოდეს, მაგრამ თავისი გუნდის უხეირო თამაშის მსაჯზე გადაბრალება მაინც არასერიოზულია მისი დონის სპორტსმენისთვის.

მსოფლიოს ჩემპიონებმა ვერაფერი მოუხერხეს სამხრეთაფრიკელთა დაცვას, ოდენ ფრეს დასჯერდნენ და პრეტორიაში განცდილი მარცხისთვის რევანში ვერ აიღეს.

სტივენ ლარკემს არაერთხელ მოუტანია თავიასიანებისთვის ბოლო წუთებზე გამარჯვება, მაგრამ იგი ამჯერად ველარ გახდა მატჩის გმირი. მსაჯი უკვე საფინალო ჩასტვენისთვის ემზადებოდა, როცა ლარკემმა არეკნის შეგდება სცადა, მაგრამ ბურთი ძელებს შორის არ გაძვრა. არადა, სწორედ ასე მოუგეს 1999 წლის მსოფლიოს თასის ნახევარფინალში „ვოლაბებმა“ „ქურციკებს“, ოღონდ ახლა ამან აღარ გაჭრა და ამ ორი ნაკრების 47-ე მატჩში პირველი ფრეც დაფიქსირდა.

თუ შეხვედრის ბოლო ათ წუთს არ ჩავთვლით, პერტის „სუბიაკო ოვალზე“ შეკრებილ მაყურებლებს სასეირო ბევრი არაფერი უნახავთ. სტუმრებმა თავიანთ ლელოსთან ბარიკადები კი არა, ნამდვილი ჩინეთის კედელი აღმართეს, რომელში გაძრომაც დევიდ კოპერფილდის გარდა ყველასთვის შეუძლებელი იყო. თუმცა დიდი ილუზიონისტი რაგბის თამაშით გატაცებული არაა და ამიტომ აფრიკელების ლელოც ხელშეუხებელი დარჩა. ტექნიკასა და ტაქტიკაში თავიანთ ჩამორჩენას „ქურციკები“ უხეშობით ცდილობდნენ, რაც გამოსდიოდათ კიდეც.

პირველი საჯარიმო მეტიუ ბერკმა დაარტყა მე-8 წუთზე, მაგრამ ბურთი ძელს მოხვდა. თუმცა ანგარიში მაინც ბერკმა გახსნა, როცა ორიოდ წუთში კიდევ მიეცა საჯარიმოს შესრულების საშუალება. ბრაამ ფან სტრაატენმა გათანაბრება 24-ე წუთზე შეძლო. ტაიმის დანარჩენი დრო მოედნის შუაგულში ძიძგილაობაში გაილია. მართალია, ავსტრალიელები უფრო ცდილობდნენ შეტევას, მაგრამ ტყუილად ეხეთქებოდნენ აფრიკელთა დაცვის კედელს.

ტაიმის ბოლო წუთებზე კი ლელოც გავიდა, ოღონდ სტუმრებმა გაიხარეს. მრავალსვლიანი კომბინაცია, რომელშიც ათიოდე „ქურციკმა“ მიიღო მონაწილეობა, მარკ ენდრიუსმა დააგვირგვინა მარცხენა ფრთაზე — 3:8.

შესვენების შემდეგაც მსგავსი ხუთ[illegible] ნარით გაგრძელდა მატჩი. ბერკისა და ფან სტრაატენის ზუსტი დარტყმების შემდეგ ანგარიში 6:11 გახდა და თამაშის დასასრულიც მოახლოვდა. ბოლო ათი წუთი ოზებმა მეტოქეს ნამდვილი ალყა მოუწყვეს, მაგრამ მათი ლელოს აღება მხოლოდ რიცხობრივი უპირატესობისას შეძლეს. 88-ე წუთზე შეტევის რამდენიმე ფაზის შემდეგ ნათან გრეიმ მოახერხა ანგარიშის გათანაბრება, ბერკმა კი გარდასახვა ვერ შეაგდო.

თუმცა მან ერთხელ კიდევ გამოიჩინა თავი, როცა რამდენიმე წუთში ფან სტრაატენის საჯარიმოს უპასუხა და ავსტრალია მარცხს გადაარჩინა.

მერე კი სტივენ ლარკემს შეეძლო მატჩის გმირი გამხდარიყო.

სამი ერის ჩემპიონატის მომდევნო მატჩი შაბათს გაიმართება — ახალი ზელანდია სამხრეთ აფრიკას უმასპინძლებს. ტურნირის გამარჯვებული კი 1 სექტემბერს გაირკვევა, როცა „ვოლაბები“ „შავებს“ დაუხვდებიან.

**ბაბი ბურული**

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ავსტრალია | 3 | 1 | 1 | 1 | 0 | 1 | 52:49 | 7 |
| სამხრეთ აფრიკა | 3 | 1 | 1 | 1 | 0 | 0 | 37:41 | 6 |
| ახალი ზელანდია | 2 | 1 | 0 | 1 | 0 | 0 | 27:26 | 4 |

*შენიშვნა: მეხუთე გრაფაში ოთხი ან მეტი ლელოს გატანისთვის, მეექვსეში კი შვიდი ან ნაკლები ქულით წაგებისთვის მინიჭებული პრემიალური ქულებია*



REUTERS პერტიდან

**სამხრეთაფრიკელი კობუს ფისახი ბურთს ათავისუფლებს**

## ველორბოლა

## მსოფლიოს თასის მეშვიდე ეტაპი (HEW-სიკლასიკი, 251კმ)

# ულრიხმა ზაბელისთვის იშავმუშა

**შაბათს** მსოფლიოს თასის მორიგი, მეშვიდე ეტაპი გაიმართა. ერთდღიანი კლასიკური რბოლების მოყვარულთ ამჯერად გერმანიამ უმასპინძლა, შეჯიბრს კი „HEW-სიკლასიკი“ ერქვა. პელოტონმა ჰამბურგის გარშემო და მის ქუჩებში 251 კილომეტრი იქროლა წვიმის თანხლებით.

როგორც მოსალოდნელი იყო, „ტელეკომმა“ ყველაფერი გააკეთა გასამარჯვებლად და ფინალური სპრინტი მისი პეპლის ერიკ ზაბელის წარმატებით დასრულდა. „ტურ დე ფრანსის“ ექვსგზის საუკეთესო სპრინტერმა ლატვიელ მსოფლიოს ჩემპიონ რომანს ვაინსტეინსსა და ჰოლანდიელ ერიკ დეკერს აჯობა. ზაბელი პირველი გერმანელი შეიქნა, რომელმაც აქ გაიმარჯვა მას შემდეგ, რაც ეს ტურნირი მსოფლიოს თასის ეტაპად გამოცხადდა. მან თავის თანაგუნდელ იან ულრიხის დიდი დახმარებით ისარგებლა, მსოფლიოს თასის მეორე ეტაპის (მილან-სან რემოს შემდეგ) მოსაგებად.

ამ კლასიკის გზა ისეთია, მოიერიშეებს წინ გაჭრა მეტისმეტად ურთულდებათ. სწორედ ამიტომაც ერთი შეტევაც ვერ გამოდგა წარმატებული და ფინალური სპრინტიც გაიმართა, რომელშიც დაახლოებით ოცმა მრბოლმა მიიღო მონაწილეობა.

ფინიშამდე ორმოციოდე კილომეტრით ადრე პელოტონი შეჯგუფებული იყო და საკმაოდ სწრაფადაც მიდიოდა. რბოლის ერთადერთი დაბრკოლების, ვასებერგის თავში ერიკ დეკერმა, დავიდე რებელინმა და პაოლო ბეტინიმ წამოიწყეს იერიში, რომელიც მანამდე განხორციელებულთაგან ყველაზე სერიოზული იყო.



REUTERS ჰამბურგიდან

**იან ულრიხს (მარცხნივ) ერიკ ზაბელისგან მადლობა ნამდვილად ეკუთვნოდა**

სამეულმა მცირედ უპირატესობას (20 წამამდე) მიაღწია, მაგრამ ამას სტაბილურად ინარჩუნებდა 30-32 კილომეტრის მანძილზე. ფინიშამდე 7 კილომეტრით ადრე კი მათ მდევრები დაეწივნენ, რომლებსაც სათავეში ულრიხი ედგათ.

„ტურის“ ვიცე-ჩემპიონი ზაბელის სამაგალითო გრეგარივით ირჯებოდა მთელი გზის მანძილზე და მის წარმატებაში ლომის წილიც დაიდო. ულრიხმა აქ 1997 წელს გაიმარჯვა, ახლა კი მთლიანად გუნდის ინტერესებს შეეწირა. აღნიშნული შეტევის გაუვნებლების შემდეგ მან არც ბალდატოსა და ბორტოლამის დაანება დაწინაურება და ზაბელს სპრინტი უმაღლეს დონეზე მოუმზადა.

„აუცილებელი იყო, ვინმე ტელეკომელს გაემარჯვა. ეს მე ვიქნებოდი, ერიკ თუ ვინმე სხვა, რბოლის მსვლელობას უნდა ეჩვენებინა“ — განაცხადა გერმანული გუნდის ლიდერმა.

საერთო ჩათვლაში ზაბელმა რამდენიმე საფეხურით აინაცვლა და დავიდე რებელინს მეორეობა დაათმობინა. მესამე ჰამბურგში მეორეზე გასული ვაინსტეინსი გახდა, დეკერმა კი პირველობა უპრობლემოდ შეინარჩუნა. მერვე ეტაპი მომავალ შაბათს გაიმართება ციურიხში და მასში „ტურის“ სამგზის ჩემპიონი, ამერიკელი ლენს არმსტრონგიც მიიღებს მონაწილეობას.

**ბაბი ბურული**

1. ერიკ ზაბელი (გერმანია, ტელეკომი) 5სთ 59წთ 02წმ
2. რომანს ვაინსტეინსი (ლატვია, დომო)
3. ერიკ დეკერი (ჰოლანდია, რაბობანკი)
4. ფაბრიციო გუიდი (იტალია, მერკური)
5. ანდრეი ჰაუპტმანი (სლოვაკეთი, ვინი კალდიროლა) ყველას იგივე დრო

### საერთო ჩათვლა

1. ერიკ დეკერი 269 ქულა
2. ერიკ ზაბელი 200
3. რომანს ვაინსტეინსი 186
4. დავიდე რებელინი (იტალია, ლიკიგასი) 144
5. ჯანლუკა ბორტოლამი (იტალია, ვინი კალდიროლა) 131
6. ოსკარ კამენზინდი (შვეიცარია, ლამპრე) 126
7. იოჰან მუსეუვი (ბელგია, დომო) 116
8. ფრანჩესკო კასაგრანდე (იტალია, ფასა ბორტოლო) 113
9. სერვე ქნავენი (ჰოლანდია, დომო) 101
10. სერჟ ბაგე (ბელგია, ლოტო) 97



# ფერარის დროშა გაშალეს დიდი შუმი

**კვირას** ბუდაპეშტის „ჰუნგარორინგზე“ მიხაელ შუმახერმა საშუალოდ 180 კმ/სთ-ით აჯირითა თავისი „ფერარი“ და რბოლაც მოიგო. ამით შუმიმ დევიდ კულჰარდს ქულათა ჩამორჩენის აღმოფხვრის თეორიული შანსიც მოუსპო და ვადამდე დაეუფლა მსოფლიოს ჩემპიონის მეოთხე ტიტულს. ამასთან, მოგებული ეტაპების რაოდენობით გერმანელი პილოტი თვით ლეგენდარულ ალენ პროსტს გაუტოლდა, იტალიურმა საჯინიბომ კი კონსტრუქტორის თასი მოიგო.

ბუნებრივია, უფროსი შუმახერის ტრიუმფი ისტორიული მოვლენა იყო „ფერარის“ ისტორიაში. ამგვარ ამბებს კი შესაბამისად უნდა აღნიშვნა.

კვირა დილით, სანამ რბოლა დაიწყებოდა, „ფერარის“ მშობლიურ ქალაქ მარანელოს ზღვა ხალხი მიაწყდა. იტალიური გუნდის მრავალრიცხოვან გულშემატკივარს ათასობით კილომეტრის გავლა მოუხდა, საყვარელი გუნდის ისტორიული გამარჯვება მარანელოში რომ ეხილა და აღენიშნა. ფორმულა 1-ის და „ფერარის“ ფანატიკოსი გულშემატკივრები საფრანგეთიდან და გერმანიიდანაც კი ეწვივნენ მყუდრო მარანელოს.

ქომაგები კალიებივით მოედვნენ ყველა უბანს. მათ პრაქტიკულად შეაჩერეს მოძრაობა, ფეხით მოარულთათვისაც კი შეუძლებელი იყო გადაადგილება. დილით მარანელო მოჩვენებათა ქალაქს დაემსგავსა — რბოლას ყველა გარინდული უცქერდა. ბარებში თუ სხვა თავშეყრის ადგილებში ბუზის გაფრენის ხმასაც კი გაიგონებდით, მაგრამ დასრულდა თუ არა რბოლა, მარანელოს ქუჩები გადაწითლდა. იფეთქა ემოციებმა და უსაზღვრო სიხარულმა. ყველგან აფრიალდა დროშები და მაისურები ყალყზე შემდგარი ცხენის გამოსახულებით. „ფერარის“ მარკის უამრავი მანქანა გამოეფინა ქუჩებში და მხოლოდ მათი საყვირი ახშობდა უზომოდ გახარებული ბრბოს ხმას. მარანელოს მოედანზე, იქ სადაც ენცო ფერარის ძეგლი დგას, ათმეტრიანი დიაგონალის უზარმაზარი წითელი დროშა აფრიალდა, რომელიც შემდგომ მრავალმა ევროპულმა არხმა აჩვენა. ეს სავსებით სამართლიანი იყო — ასეთ დღეს ხალხმა პატივი სცა კაცს, რომელმაც „ფერარის“ ისტორიას საძირკველი ჩაუყარა. ყველაფერი ეს ეკლესიის ზარების რეკვის თანხლებით ხდებოდა. მიხაელ შუმახერის პლაკატები და „ფერარის“ სიმბოლიკები „ფერარის“ ქარხნის ფანჯრებშიც გამოფინეს. უცხოელები ქარხნის ჭიშკართან ფოტოებს იღებდნენ, ამის შემდეგ ბარებს მიაშურეს. ერთ ხელში კათხა ლუდი ეჭირათ, მეორეში წითელი დროშა. კაცს რომ არ სცოდნოდა, რა ხდებოდა კვირას მარანელოში, იფიქრებდა, კომუნისტების აღლუმიაო. ასეთი იყო მარანელოს შფოთიანი ერთი დღე, ორშაბათ დილით კი ქალაქი მშვიდ ცხოვრებას დაუბრუნდა.

ისტორიული გამარჯვება მიხაელ შუმახერს გერმანიის კანცლერმა გერჰარდ შრიოდერმაც მიულოცა. შუმისთვის გაგზავნილ მისალოც ბარათში შრიოდერი მიხაელს გერმანიის გმირად მოიხსენიებს. „ტიტულის დაცვით თქვენ დაამარცხეთ რეკორდები, ეს კი თქვენი პროფესიონალიზმით, მიზანდასახულობითა და შეუპოვრობით შეძელით. თქვენ ასევე გაახარეთ გულშემატკივარი შესანიშნავი რბოლით. ფორმულა 1-ის არცთუ ბევრმა პილოტმა შეძლო ისეთი გავლენა მოეხდინა ამ სპორტზე, როგორც თქვენ. თქვენ უზომოდ გაახარეთ გერმანელი ხალხი და ფორმულის უბრალო გულშემატკივარი. თქვენ გერმანიის გმირი ხართ“.

ტრიუმფის უშუალო მიზეზმა თავმდაბლობა არჩია და მიღწევებზე საუბარს მოერიდა. სამაგიეროდ, გარჯა დაუფასა მეწყვილეს და მედიას განუცხადა: „ახლა, როდესაც ორი ტიტულის ბედი გარკვეულია, „ფერარის“ ერთიც დარჩა მოსაგები. მეორე ადგილისთვის ბრძოლა ჯერ კიდევ წინ არის. რუბენს ბარიკელომ დიდი წვლილი შეიტანა ჩემს გამარჯვებებში. როდესაც რუბენსი ტესტებზე მიდის, მე შემიძლია მშვიდად გავატარო დრო ოჯახთან ერთად, რადგან მჯერა მისი. ასე რომ, თუ მას ჩემი დახმარება დასჭირდება, მე ყველანაირად გვერდში დავუდგები, რათა მეორე ადგილი სწორედ ჩემმა მეგობარმა რუბენსმა დაიკავოს, „ფერარი“ კი ყველაფერს მოიგებს, რისი მოგებაც შეიძლება“.

**ბაჩო სვანიძე**



მიხაელ შუმახერი სადღესასწაულო ტორტს გაჭრის და „ფერარის“ გუნდიც აგრიალდება



ეროვნული ბიბლიოთეკა

# პეკინს ამინდის შეკვეთა მოუნდევს

**სხვა** მრავალ პირობასთან ერთად ოლიმპიადების ნორმალურად ჩატარებას ამინდიც ნორმალური სჭირდება.

ამას წინათ იყო, აფროსნობის საერთაშორისო ფედერაციამ პეკინის ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებს რომ მოუწოდა, ოლიმპიადას აგვისტოს ნაცვლად სექტემბერში უმასპინძლეთ, რათა ამით თავიდან ავიცილოთ ამ დროისთვის გავრცელებული მუსონი და ციკლონიო.

2008 წლის ოლიმპიადის მასპინძლებმაც გადაწყვიტეს, ბუნებრივი მოვლენები შვიდი წლით ადრე გამოითვალონ. ამიტომაც განიზრახეს ექვსი თანამგზავრის გაშვება, რომელთა მეშვეობითაც ჩინელები ადრევე შეიტყობენ, როდის რისთვის იყვნენ მზად.

სააგენტო „სინხუას“ ცნობით, ეროვნული მეტეოროლოგიური ცენტრის დირექტორმა დონგ ჩაოხუამ განაცხადა, რომ 2008 წლის პეკინის ოლიმპიადის წინ ამინდის პროგნოზის გათვლის შემდეგ მათ ხელთ ექნებათ XXIX ოლიმპიური თამაშების ნორმალურად ჩატარებისთვის მნიშვნელოვანი ინფორმაცია.

# ოლიმპიური ცეცხლი დედამიწას უნდა მოედოს

**ათენის** ოლიმპიური თამაშების ორგანიზატორებმა ახლახან ოლიმპიური ცეცხლის ტრადიციულ ესტაფეტასთან დაკავშირებით თავიანთი გეგმები გამოამზეურეს. ბერძნებს სურთ, ოლიმპოს მთაზე დანთებული ცეცხლი დედამიწის გარშემო ამოგზაურონ. იგი მთელ სამყაროს შემოივლის და, პირველად ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში, ყველა კონტინენტს ესტუმრება. საბერძნეთიდან დაძრული ოლიმპიური ჩირაღდანი სავარაუდოდ ეწვევა ჩრდილო და სამხრეთ ამერიკას, აზიას, ავსტრალიას, აფრიკასა და ევროპას.

წინასწარი მონაცემებით, ოლიმპიური ცეცხლი 2004 წლის ოლიმპიადის დედაქალაქში 2004 წლის 13 აგვისტოს შეაბიჯებს, როცა მთავარი ოლიმპიური ფიალის დანთების ჟამი დადგება. ყველა კონტინენტზე ოლიმპიური ცეცხლის სტუმრობის სურვილი თავისებური რეკორდის დამხობის ცდაცაა. კერძოდ, ბერძნებს სიდნეის ოლიმპიადისთვის დამყარებული რეკორდის გაუმჯობესება სურთ. მაშინ ხომ ავსტრალიელებმა 27 ათასი კილომეტრი გადალახეს ოლიმპიური ჩირაღდნით.

# მოჭადრაკეებსაც მოაშარდვინებენ

## ANTI-DOPING



**სპორტის** ყველა ის სახეობა, რომელიც საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის აღიარებისკენ მიისწრაფვის, გარკვეულ მოთხოვნებს უნდა აკმაყოფილებდეს. ამათგან ერთ-ერთი უმთავრესი ვალდებულება აკრძალულ პრეპარატებზე ტესტირებებს ითვალისწინებს. არა აქვს მნიშვნელობა, სპორტის რა სახეობას სურს ოლიმპიური პროგრამის ნაწილად ქცევა, თუნდაც ეს ჭადრაკი იყოს. მართალია, ეს სახეობა ფიზიკური დატვირთვისგან შორსაა და უცნაურადაც ჟღერს მოჭადრაკეთა ძალის შემმატებელ პრეპარატებზე შემოწმება, მაგრამ სოკ-ის კანონის წინაშე ყველა თანასწორია. ამიტომაც სოკ-ის მოთხოვნათა დასაკმაყოფილებლად ჭადრაკის საერთაშორისო ფედერაციამ (ფიდე) ერთი ნაბიჯი უკვე გადადგა. ჭადრაკის მამებმა აშშ-ს ღია ტურნირის წარმომადგენლებს ფრემინგემიდან (მასაჩუსეტსი) შეჯიბრების ახალი წესებით გამართვა მოთხოვეს. ისინიც, რაკი სხვა გზა არ ჰქონდათ, ფიდე-ს უხალისოდ დაეთანხმნენ, თუმცა ერთი თხოვნით — დოპინგზე ტესტირება შევარბილოთო. სხვათა შორის, თითოეული შემოწმება 300-500 დოლარი ჯდება. ამიტომაც ტურნირის ორგანიზატორებმა ფიდე-ს თხოვნით მიმართეს, ამგვარი შემოწმებები „მსხვილკალიბრიან“ მოჭადრაკეებს ჩავუტაროთ და არა მათ, ვინც ამ თამაშით თავს იქცევსო.

„რა აზრი აქვს იმათ შემოწმებას, ვისაც არც უფიქრია და არც აპირებს ოლიმპიურ თამაშებზე პაექრობას?“ — „მეტრო ვესტ დეილი ნიუსთან საუბარში“ კითხულობს ტურნირის მომწყობთაგანი ალენ ჰინშოუ. ფიდე ამბობს, რომ ძალის მომმატებელ წამლებსაც შეუძლია ჭადრაკზე ზემოქმედება. ჭადრაკის მმართველი ორგანოს სამედიცინო კომისიის ვიცე-თავმჯდომარის, დოქტორ სტივენ პრესის თქმით, კოფეინი, ამფეტამინი და რიტალინი ამის მაგალითია, ისევე როგორც სტეროიდი და სხვა მსგავსი წამლები, რომლებსაც მომქანცველი მატჩისას ამტანიანობის გაუმჯობესება შეუძლია.

„ვიცით, რომ არსებობს ისეთი წამლები, რომლებიც დადებითად მოქმედებს აზროვნებაზე. როდესაც მატჩის მეხუთე-მეექვსე საათი იწურება და ორივე მოთამაშე არაქათგამოცლილია, ზოგიერთ პრეპარატს ყველაფრის სხვაგვარად შემობრუნება ძალუძს“ — გვარკვევს პრესი.

აღსანიშნავია, რომ ფიდე-მ ამგვარი შემოწმება ერთი თვის წინ არგენტინაში გამართულ ახალგაზრდა მოჭადრაკეთა ტურნირზე მოაწყო. მაშინ მოთამაშეები საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტის მიერ შედგენილი სიის ყველა აკრძალულ პრეპარატზე შეამოწმეს, მათ შორის ნერვების დამამშვიდებელ ამფეტამინზე, სტეროიდებსა და ბეტაზე. ყველას უარყოფითი პასუხი აღმოაჩნდა.

**გიგა გურასაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მფრინავი კეტი

ასეც ხდება „იანკი სტედიუმზე“. ერთი ნიუ იორკელი ფანი ტრიბუნაზე ამოფრენილი ბეისბოლის კეტის დაჭერას ლამობს. ტრიბუნაზე ბურთის დაჭერა ბეისბოლში ჩვეული ამბავია, კეტისა კი იშვიათი. „იანკებისა“ და „ტამპა ბეი დევილზის“ შეხვედრის დროს ტამპელ ჯარედ სენდბერგს ისე მოუქნევია კეტი ბურთისთვის, რომ ეს კეტი ბურთს გაჰყოლია და მავანი სქელუა მოსიერის ხელში აღმოჩენილა.



REUTERS ნიუ იორკიდან



REUTERS მაიამიდან

## შაკი და მეჰიპჰოპე

სადაც ჰიპ-ჰოპი, რეპი და სხვა რამ სალაღობო ციგნობაა, შაკილ ონილიც იქა ტრიალებს. ლეიკერსელი გოლიათი ხომ ამგვარ საქმეთა დიდი ტრფიალია. მაიამი ბიჩზე სწორედ რომ გუშინ შედგა ჰიპ-ჰოპის წლის ჯილდოების გადაცემა და შაკიც არ დაკლებია. მეტიც, ერთი ამბით მიულოცა წლის მეჰიპჰოპედ გამოცხადებულ როუზ ნელის გამარჯვება. ეს უკანასკნელი კი, თურმე, იმას ცდილობდა, როგორმე მაღალი გამოჩენილიყო.



REUTERS სიდნეიდან

## იშუშებს

სიდნეიში, ოპერის წინ ჩამომჯდარა ინდური კრიკეტის უპირველესი ვარსკვლავი ვანგი პორაპუ ლაქშმანი. მისი გაშლილი ცაცია ფეხი იმას თუ მიგვანიშნებს, რომ ლაქშმანმა ახლახან გადაიტანა მუხლის ურთულესი ოპერაცია, რომელიც მას სიდნეელმა ქირურგებმა გაუკეთეს. ინდო ჭაბუკი ორიოდ კვირას კიდევ დარჩება ავსტრალიაში და სარეაბილიტაციო კურსს გაივლის. აქვე მოგახსენებთ, რომ ლაქშმანი ის კაცია, ვისი ძალისხმევითაც ამ გაზაფხულზე ინდუსებმა ტესტი მოუგეს ავსტრალიელებს.



REUTERS კაუზიდან

## სერენას სირენა

ბურთი ხაზზე იყოო, იკივლა სერენა უილიამსმა. ეს ამბავი ტორონტოში, როჯერსის თასის ფინალში მოხდა. თუმცა, კივილი საჭირო არ იყო, სერენამ მაინც დაამარცხა ჯენიფერ კაპრიატი და შეჯიბრიც მოიგო.



REUTERS ტორონტოდან

## ქარმა აფრა გაბერა

დახეთ, რა ქალი გამოუხატავთ თავიანთ აფრაზე. ამგვარი აფრით დამშვენებული იახტა „ვენითი ვი“ ერთ-ერთია იმათგან, ვინც ამერიკის თასის საიუბილეო რეგატაში ჩაბმულა ვაითის კუნძულის ახლო წყლებში, რაიც ინგლისის შორიახლოს უნდა ვეძიოთ. ეს რეგატა, თორმეტმეტრიანი ნავების უგანთქმულესი შეჯიბრი, წლეულს 150 წლისა შესრულდა.

სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
რედაქტორი თამაზ მიგრიაული
ტექნიკური რედაქტორი ვახტანგ ბზიკაძე
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი სოსო პოტორელიშვილი
კალათბურთის და ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი მერაბ რატიშვილი
ფეხბურთის რედაქცია სოლომონ გულისაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პაატა კვანტალიანი კალათბურთის და ინფორმაციის რედაქცია გია ახალაძე, გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, დავით გულუა, ავთანდილ გურასაშვილი, ირაკლი ფირაშვილი კორესპონდენტი ქუთაისში იუზა კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე სტილისტები მაია აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ლია ბესელია, ელენე გელუტაშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ირინა გოგოლაშვილი, მამუკა გუბელაძე, სვეტა დევაძე მაგდა დოგრაშვილი, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიამ ტაბიძე, თენგიზ ფოფხაძე, ნინო ყუფუნია
გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული. საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge